# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 25 ნოემბერი, 2006 წელი.

№ 231 (5572)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# მეწარმეს თავზე დამბაჩიანი კაცი ადგეს?!

საქართველო ქვეყანაა, სადაც შადრევნები მღერის, ხალხი კი ტირის 2



# მოდის მატარებელი...



5

თანაც როგორი, მართლაც თანამედროვე, ჭეშმარიტად კომფორტული!

ფაშიზმი რუსულად 3

## დარაიხებულნი

უცხოური პრესა 11

## პირი შეკრეს რუსეთის წინააღმდეგ

ყურადსაღები... 4

## ჩვენ დანის პირზე გავდივართ

SOS! 2

## ქართველები მონებად მიჰყავთ

პრობლემა 6

## გაზსაცავი, იცოცხლეთ, კი გვინდა, მაგრამ სადაა

ჭირის მორევი 7

## მწარე ლუკმის საზღაური



● — საქართველო ეკონომიკური მაჩვენებლებით მთელს რეგიონში ბოლო ადგილზეა. ამის მიზეზია ის რეკეტი, რასაც ფინანსური პოლიცია ახორციელებს

● გალის რაიონის ქართული მოსახლეობა აფხაზებს თავიანთ სახლებში, ოჩამჩირის, გულრიფშისა და სოხუმის რაიონებში მიჰყავთ და იძულებით ამუშავებენ



№ 231. შაბათი, 25 ნოემბერი, 2006 წელი.

◎ კანონმდებლები

# მეწარმეს თავზე დამბაჩიანი კაცი ადგეს?!

## ქვეყანა, სადაც შადრევნები მღერის, ხალხი კი ტირის

**საქართველოს პარლამენტში გუშინ დილიდანვე პრეზიდენტის ინიციატივებს განიხილავდნენ. პირველი კანონპროექტი — შიდა ქართლიდან დევნილთა ქონების რეგისტრაციისა და კომპენსაციის შესახებ პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა ზურაბ დეკანოიძემ წარმოადგინა.** კანონპროექტის თანახმად, დევნილები საცხოვრებელსა და ქონებას დაიბრუნებენ, თუ საცხოვრებელი განადგურებულია. ამასთან, თუ შეუძლებელი იქნება უძრავი ქონების დაბრუნება, დაზარალებული კომპენსაციას მიიღებს. საამისოდ ფონდი შეიქმნება, ის სახელმწიფო ბიუჯეტიდან და საერთაშორისო ორგანიზაციების შემოწირულობებით, გრანტებით შეივსება.



ამ კანონპროექტის განხილვა ევროპის საბჭოს ეგიდით მიმდინარეობდა, მასში აქტიურად მონაწილეობდნენ ვენეციის კომისიისა და ოსური მხარის წარმომადგენლებიც. კანონპროექტის მეორე მოსმენამ უჩვეულო სიმშვიდით ჩაიარა. მისი ძირითადი დებულებები ოპოზიციისათვის და უმრავლესობისთვისაც მისაღები იყო.

სამაგიეროდ, ხმაური მოჰყვა პრეზიდენტის ინიცირებულ მეორე კანონპროექტს შემოსავლების სამსახურის შექმნის შესახებ, რითაც ფინანსური პოლიცია საგადასახადო და საბაჟო სამსახურების ფუნქციებს შეითავსებს. ამას არ ეთანხმება ოპოზიცია. ფინანსთა მინისტრის მოადგილის ლაშა გოცირიძის წარმოდგენილი ცვლილებების პაკეტი, ოპოზიციის თქმით, ბუნდოვანია და არ არის გაწერილი ახალი სამსახურის ფუნქციები. კანონპროექტი უმრავლესობის წევრმა გუგული მაღრაძემაც გააკრიტიკა. და ამ „ურჩობისთვის"... მიშა მაჭავარიანისგან შენიშვნაც „გაიკრა"... დეპუტატი დაინტერესდა, რატომ გახდა საჭირო სამი უწყების გაერთიანება. ვიცე-სპიკერი კი გაუჯავრდა, ამის შესახებ პრეზიდენტმა ბათუმში ერთ-ერთი გამოსვლისას ხომ ილაპარაკაო. მაღრაძემაც აღარ დაუხვალია და პრეზიდენტისავე სიტყვები მოიშველია, სადაც მან პარლამენტარებს აზრის გამოთქმისკენ და კანონპროექტების ძირეულად განხილვისკენ მოუწოდა.

კანონპროექტის ავტორები მიიჩნევენ, რომ სამი სამსახურის გაერთიანების შემდეგ, გადამხდელს სახელმწიფოსთან ურთიერთობა გაუადვილდება, გაიოლდება არგადამხდელების გამოვლენა და მათ მიმართ შესაბამისი ღონისძიებების გატარებაც. ოპოზიცია კი, ამ უწყებების გაერთიანებაში ინტერესთა კონფლიქტს ხედავს, მათთვის გაუმართლებელია, რომ მეწარმეს თავზე დამბაჩიანი კაცი ადგეს, გაუგებარია სახელმწიფოს ინტერესებიც — ამ სამი სამსახურის გაერთიანება ბიზნესის განვითარებას თუ რეკეტს გააძლიერებსო, მხრებს იჩეჩავენ.

— საქართველო ეკონომიკური მაჩვენებლებით მთელს რეგიონში ბოლო ადგილზეა. ამის მიზეზია ის რეკეტი, რასაც ფინანსური პოლიცია ახორციელებს. „ბალტიკის- მფლობელს თითქმის მთლიანი" წილი სხვა პირზე გადააფორმინებინეს. შალ პოკერის მცხეთაში საწარმო არ გაახსნევინეს, სადაც 1000 ადამიანის დასაქმებას აპირებდა. სწორედ ფინანსური პოლიციაა ამის ავან-ჩავანი. კოზა ნოსტრას „რეკეტირებივით შეიჭრნენ „ბადაგონშიც". ანუ, ფინანსური პოლიცია ისევ სახელმწიფო რეკეტი იქნება, ოღონდ, სხვა სახელი ერქმევა. საქართველო არის ქვეყანა, სადაც შადრევნები მღერის, ხალხი კი ტირის, — თქვა **კახა კუკავამ**.

მიხეილ მაჭავარიანმა ლაშა გოცირიძეს უთხრა, რომ აუცილებელი იყო ცვლილებათა პაკეტი უფრო არგუმენტირებულად წარმოედგინა. შესთავაზა, სათანადო მომხსენებელი არა გყავთ, საამისოდ მე მიგულეთო.

**ლელა ხვადაგიანი**

**P. S. „ვარდების რევოლუციის" მე-3 წლისთავის დღესასწაულზე ჩამოსულ სტუმრებს პარლამენტარები უკვე კარგა ხნის წინათ დავიწყებული თითქმის სრული კვორუმით დახვდნენ. იყო მილოცვა, იყო თანადგომა, მაგრამ ჩვენს გასაკეთებელს სხვა, რაგინდ მონდომებულიც იყოს, ვერა იქმს. მერედა, „სადღესასწაულო" მოჩვენებითი კვორუმით ვაპირებთ ამას?!**

◎ ინფორმაცია

## პრეზიდენტი დსთ-ს სამიტს დაესწრება



**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დსთ-ს ქვეყნების პრეზიდენტების სამიტს აუცილებლად დაესწრება.**

**ამის შესახებ განცხადება პრეზიდენტმა გუშინ თამადის ძეგლის გახსნის საზეიმო ცერემონიაზე გააკეთა.**

**მისი თქმით, ჯერჯერობით გაურკვეველია შეხვდება თუ არა თავის რუს კოლეგას ვლადიმერ პუტინს, ვინაიდან რუსეთს შესაბამისი გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.**

**— სამიტზე მაინც წავალ, რათა დსთ-ს ქვეყნების სხვა ლიდერებს შევხვდე, რომლებთანაც ორმხრივი ურთიერთობები გვაკავშირებს, — განაცხადა სააკაშვილმა.**

## „მაგი" შუშხუნებს გადაჰყვა

**ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის მეორე ოპერატიული სამმართველოს თანამშრომლებმა კონტრაბანდის ფაქტზე შპს „მაგის" მიმართ წინასწარი გამოძიება დაიწყეს.**

**შპს „მაგის" ხელმძღვანელებმა უკრაინიდან საქართველოში დიდი ოდენობით საახალწლო ჩინური შუშხუნები შემოიტანეს. თუმცა, საბაჟო დეკლარაციაში ყალბი მონაცემები შეიტანეს, რითაც საბაჟო გადასახადი შეამცირეს.**

**ამჟამად დანიშნულია ექსპერტიზა, რაც ზარალის ზუსტ ოდენობას დაადგენს. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის „საბაჟო წესის დარღვევის" მუხლით მიმდინარეობს.**

## ვერნისაჟი „კოპალაში"

**საგამოფენო დარბაზ „კოპალაში" ახალგაზრდა ქართველი მხატვრის ვაჩე ჩხაიძის ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა.**

**ექსპოზიციაზე წარმოდგენილია 25-ზე მეტი ფერწერული ტილო. მხატვარი ძირითადად აბსტრაქციულ ნამუშევრებს ქმნის, რომელთა კონცეფციაც ინტელექტსა და გრძნობას ემყარება.**

**ვაჩე ჩხაიძეს დამთავრებული აქვს თბილისის სამხატვრო აკადემია. მისი ნამუშევრების პერსონალური გამოფენები კი სხვადასხვა დროს მოსკოვსა და თბილისში გაიმართა.**

**გარდა ამისა, ვაჩე ჩხაიძე მონაწილეობდა ქართველ მხატვართა ჯგუფურ ექსპოზიციებში, რომელიც თბილისსა და საზღვარგარეთ ეწყობოდა.**

**ინტერპრესნიუსი**

◎ კონფლიქტის ზონა

## ვინ ჩამოვიდა გალში?

**გალის რაიონის სოფელ პირველ ოტობაიაში გვიან ღამით რუსეთის სამი სამხედრო ვერტმფრენი დაეშვა.**

რუსული სამხედრო ვერტმფრენის შესახებ ქართულ მხარეს ინფორმაცია არ გააჩნია, თუმცა ამის შესახებ გალის ადმინისტრაციასთან დაახლოებულმა პირმა განაცხადა.

ამავე წყაროს ცნობით, დღეიდან გალის აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის სამშვიდობო ნაწილების გეგმიური როტაცია იწყება.

მათივე ინფორმაციით, რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებთან ერთად იმყოფებოდა აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის უფროსი ანატოლი ზაიცევი.

## ჰიპოკრატეს ფიცი გაახსენდათ

**რამდენიმე დღის წინათ ავტოკატასტროფაში მოყვა გალის აფხაზური ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე ვლადიმერ მარღანია (მანიძ, რომელიც ამჟამად სოხუმის ჰოსპიტალში იმყოფება.**

ექიმების განცხადებით, საჭიროებს გადაუდებელ ოპერაციას ხერხემალზე.

როგორც ცნობილი გახდა, აფხაზური მხარე აპირებს დახმარება ცნობილ ქართველ ნეიროქირურგს ნაპო მესხიას სთხოვოს.

## წიგნაკები მოქალაქეობას ნიშნავს

**გალის რაიონში აფხაზურმა ადმინისტრაციამ დაიწყო საბინაო წიგნაკების გაცემა.**

ომის დამთავრების შემდეგ ეს არის პირველი შემთხვევა, როცა გალის მოსახლეობას საბინაო წიგნაკებს აძლევენ.

ის ვისაც საბინაო წიგნაკებს გადასცემენ, ავტომატურად ხდება აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მოქალაქე და უახლოეს პერიოდში მათ აფხაზურ პასპორტებსაც მისცემენ.



საბინაო წიგნაკის ღირებულება შეადგენს 60 ლარს. წიგნაკები გადაეცათ მოსახლეობის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელმაც გადაიხადა მიწის გადასახადი და ქონებრივი გადასახადი.

## ქართველები მონებად მიჰყავთ

**გალის რაიონის ქართულ მოსახლეობას აფხაზები იძულებით ამუშავებენ.**

აფხაზეთის მედია-ცენტრის ინფორმაციით, ციტრუსების მოსავლის აღებასთან დაკავშირებით გალის რაიონში ტრეფიკინგის მსხვერპლთა რიცხვი საგრძნობლად მატულობს.

გალის რაიონის ქართული მოსახლეობა აფხაზებს თავიანთ სახლებში, ოჩამჩირის, გულრიფშისა და სოხუმის რაიონებში მიჰყავთ და იძულებით ამუშავებენ.

დაშინებული მოსახლეობა ხმის ამოღებას ვერ ბედავს. — იყო სხვა შემთხვევა, როცა დახმარებისთვის გაეროს დამკვირვებლებს მივმართეთ, მათ კი თარჯიმნებად აფხაზები მოიყვანეს. სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენლები იმავე საღამოს მიადგნენ მომჩივნებს და ფიზიკურად გაუსწორდნენ, — აღნიშნეს თვითმხილველებმა.

ასეთი ზეწოლის შემდეგ ფიზიკურად და მორალურად შეურაცხყოფილი გალელები ხმის ამოღებას ვერ ბედავენ.

**ჯო-ეიჩ-ენი**

- აქ ხომ ჩვენი დაგვმართეს, რუსეთშიც გეშავენ ჩვენს სისხლზე უწვერულთ, რადგან უმწიფარი გონების დამორჩილება და მართვა ადვილია
- გაუაზრებელმა ქმედებებმა შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მოუტანოს ქვეყნის ეკონომიკას და კვლავ ნულამდე დაიყვანოს ამ სფეროში ნდობის აღდგენის საწყის ფაზაში მყოფი საქმიანი გარემო



ფაშიზმი რუსულად

# დარაიხებულნი

## 300 000 „უცხოს" მკვლელობა მხოლოდ მოსკოვში?

**პირველი სკინხედები რუსეთში წინა საუკუნის 80-იან წლებში გამოჩნდნენ. მას შემდეგ, აბა, რა დიდი დროა გასული და მესამე რაიხის ამ თაყვანისმცემელთა რიცხვი უკვე მხოლოდ მოსკოვში 300 000-ს აჭარბებს. ე. ი. ნოყიერი ნიადაგი დახვედრია ფაშისტური იდეოლოგიის მქადაგებელთ — რუსის ბუნებამ მისთვის წესითა და რიგით საძულველი ფაშიზმი შეისისხლხორცა. არადა, დღევანდელი „სკინების" პაპები სწორედ ნაციზმს ებრძოდნენ და, აკი, ჩაკლეს კიდეც ფაშისტური ურჩხული თავისსავე ბუნაგში.**



ეს პრობლემა — ფსიქიკის ასეთი მეტამორფოზა — რუსეთშიც აშფოთებთ და ამ მოვლენის გაანალიზებასაც ცდილობენ. თუმცა, ვფიქრობ , აისბერგის მხოლოდ ხილულ ნაწილზე მსჯელობენ და სიღრმისეულად წვდომას არცა ცდილობენ, მიუხედავად იმისა, რომ შემოთავაზებულ განსჯაშიც აშკარად ჩანს სწორედ ეს სიღრმისეული მიზეზები და წინაალმდეგობანი, მაგრამ ჯერ მათ მოვუსმინოთ.

სამართალდამცავ ორგანოთა წარმომადგენელი ევგენი **კ.: „მათ რიგებში გაწევრიანების მსურველმა დამქაშების თვალწინ „უცხო"** (ქართველი, ყირგიზი, ლიტველი, ზანგი... — **რედ.ძ უნდა მოკლას. რიგითთა ასაკი 16-23 წელია,** **იდეოლოგებისა — 30-40. პრაქტიკულად ყველა ნაციხარია. შეფთაგან ბევრი ე. წ. ცხელ წერტილებში იბრძოდა. „აღსაზრდელებს" ასწავლიან ხელჩართულს, იარაღის მოხმარებას. ბიჭები ასე ერთობიან: ამაყად ატარებენ უნიფორმას. ჩხუბობენ და.... ხოცავენ. პათოსით გაჰკივიან — „პატრიოტი ვარ!" „ელექტრიჩკებში" „უცხოთა" მისიკვდილებამდე მგზავრებს „მოძღვრავენ", რუსი ხალხის მაწყევართა საჯაროდ და სამაგალითოდ დასჯა გვსურსო". თუმცა, ბევრმა ჰიტლერის „მაინ კამპფის" წაკითხვაც ვერ შეძლო".**

სოციოლოგი ალექსანდრე ტარასოვი: „აღზრდის სისტემა რომ არ დაგვენგრია, შესაძლოა, ამდენი სკინხედი არც გვყოლოდა. სწორედ მათი პირველი თაობის სკოლებში სწავლის დროს თქვა უარი აღზრდაზე ამ დაწესებულებებმა — ჩვენი საქმე მხოლოდ სწავლებააო. ისტორიაც დაამახინჯეს — ჰიტლერი ლამის მსხვერპლად წარმოსახეს. თავს რომ არ დაგვესხმოდა, სტალინი დაასწრებდაო. და დასკვნა: სსრკ-ს გამარჯვებამ კაცობრიობისთვის ნეგატიური შედეგი გამოიღო. მისი გავლენა მთელს აღმოსავლეთ ევროპაზე გავრცელდაო. მერე იყო და, მალალჩინოსნების ნებართვით გამოიცა პროფაშისტური, ჰიტლერის მეხოტბე ლიტერატურა. ჩილეს დიქტატორი პინოჩეტიც გაიხსენეს. ჰოდა, ულტრამემარჯვენეობა, ანუ ფაშისტობა მოდური გახდა და სკინხედებიც მომრავლდნენ".

რასობრივი სიძულვილი ანგარების შირმასაა ამოფარებული. იცის ბიჭმა, ვის უჭყავის ფული ჯიბეში და, უმეტესად, სწორედ მათზე ანთხევს ნაცისტურ ბოღმას. ამიტომაც ჯეელი ფაშისტების „იდეოლოგიას", ყველაზე ხშირად, ბაზრობებზე მოვაჭრენი ეწირებიან. რაღა თქმა უნდა, არასლავები. უფრო დიდრონ საკბილოს ეს ბრბო ვერ შესწვდება. მხოლოდ მაშინ არიან „მაგრები", ერთზე-ათი რომ მოდის. ექსტრემიზმის წინააღმდეგ კანონი კი, ამდენი სისხლისღვრის მიუხედავად, რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ არა და არ მიიღო. აი, იაპონიასთან რუსეთის ნაკრების მატჩის შემდეგ ტვერსკაიაზე დატრიალებული საშინელი მასობრივი დარბევისთანავე კი უცებ მიიღო.

კანონი-კანონად, მაგრამ არსობრივად არაფერი შეცვლილა. აგერ, ქართველთა დევნაც ხომ სწორედ ფაშიზმია და სხვა არაფერი.

კიდევ მეტი — თუ ადრე სკინხედებში, უმეტესად, ე. წ. არასრულფასოვანი ოჯახების ნაშიერნი იყვნენ, ახლა მათი „ბოევიკები", ძირითადად, ყოვლად უზრუნველყოფილი ბიზნესმენების შვილები არიან. სოციოლოგები ამას ასე ხსნიან: შვილები მშობლების საქმის მემკვიდრეებად მიიჩნევენ თავს, ჩამოსულთ კი კონკურენტებად აღიქვამენო. ასე დაერთო ეთნიკურ სიძულვილს ეკონომიკური ინტერესი. რამაც დაპირისპირება გაამძაფრა. „სკინებმა" „ჭკუაც ისწავლეს": აღარც ერთი მათგანი არ დაირტყამს მკერზე მუშტს და ფანატიკურად აღარ შესძახებს მილიციას, ეს „ჩუჩმეკი" იდეური მოსაზრებების გამო გავაგორეო. მყისვე თავს მოიკატუნებს, რაღაცაზე შევყევ-შემოვყევითო და...

ახლა ესეც ვთქვათ — ბატონმა სამართალდამცავმა რომ ბრძანა, ასე ერთობიან ბიჭებიო. თუ სკინხედების კოდექსის აუცილებელ მუხლს გავიხსენებთ — უცხო უნდა მოკლა, რათა ჩვენიანი გახდეო და იმასაც ვიტყვით, რომ მხოლოდ მოსკოვში 300 000-ზე მეტი ფაშისტია, მაშ, ამდენივე უცხოსთვის უნდა მოესწრაფათ სიცოცხლე. და ეს, ვიმეორებ, მხოლოდ მოსკოვში. მათი ე. წ. იდეოლოგების უმეტესობა (ცხელ წერტილებში იბრძოდაო. აფხაზეთსა და შიდა ქართლშიც აუცილებლად დატოვებდნენ სისხლიან კვალს! აქ ხომ ჩვენი დაგვმართეს, რუსეთშიც გეშავენ ჩვენს სისხლზე უწვერულთ, რადგან უმწიფარი გონების დამორჩილება და მართვა ადვილია. მით უფრო, როცა სახელმწიფო ოფიციალურად გიფხვიერებს ნიადაგს — წიგნიერ პროფაშისტურ გარემოს გიქმნის და ლამის იძულებით იღებს ექსტრემიზმის საწინააღმდეგო კანონს.

უმთავრესი კი მაინც ესაა — დამჭკნარი თესლი გაფხვიერებულ, ნოყიერ ნიადაგშიც ვერ იხარებს. შვილიშვილებს სულაც არ შეუძცევიათ ზურგი პაპების იდეოლოგიისთვის. ბოლშევიზმი (სოციალიზმი) და ფაშიზმი (ნაციონალსოციალიზმი) არსობრივად არაფრით განსხვავდება ერთმანეთისგან. რასობრივი შეურიგებლობის გარდა (თავი ვანებოთ ხალხთა ძმობისა და მეგობრობის საბჭოურ ლოზუნგებს. ხომ ვიცით, მათს მიღმა, ფაქტობრივად, რაც დგასძ, ორივეს დიდმპყრობელური სული უდგას. ასეთი სული კი რუსის ალფა და ომეგაა.

**კონსტანტინე გურგენიძე**

პოზიცია

# ასეთი რამ არ უნდა განმეორდეს!

## აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განცხადება

**თავს ვალდებულად ვრაცხთ, გამოვხატოთ დამოკიდებულება ახლახან იტალიურ-ქართული ღვინის საწარმო „ბადაგონში" მომხდარი ფაქტის გამო.**

უპიროზოდ ვუჭერთ რა მხარს ქვეყანაში გამოცხადებულ უკომპრომისო ბრძოლას ფალსიფიკაციის წინააღმდეგ, განსაკუთრებით კი ღვინის წარმოებაში, კატეგორიულად ვგმობთ ყოველმხრივი, ღრმა და საფუძვლიანი შესწავლისა და შესაბამისი არგუმენტაციის გარეშე ნებისმიერი საწარმოს წინააღმდეგ მსგავსი აქციების ჩატარებას, მით უმეტეს, ქართული ღვინისთვის ახალი ბაზრების მოძიების დროს.

ცალკეულ სახელმწიფო მოხელეთა მერკანტილურმა, მოჩვენებითი ერთგულებისა და სახელმწიფო ინტერესების დაცვაში თავის გამოჩენის მიზნით განხორციელებულმა გაუაზრებელმა ქმედებებმა შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მოუტანოს ქვეყნის ეკონომიკას და კვლავ ნულამდე დაიყვანოს ამ სფეროში ნდობის აღდგენის საწყის ფაზაში მყოფი საქმიანი გარემო.

ამ ფაქტით ჩვენი დაინტერესება იმითაც არის განპირობებული, რომ ამ საწარმოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი და ინვესტორი გახლავთ უაღრესად პატიოსანი, საქმიანი და წარმატებული, აფხაზეთიდან დევნილი, ამჟამად მოსკოვში მოღვაწე ბიზნესმენი ბატონი თემურ უბილავა, რომელმაც დაასაქმა დევნილი თანამემამულეები და გაუმყარა მათ იმედი, რომ დღეს საქართველოში გზა ხსნილია პატიოსანი შრომისა და ბიზნესისთვის, ქვეყანაში მიმდინარე აღმშენებლობის პროცესში საკუთარი წვლილის შეტანისთვის.

ღრმადა ვართ დარწმუნებულნი, რომ მსგავსი გაუგებრობები ვერ მოიკიდებს ფეხს დემოკრატიული განვითარების გზაზე მდგარ ჩვენს ქვეყანაში, რომლის მყარი გარანტია ერთმნიშვნელოვნად გამოიკვეთა „ბადაგონის" ღვინის ქარხანაში მომხდარი ფაქტისადმი საქართველოს პრეზიდენტის, ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი სტრუქტურების ხელმძღვანელების და საზოგადოებრიობის დამოკიდებულებაში.



ინფორმაცია

### ქუთაისს ახალი მერი ჰყავს!

**ქუთაისის საკრებულომ ქალაქის მერად ბაკურ ბალანჩივაძე აირჩია.**

**15-კაციანი საკრებულოდან, ღია კენჭისყრაში ბალანჩივაძეს 13 დეპუტატმა დაუჭირა მხარი. იგი ქუთაისის მერად ოთხი წლის ვადით აირჩიეს.**

**ახალი მერი 47 წლისაა, ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.**

**ბაკურ ბალანჩივაძე ამ დრომდე ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის დირექტორი იყო, საკრებულოში კი „ნაციონალური მოძრაობის" საარჩევნო სიით მოხვდა.**

### ნავთზე აღარ ინერვიულოთ!

**საქართველოში ნავთის დეფიციტი არ შეიქმნება, — განაცხადა ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის თავმჯდომარემ ვანო მთვრალაშვილმა.**

**მისივე თქმით, ნავთის მარაგი არც თბილისში და არც საქართველოში შენახული არ არის. თუმცა, თუ საჭიროება შეიქნა, მისი შემოტანა პრობლემას არ წარმოადგენს.**

**— ნავთი, ძირითადად, აზერბაიჯანიდან შემოდის საქართველოში. ეს ნავთი საავიაციო ნავთია, რომლის ფასიც საკმაოდ მაღალია. იმ შემთხვევაში, თუკი საქართველოში ნავთზე მოთხოვნილება გაიზრდება, დღევანდელი ფასი 1.50 მცირედით შემცირდეს 1.40 ლარამდე, — განაცხადა ვანო მთვრალაშვილმა.**

**მისივე თქმით, ნავთის შემომტანი ორგანიზაციები კერძო სტრუქტურებია და ისინი ბაზრის მოთხოვნილების მიხედვით მოქმედებენ.**

**დღესდღეობით ნავთზე მოთხოვნა საქართველოში არ არის.**

### ვინ დაიცავს პაციენტისა და ექიმების უფლებებს

**საქართველოში პაციენტისა და ექიმის უფლებების დაცვაზე ამიერიდან საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის უფლებათა დაცვის სპეციალური ჯგუფი იზრუნებს.**

**ჯგუფი პარლამენტის ჯანდაცვის, იურიდიულ და ადამიანის უფლებათა კომიტეტების ინიციატივით შეიქმნა და მასში კომიტეტების წარმომადგენელთა გარდა, ჯანდაცვის სამინისტროს და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც გაერთიანდებიან.**

**ამ საკითხზე ჯანდაცვის სამინისტროში ჯანდაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა და პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის წარმომადგენელმა ლევან მეტრეველმა ბრიფინგი გამართეს.**

**მეტრეველის განცხადებით, ჯგუფის ჩამოყალიბების მთავარი მიზანია, რომ ქვეყანაში ზოგადად ჯანმრთელობის პირობა დაცული იყოს.**

**ინტერპრესნიუსი**

№ 231. შაბათი, 25 ნოემბერი, 2006 წელი.

- ათი ნაბიჯი თავისუფლებისკენ! მმართველი პარტია აღნიშნავს, რომ პრაქტიკულად ეს იყო ჩვენი დროის ათი ცნება, რომელიც ხელისუფლებამ შეასრულა
- ბოროტების იმპერია არასოდეს შეიცვლება. მისთვის მორალი და ზნეობა მხოლოდ ტუალეტში გამოსაყენებელი საშუალებაა



◎ ათი ნაბიჯი თავისუფლებისკენ

# ჩვენ დანის პირზე გავდივართ

**— ათი ნაბიჯი თავისუფლებისკენ, — ასე ერქვა პროგრამას, რომელიც „ვარდების რევოლუციით“ მოსულმა ხელისუფლებამ სამი წლის წინათ საზოგადოებას შესთავაზა.**

თვალი გადავავლოთ რა შესრულდა ამ დანაპირებიდან დღემდე.

თავისუფლებისკენ ათი ნაბიჯიდან **პირველი**, სახელმწიფო მართვის საბჭოური სისტემის რეფორმა და ნომენკლატურის წარმომადგენლებისთვის მაღალი სახელმწიფო თანამდებობის შეზღუდვაა.

მმართველი პარტია აღნიშნავს, რომ იმ ოპერაციების შედეგად, რომელიც ძირითადად კორუფციასთან ბრძოლასა და სახელმწიფო აპარატის რეორგანიზაციის მიზნით განხორციელდა, ბევრი ასეთი ადამიანი საჯარო სამსახურს უკვე ჩამოშორდა, მაგრამ იმისათვის, რომ ეს პრობლემა საბოლოოდ აღმოიფხვრას, მმართველი პარტია თვლის, რომ აუცილებელია ლუსტრაციის კანონის მიღება.

დღეს საქართველოს პარლამენტი ლუსტრაციის კანონზე მუშაობს. კონსულტაციები საშემოდგომო სესიის ბოლომდე დასრულდება.

ოპოზიცია ლუსტრაციის შესახებ კანონის დროზე მიუღებლობაში მმართველ პარტიას ადანაშაულებს და მიიჩნევს, რომ



მან ვერ შეძლო ქვეყანაში კომუნისტური რევანშის დამთავრება.

**მეორე ნაბიჯი** სახელმწიფო თანამდებობის პირთათვის დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევაა, **მესამე** — კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, გარანტიების გაძლიერება და ლიბერალური საგადასახადო კოდექსი.

მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის 2005 წლის ანგარიშით, საქართველო რეფორმების გატარების ტემპის მიხედვით, პირველ ადგილზეა, ბიზნესის წარმოების გამარტივების კუთხით კი ქვეყანამ ერთ წელიწადში მსოფლიო რეიტინგში 112-ე ადგილიდან 37-ე ადგილზე გადაინაცვლა.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება პროგრამით გათვალისწინებული **მეოთხე** ნაბიჯია.

**მიხეილ მაჭავარიანი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი:** „არ არის სფერო, რომელსაც რეფორმირება არ შეეხო, მაგრამ ჩვენ უფრო მეტი გვინდა. ჩვენთვის მთავარია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, მაგრამ ასევე მთავარია, რომ არ ავყვეთ იმ პროვოკაციებს, რომელსაც საქართველოს მტრები გეგმავენ. მათ იციან, რომ ახლა საქართველოს ხელი თუ არ შეუშალეს, ჩვენი სამშობლო უკვე ფონს არის გასული. ჩვენ დანის პირზე გავდივართ“.

**ნაბიჯი მეხუთე** თბილისისა და ფოთის მერების არჩევითობა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მთლიანობის შესახებ კანონის მიღებაა.

**გიგი უგულავა, თბილისის მერი:** „საქართველოს ისტორიაში პირველად თვითმმართველობა რეალურად განხორციელდა. ამ თვალსაზრისით თავისუფლებისკენ ნაბიჯი საქართველომ უკვე გადადგა. გადადგმულია კიდევ ერთი ნაბიჯი — საპენსიო და სახელფასო დავალიანებების სრული დაფარვა, ჯანდაცვის პროგრამების სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისკენ მიმართვა. გასამმაგდა პენსია და ყველა ძველი დავალიანება გასტუმრებულია. ჩვენ უკვე შემოვიტანეთ თბილისში და მალე მთელ საქართველოში გავრცელდება სტაჟისა და დამსახურების ცნება, რომელიც საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ გაუქმებული იყო. მიუხედავად იმ ფუჭი ყიჟინისა, რომელიც ჩვენი პოლიტიკური ოპონენტების მხრიდან ისმოდა, საქართველომ მართლაც გადადგა ნაბიჯი და რეალურად განხორციელდა თვითმმართველობა, დეცენტრალიზაცია. საუბარი იყო ფოთისა და თბილისის მერის არჩევითობაზე. დღეს უკვე თბილისის და ფოთის მერი არჩეულია“.

**ნაბიჯი მეშვიდე** — ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის შემოღება სამართალდამცველი სტრუქტურების დეცენტრალიზაცია, სისხლის სამართლის კოდექსის მხარეთა თანასწორობის პრინციპზე დაფუძნება.

**ზვიად ძიძიგური, ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ თავმჯდომარე:** „ამ საკითხების ძირითადი ნაწილი ვერ განხორციელდა. მაგალითად, ავიღოთ დამოუკიდებელი სასამართლო. დღეს ქვეყანაში უფრო ნაკლებად არის სასამართლო დამოუკიდებელი, ვიდრე ეს „ვარდების რევოლუციამდე“ იყო.

ადამიანის უფლებებიც არანაკლებ ცუდ მდგომარეობაშია, ვიდრე რევოლუციამდე იყო. სასამართლო რეფორმის კუთხით, ვერ ვიტყვი რომ რამე ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა“.

**მეცხრე და მეათე ნაბიჯები** სახელმწიფომ გადადგა. საგანმანათლებლო დაწესებულებებს ფინანსური და ადმინისტრაციული დამოუკიდებლობა მიენიჭა. სტუდენტების მიღება ერთიანი ეროვნული გამოცდებით ხდება. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული რეფორმა გამოდგა. ობიექტურად ჩატარებულმა ერთიანმა ეროვნულმა გამოცდებმა საზოგადოების მაღალი ნდობა დაიმსახურა.

სიტყვისა და პრესის შესახებ კანონი მიღებულია. სახელმწიფო ტელერადიოკომპანია კი საზოგადოებრივ მაუწყებლად გარდაიქმნა.

ათი ნაბიჯი თავისუფლებისკენ! მმართველი პარტია აღნიშნავს, რომ პრაქტიკულად ეს იყო ჩვენი დროის ათი მცნება, რომელიც ხელისუფლებამ შეასრულა.

**მზია გელენავა.**

◎ ინფორმაცია

## ყაზახეთის კულტურის დღეები

**საქართველოში ყაზახეთის კულტურის დღეები - „გზაჯვარედინი: ყაზახეთი – საქართველო“ ოფიციალურად გაიხსნა.**

**კულტურის დღეები საქართველოს კულუტრის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა და ბანკ „ტურანალემის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ მუხტარ აბზიალოვმა გახსნეს.**

**„ორ ქვეყანას შორის საკმაოდ მჭიდრო კულტურული ურთიერთობები არსებობდა, რომელიც ბოლო პერიოდში, მიზეზთა გამო, შესუსტდა. ჩვენი სურვილია საქართველოსა და ყაზახეთს შორის კულტურათა დიალოგი XXI საუკუნეში აქტიურად გაგრძელდეს და დაგეგმილი ღონისძიებებიც ამის დასაწყისია“, — განაცხადა გაბაშვილმა.**

**დღეს კინოთეატრ „ამირანში“ ქართველ და ყაზახ ხელოვანებს შორის მრგვალი მაგიდა გაიმართება. ქართველებიდან საუბრებში მონაწილეობას მიიღებენ ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი ზაზა აბაშიძე, კინომსახიობთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გიორგი მარგველაშვილი, პოეტი ლია სტურუა და ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორი დავით საყვარელიძე.**

**ინტერპრესნიუსი**

◎ მწერლის თვალთახედვით

# დავითმა გოლიათი შურდულით დასცა

## რაო, ბატონო მელაო?

ხალხური ზეპირსიტყვიერება, ასე თუ ისე, ყველამ იცის, მაგრამ ჩიტი-ჩიორასა და მელაკუდას ზღაპარი რატომღაც მივიწყებას მიეცა. მოდით, გავიხსენოთ. მივიდა მელაკუდა იმ ხესთან, სადაც ჩიტსა-ჩიორასა ბუდე გაეკეთებინა და უთხრა:

**ჩიტო, ჩიტო ჩიორაო,**
**რაო, ბატონო მელაო?**
**ერთი ბარტყი გადმომიგდე,**
**თორემ შავ დღეს დაგაყენებ,**
**ცულს მოვიტან ცუნცულასა,**
**ხელეჩოსა, წალდუნასა,**
**ხესაც მოვჭრი, ხის ძირსაცა,**
**შენც შეგჭამ და**
**შენს შვილსაცა...**

შეშინდა ჩიტი-ჩიორა და გადაუგდო ბარტყი, მაგრამ მოისვენა მელამ? არა და არა! ჩიტსა-ჩიორასა რომ ეგონა, მეშველა, მოვიშორე ეგ ავაზაკიო, დაბრუნდა მელა და იგივე მუქარით ისევ მოსთხოვა ბარტყი. ასე შეუჭამა ცბიერმა ყველა ბარტყი უბედურ დედა ჩიტს.

რამე გაგახსენათ ამ „ეპოსმა?!“ ვთქვათ, ვითომც „ჩამტკბარი“ რუსეთის მიერ შეჭირვებული საქართველოსთვის **„მეგობრობისა“** და **„მშვიდობის“** ნიშნად წაგვრილი აფხაზეთი და შიდა ქართლი?!

მერედა, დაკარგა მადა მელამ?! არა, ბატონებო, ახლა აჭარას წასწვდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ჩიტი-ჩიორას ქვეყანაში გონს მოეგნენ და ხელი დააბანინეს. ამის შემდეგაა, რომ მელაკუდა ცულმომარჯვებული დასუნსულებს და ძირში მოთხრით გვემუქრება, მაგრამ მის ჯიბრზე ჯერაც ვდგავართ და, თუ არ შევდრკებით, უკაცრავად კი ვარ, მაგრამ ფეხებსაც ვერ მოგვჭამს.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ იცით რა გამკვირვებია? — ევროპელები რომ ვერ მოსულან გონს. ხომ თითქმის გუშინ იყო, რუსეთს რომ მთელი აღმოსავლეთ ევროპა ჰყავდა ჩაყლაპული და გავეშებული ეტანებოდა ავსტრიას, მთლიანად ბერლინს, ეგვიპტეს და ლათინურ ამერიკასაც კი? დღესაც გაავებული უღრენს ბალტიისპირეთსა და პოლონეთს, ევროპას ზამთარში გაყინვით ემუქრება, თუ მის დაკრულზე არ იცეკვებს. გალიბერალებული ევროპელები კი რაღაც უფლებებზე, ხელშეკრულებებზე ლაპარაკობენ და, იმედს გამოთქვამენ, რომ რუსეთი გონს მოვა. არა, ბატონებო, თავს ნუ იტყუებთ, რუსეთი ნებით არაფერს დათმობს. თუ თითოთითო ბარტყს აღარ გადავუგდებთ და მაგრად დავუდგებით, მაშინღა მოეგება გონს. გაიხსენეთ ისტორია და ნუ დაუჯერებთ მელაკუდას ცბიერ ღიმილს. რუსეთმა ძველი ხელობაც — მოწინააღმდეგის ფიზიკური განადგურებაც „გაიხსენა“; ჯერ იყო და ამ ორიოდე წლის წინათ საამიროებში ჩეჩენი ლიდერი **იანდარბიევი** ააფეთქეს; მერე ბიზნესმენ ბერეზოვსკის მიუგზავნეს მკვლელი; ამერიკის მოქალაქე, ჟურნალისტი **პოლიტკოვსკაია** მოკლეს... როცა უშიშროების ფედერალური სამსახურის ოფიცერმა ამის გამო სინდისის ქენჯნა იგრძნო (თურმე ყველაფერი ხდება ცხოვრებაშიძ და თქვა, პოლიტკოვსკაიას ლიკვიდირების დავალება მივიღეო და რუსეთის სპეცსამსახური თავისსავე ქვეყანაში საცხოვრებელი სახლის აფეთქებაში ამხილა ***(კიდევ კარგი, საქართველოში დროზე გაბაწრეს ეს არამზადები, თორემ კაცმა არ იცის, რას ჩაიდენდნენ, რა ტრაგედიას დაატრიალებდნენძ,*** მოწამლეს და ლონდონის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ბოროტების იმპერიაში ეს ტრადიცია რევოლუციამდეც არსებობდა. იყო ასეთი პროვოკატორი **აზეფი**, რომელსაც რუსეთის სპეცსამსახურებმა თვით იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრი მოაკვლევინა!!! რატომო, იკითხავს გულუბრყვილო? რატომ და იმიტომ, რომ ხელ-ფეხი გახსნოდათ და უსაზღვრო ტერორი დაეწყოთ ქვეყანაში. იგივე მოხდა კიროვის მკვლელობის დროსაც. ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.



ფაქტი ერთია — ბოროტების იმპერია არასოდეს შეიცვლება. მისთვის მორალი და ზნეობა მხოლოდ ტუალეტში გამოსაყენებელი საშუალებაა. ეს მინდა იმათაც შეიგნონ, ვინც გვიკიჟინებს, რუსეთი ძლიერია, უნდა დავუთმოთო. რა უნდა დავუთმოთ, ბატონებო, ჩვენი ქვეყანა (დამერწმუნეთ, იგი ნაკლებს არ დასჯერდებაძ? ვინმე ღონიერს რომ თქვენი მეუღლე, შვილი ან საცოლე მოეწონოს, ბუჩქებში უნდა შეძვრეთ? ისე ნუ გამიგებთ, თითქოს ჯიქურ დატაკებას ვურჩევდე ჩვენს ქვეყანას, მაგრამ ერთ ბიბლიურ ამბავს შეგახსენებთ — **დავითმა გოლიათი შურდულით დასცა...**

**ნოდარ კობერიძე**

***P. S. ერთი კარგი ამბავიც. 1920 წელსაც გამოგვიცხადა ბლოკადა რუსეთმა, ჩემი აგენტების დაჭერა როგორ გაბედეთო. მაშინაც უამრავი ღვინო დაგვიგროვდა, და მაშინ ხელისუფლებამ გამოსავალი ვერ გამონახა. დღეს გამოსავალი აშკარად ნაპოვნია, ასე რომ, ნელ-ნელა იმ შურდულსაც მოვიგდებთ ხელთ, გოლიათი ძირს რომ დასცა.***

***ნ. კ.***

№ 231. შაბათი, 25 ნოემბერი, 2006 წელი.

# დღევანდელობა

- კარგის ქმნა გადაფარავს სიდუხჭირესა და უსამართლობას
- კარგის დაუნახაობა მკრეხელობაა..



◉ წარდგინება

# მოდის მატარებელი...

## თანაც როგორი, მართლაც თანამედროვე, ჭეშმარიტად კომფორტული ელექტრომატარებელი





**გუშინ თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში მრავალ სტუმარს მოეყარა თავი. შუაგულ ეზოში ახალი ტიპის ელექტრომატარებელი თავმომწონედ გამოიყურებოდა.** საქართველოს დროშის ფერებში შეღებილ ელექტრომატარებელს ინტერესით ათვალიერებდა ყველა. ფართო, ორადგილიანი რბილი სავარძლებით დაკომპლექტებული ვაგონი სრულიად ახლებურად, თანამედროვე, ევროპული სტანდარტების დონეზეა გამართული და იგი უთუოდ მოეწონება ნებისმიერ მგზავრს.

როგორც შპს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალურმა დირექტორმა ირაკლი ეზუგბაიამ დამსწრე საზოგადოებას განუმარტა, ასეთი ტიპის, მოდერნიზებული ელექტრომატარებელი პოსტსაბჭოურ სივრცეში პირველია, გამოირჩევა უმაღლესი კომფორტითა და სისადავით, ძალიან მოხერხებულია მგზავრთათვის.

სტენდზე გამოკრულ ფოტოებზე კარგად ჩანდა ამ ელექტრომატარებლის პირვანდელი სახე, ქარხნის თანამშრომელთა ძალისხმევითა და მონდომებით იგი ზუსტად ორ თვეში სრულიად განახლდა, რაც 3,9 მილიონი ლარი დაჯდა.

ქარხნის ფინანსურმა დირექტორმა **გიორგი ურუშაძემ** გვითხრა, რომ ელექტრომატარებელი 8 ვაგონისგან შედგება, რომელთაგან თითოეულში 56 ადგილია, გაუმჯობესდა ელექტრომატარებლის სიჩქარე, მუხრუჭები, განახლდა მართვის სისტემები, ავტომატურად იღება კარები, კონდიციონერი კი მთელი გზის მანძილზე არ გამოირთვება. ტექნიკურად გამართულია და ზედმეტი ცვეთა გამორიცხულია.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი **გიორგი არველაძე** კმაყოფილი დარჩა ნანახით და აღნიშნა, რომ მძიმე მრეწველობის, კერძოდ, მანქანათმშენებლობის დარგში ეს ნამდვილად წინ გადადგმული ნაბიჯია. ასეთი უნიკალური, მოდერნიზებული ელექტრომატარებელი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას უთუოდ გაახარებს, მით უმეტეს, რომ მგზავრობის საფასური სამარშრუტო ტაქსზე უფრო იაფი იქნება.

**მოდერნიზებული, კომფორტული ელექტრომატარებელი სავარაუდოდ თბილისი-ფოთის მიმართულებით ივლის და ათასობით მგზავრს მოემსახურება.**

**ლალი ქინქლაძე**

◉ ინფორმაცია

### და... „კუკუშკა მიგვაქროლებს წინ“

**„ბორჯომ-ბაკურიანის“ მიმართულებით განახლებული „კუკუშკა“ იმოძრავებს.**

**როგორც შპს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალურმა დირექტორმა ირაკლი ეზუგბაიამ განაცხადა, 4-ვაგონიან შემადგენლობას რკინიგზის დაკვეთით „თბილისის ვაგონშემკეთებელი ქარხანა“ ამზადებს.**

**ახალი კუკუშკა და სადგური მზად იანვრის ბოლოს იქნება. ბორჯომ-ბაკურიანის ძველ „კუკუშკას“ თებერვლიდან ახალი ჩაენაცვლება. მისი დამზადება დაახლოებით 720-000 ლარი დაჯდება.**

**ინტერპრესნიუსი**



◉ მღელვარე დღეების ექო

### შხამგარეული ბადაგი?

**სენსაციების სიმცირეს ნამდვილად არ ვუჩივით. ვუჩივით კი არა, თავზე საყრელადაც კი გვაქვს. ზოგიერთი ისეა აბურდულ-დაბურდული, თავსა და ბოლოს ვერ გაუგებ.** როგორც წესი, ერთ მათგანს მეორე ენაცვლება, სიტუაციაში გარკვევას



ვერ მოასწრებ და ახალი პრობლემა წამოტივტივდება.

ზოგიერთი მათგანი აშკარად თეთრი ძაფით არის ნაკერი, მაგრამ მავანი და მავანი საგულდაგულოდ ცდილობს მათ მიჩქმალვას. სასამართლო ორგანოები მიუტევებლად აჭიანურებენ საქმეს, ისე მიუტევებლად, რომ ნდობის არანაირი შანსი აღარ დაგვიტოვეს. ასე ბოლომდე გაუხსნელი რჩება გირგვლიანის საქმე, რომ აღარაფერი ვთქვათ კვიციანის „ამბოხებაზე“. აგერ, რა ხანია, არც ერთის შესახებ აღარ გვაქვს ინფორმაცია, თუ არ გავითვალისწინებთ იმას, რომ საკუთარი შვილის ავადმყოფობის მომიზეზებით მოსამართლემ გირგვლიანის საქმის განხილვა მთელი თვით გადადო.

ამასობაში ბომბივით გავარდა „ბადაგონის“ „აფიორა“. **მოსახლეობამ წესიერად ვერც კი აღიქვა პრეზიდენტის ფრიად ამაღლებული განწყობილება, ევროპული სტანდარტების ქარხანა ავამუშავეთო, რომ ფინანსურმა პოლიციამ ცივი წყალი გადაგვასხა — „ბადაგონის“ საფერავი საკანალიზაციო არხში ჩაღვარა.** სხვათა შორის, ქარხნის საზეიმო გახსნისას პრეზიდენტს მხარს უმშვენებდა პეტრე ცისკარიშვილიც, რომელიც სავსებით იზიარებდა საყოველთაო სიხარულს, რამდენიმე დღის შემდეგ კი მკერდში მჯიღს იბრაგუნებდა, ფალსიფიკაციას არც არავის ვაპატიებთ და მომავალშიც ხმალამოღებულები შევებრძოლებითო.

„ბადაგონის“ ისტორია ერთხელ კიდევ გვიმტკიცებს, რომ **სახელისუფლებო ორგანოებში არ იციან, მარცხენა რას აკეთებს და მარჯვენა — რას. როგორ დავიჯეროთ, რომ ქარხნის აფიორაზე, თუ ეს ნამდვილად იყო, სამინისტრომ ადრევე არაფერი იცოდა? თუ იცოდა, რატომ დუმდა, რატომ გამოაჭენა პრეზიდენტი მთელი მსოფლიოს წინაშე? ცნობილია, რომ ამის თაობაზე სათანადო პილპილით შეზავებული სიუჟეტი რუსეთის ტელეარხებმა საოცარი ოპერატიულობით აიტაცეს!** რა უთხრეს მათ ამით ჩვენს სავარაუდო პარტნიორებს? რა უთხრეს და ეს ხალხი სანდო არ არის, ერთს ლაპარაკობენ და მეორეს აკეთებენ, ვინაიდან ფალსიფიკაციისკენ ლტოლვა ძვალ-რბილში აქვთო გამჯდარი. ასე ჩააყენეს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და ახალმა მინისტრმა ქვეყნის პრეზიდენტი უაღრესად მძიმე და უხერხულ მდგომარეობაში. ბარაქალა თქვენ „სამტრესტელებო“, კაცი უარესს ვერც მოიფიქრებდა!

ამასობაში „ბადაგონის“ ხელმძღვანელობა მოუთმენლად ელის პასუხს იტალიიდან, მართლა ფალსიფიცირებული იყო თუ არა ქარხნის პროდუქცია. „ბადაგონის“ პრეზიდენტი თემურ უბილავა მომხდარს პოლიტიკურ შეკვეთას და გაუგებრობას უწოდებს. **ვინ არის შემკვეთი და ვის დაადგა ყელზე „ბადაგონი“, რომელსაც ევროპის ბაზარზე გზა თითქმის გახსნილი ჰქონდა? ვის ინტერესებში არ შედიოდა მისი წარმატება?**

ვიდრე ამ კითხვებზე პასუხს მივიღებდეთ, ტელეარხი „იმედი“ ისევ დიდი მონდომებით ატრიალებს კლიპს „ბადაგონის“ შესანიშნავ პროდუქციაზე. არადა, აღარ იცი, ვის დაუჯერო — პრეზიდენტს, ახალგამომცხვარ მინისტრს, ღვინის ქარხნის ხელმძღვანელებს, იტალიელ პარტნიორებს თუ ტელეჟურნალისტებს. ამასობაში ახალი თავსატეხის წინაშე დგანან ორიენტაციადაკარგული ბიზნესმენები და მეწარმეები: არის კი ქვეყანაში ორგანო, მათ ინტერესებს რომ დაიცავს? რომ იყოს, ალბათ ეჭვის ქვეშ არ დააყენებდა სამოცმილიონიან ინვესტიციას, რომლის გალებაზე იტალიელები უკვე უარს ამბობენ. უშველის ვითომ საქმეს მუდამ დაღლილი და უემოციო პრემიერ-მინისტრის ორსაათიანი მივლინება ახმეტაში?

ასე ქვეყანა არც აშენებულა და არც აშენდება... მით უმეტეს, რომ რეიდები გრძელდება — მარტო სენაკში 5 ათასი ბოთლი „ალაზნის ველი“ გაანადგურეს. საწარმოს ხელმძღვანელი ნანა ახალაძე სასამართლოში ჩივილით იმუქრება.

ვინ იქნება შემდეგი?

### „დაგვიბრუნებენ, არ დაგვიბრუნებენ“...

**მღელვარების ტალღამ გადაუარა ავტომფლობელთა უზარმაზარ არმიასაც: მოულოდნელმა გადაწყვეტილებამ გადასახადის თაობაზე ბევრს თავგზა აუბნიათ.** თუ 2002 წლამდე გამოშვებული ყველა ტიპის ავტომანქანის გადასახადი 5 ლარია, შემდგომი წლების პროდუქცია 300 ლარამდე თანხით იბეგრება. სავალალო ის არის, რომ ფინანსურ პოლიციას მძღოლები არ გაუფრთხილებია, ისე დააყენა არჩევანის წინაშე — ან ფული, ან სული! მთელს ქალაქში ამის გამო სათანადო ინფორმაცია მხოლოდ 8 ათას კაცს ჰქონდა!

ამ გაუგებრობამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია პარლამენტშიც და სახელისუფლებო ორგანოებშიც. ვინ რა თქვა და ვინ რა. ზოგი კაცისკენაა, ზოგი — ეშმაკისკენ! პარლამენტარ ზურაბ ცქიტიშვილის აზრით, ავტომანქანის გადასახადის შეტანაზე თურმე რიგები



იმიტომ დადგა, რომ **ადამიანებმა გადახდის მიმართ პასუხისმგებლობა იგრძნეს (?!ძ. ნუთუ? გადასახადის მიმართ ქართველ კაცს პასუხისმგებლობა ყოველთვის ჰქონდა, მაგრამ თუ დროზე ვერ იხდიდა, უფულობის გამო ვერ იხდიდა! რიგები კი იმიტომ დადგა, რათა ხალხს მთავრობის მხრიდან ახალი თავსატეხი აეცილებინა!**

მძღოლებს უკანონოდ ხომ გადაახდევინეს და გადაახდევინეს, ახლა, თურმე, ისიც პრობლემაა, როგორ, რა გზით დაუბრუნონ უკან ეს თანხა! აი, კიდევ ერთი ფაქტი იმისა, რომ ბევრ უწყებაში უპასუხისმგებლო და უცოდინარმა ადამიანებმა მოიკალათეს!

მართლაც, „ბნელა მზიან ქვეყანაზე“?

### ვის სჭირდება ასეთი წესრიგი?

**ქალაქში წესრიგი მყარდება — მეტროების მისასვლელები ხელზე მოვაჭრეებისა და წვრილ-წვრილი მაღაზიებისგან გაწმინდეს.** ამ პროცესს ვარკეთილის მეტროსთან მე თვითონ შევესწარი. ნამდვილი ცოდვის კითხვა იყო! ცრემლსაც უხვად ნახავდით და წყევლა-კრულვასაც ბევრს მოისმენდით. მერიის ამ ღონისძიების მიმართ კანონიერების თვალსაზრისით არანაირი გართულება და პრეტენზია არა მაქვს, მაგრამ, აი, ადამიანურობის მხრივ კი ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს: წინ გვიძევს მკაცრი და დაუნდობელი ზამთარი — ნამდვილი აფთარი, ქალაქის მერია კი ცეცხლზე ნავთსასხამს: **თქვე კაიდედმამიშვილებო, გაჭირვება თუ არ გამოგიცდიათ, გაჭირვებული ნათესავ-მეზობელი მაინც არა გყავთ? ამ გაგანია ზამთრის მოლოდინში რამ მოგაფიქრათ ისედაც გასაცოდავებული ხალხის ულუკმაპუროდ დატოვება? თუ დაიანგარიშეთ, რამდენ ოჯახს გამოაცალეთ პირიდან ლუკმა!** ხომ მოგეხსენებათ, რომ ახლანდელი ეკონომიკური სიდუხჭირის დიდი ტვირთი სწორედ ხელისუფლების არაგონივრულ ღონისძიებებზე მოდის. ამ უთავბოლობას ბოლო არ ელება, ვერა და ვერ ამოისუნთქა ადამიანმა და თქვენი უპასუხისმგებლობის, არაკომპეტენტურობის გამო ისევ იმათ სჯით? სწორედ რომ ვერაფერი ნუგეშია!

**გური ჯანელია**

№ 231. შაბათი, 25 ნოემბერი, 2006 წელი.

● უნდა ეზრუნა მთავრობას, როგორმე გამოენახა საჭირო თანხები გაზსაცავის ასაშენებლად. იქნებ კრიზისის დროს იგი სათანადოდ გამოგვეყენებინა. გაზსაცავების მშენებლობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საქართველოში ბუნებრივი გაზის მოხმარებას. ამიტომაც დროულად უნდა დავიწყოთ იგი



№ 231. შაბათი, 25 ნოემბერი, 2006 წელი.

ⓞ ინფორმაცია

## ქვა აღმართში მოგვეწია?

ჩრდილოეთ ოსეთში მოზდოკის რაიონში მაგისტრალური გაზსადენი „ჩრდილოეთ-კავკასია-ამიერკავკასია“ აფეთქდა.

აფეთქება სოფელ კიევსკაიადან 26 კილომეტრში მოხდა. აფეთქებულია მაგისტრალური გაზსადენის 2 მილიდან ერთი 700-მილიმეტრიანი მილი.

როგორც ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ აჩიკო ნიკოლაშვილმა განაცხადა, საქართველო ბუნებრივ აირს 1200-მილიმეტრიანი გაზსადენიდან იღებს, თუმცა მისივე თქმით, აღნიშნული 700-მილიმეტრიანი გაზსადენი სათადარიგოა და საქართველოსთვის მნიშვნელოვანი.

როგორც „იტერა საქართველოს“ წარმომადგენელმა თემურ გაჯიევმა განაცხადა, ამჟამად საქართველოს გაზმომარაგება აღნიშნული გაზსადენით ხორციელდება. ჩვენ ჯერჯერობით ოფიციალური შეტყობინება არ მიგვიღია. თუმცა ვცდილობთ გავერკვეთ ვითარებაში“.

* * *

ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის ალეკო ხეთაგურის ინფორმაციით, ის 700-მეტრიანი გაზსადენი, რომელი მოზდოკის რაიონში აფეთქდა, საქართველოსთვის გაზის მოწოდებასთან დაკავშირებით პრობლემას არ შექმნის.

„2001 წლიდან აღნიშნულ გაზსადენს საქართველო აღარ იყენებდა და იგი არც სარეზერვო გაზსადენი ყოფილა. ის გაზსადენი, რომელიც გუშინ აფეთქდა, რუსეთის შიდა ძაელი იყო. ამ მომენტისთვის ის აბონენტები, რომლებიც აღნიშნული მილიდან იღებდნენ გაზს, სხვა მილსადენზე არიან მიერთებულნი. პრობლემა თავად რუსეთშიც არ არსებობს და ცხადია, არც ჩვენთვის იქნება. ამ მილსადენიდან ჩვენ გაზს არ ვიღებდით,“ — განაცხადა ალეკო ხეთაგურმა.

მისივე ინფორმაციით, „მოზდოკი-თბილისის“ გაზსადენს სახელწოდება ისტორიულად შემორჩა და სწორედ ამიტომ ატყდა აჟიოტაჟი, რომ ეს იყო ის მილსადენი, რომლითაც საქართველო რუსეთისაგან გაზის იმპორტს ახორციელებდა.

* * *

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში გია ხუხაშვილი საუბარში ჩრილოეთ ოსეთის „ჩრდილოეთ-კავკასია-ამიერკავკასია“ 700-მილიმეტრიანი გაზსადენის აფეთქებას რუსეთის მხრიდან ერთგვარ გაფრთხილებას უწოდებს და აცხადებს, რომ რუსეთმა საქართველოს გარკვეული მინიშნება მისცა ზამთარში მოსალოდნელ პრობლემებთან დაკავშირებით.

„ჩრდილოეთ-კავკასია-ამიერკავკასიის“ გაზსადენის აფეთქება არა მგონია პირდაპირ რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საქართველოს მხრიდან უარის თქმას უკავშირდებოდეს.

მიმაჩნია, რომ რუსეთმა საქართველოს კიდევ ერთი მინიშნება მისცა და გააფრთხილა, რომ მას კიდევ შესწევს უნარი და ძალა, რომ საქართველოზე ზეგავლენა მოახდინოს“.

ჯი-ეიჩ-ენი

ⓞ ენერგოუზრუნველყოფა

# გაზსაცავი, იცოცხლეთ, კი გვინდა, მაგრამ სადაა

***ახლა შინ თუ გარეთ ყველგან გაზზეა ლაპარაკი. შიშით დაზაფრული ადამიანები ერთმანეთს ეკითხებიან: ამ ზამთარს ნეტავი გვექნება გაზი? ხომ არ გავიყინებით; მოკლედ, ყველაზე აქტუალური გაზის თემა გახდა.***

***კარგა ხანია გაზი ჩვენი ყოველდღიურობის თანამდევი გახდა. მაინც როდის შემოიჭრა იგი ჩვენს ცხოვრებაში და რა პრობლემებია ამ დარგში? ამის თაობაზე ვესაუბრეთ ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატს ხათუნა ჩომახიძეს, რომელიც სპეციალურად მუშაობდა ამ საკითხზე.***

**— მაინც როდის დაიწყო საქართველოში გაზიფიკაციის განვითარება და დღემდე რა მასშტაბით მოაღწია?**

— გაზიფიცირების სამუშაოები ჩვენთან ოფიციალური მონაცემებით გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლების ბოლოს 1958 წელს დაიწყო. სინამდვილეში კი ჩვენს ქვეყანაში ბინების გაზიფიკაცია უფრო ადრე, 1956 წელს დაიწყო, ოღონდ მაშინ თხევად გაზს იყენებდნენ.

მაშინ თხევადი გაზი თბილისის მოსახლეობას მცირე რაოდენობით ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნიდან ბალონებით მიეწოდებოდა.

ქვეყანაში ბუნებრივი გაზის შემოსვლის შემდეგ საქართველოს გაზიფიკაცია სწრაფი ტემპით ვითარდებოდა. ამის გამო არსებული გაზსადენის სიმძლავრე და გაზის რესურსები არასაკმარისი აღმოჩნდა. საჭირო შეიქმნა დამატებითი რესურსების მოძიება. ამიტომ 1970-1978 წლებში საქართველოს გაზმომარაგება ირანიდან ხორციელდებოდა. 1960-1990 წლებში ქვეყანაში ბუნებრივი გაზის მოხმარება 13,3-ჯერ, გაზიფიცირებული ბინების რაოდენობა 144,1-ჯერ, გაზსადენების სიგრძე დაახლოებით 60-ჯერ გაიზარდა. 1990 წლისთვის უკვე გაზიფიცირებული იყო 48 ქალაქი და 230 სოფელი, 600 ათასამდე ბინა, 800-მდე სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმო — 1500 თბომომარაგების საქვაბე, 2000 კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტი და ა.შ.

მთელს საბჭოთა კავშირში საქართველოში გაზის მოხმარება თავისი სიდიდით გამორჩეული იყო, რაც ჯერჯერობით სარეკორდოა საქართველოს ისტორიაში.

ამ პერიოდში მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა მაგისტრალური გაზსადენების მშენებლობის მიმართულებით.

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში განხორციელდა რუსეთის სამხრეთისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების გაზსადენების რეკონსტრუქციის სამუშაოები. ამიერკავკასიის რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს გაზმომარაგება თურქმენეთის გაზის მიღებაზე გადაირთო.

საქართველოს ცალკეული რეგიონებიდან ბუნებრივი გაზი ყველაზე დიდი რაოდენობით თბილისში იხარჯებოდა — 2040,7 მილიონი კუბური მეტრი. მაშინ დედაქალაქზე მოდიოდა გაზის საერთო ხარჯის მესამედზე მეტი.

თბილისში ბუნებრივი გაზის მოხმარება 2004 წელს 1989 წელთან შედარებით 5,8-ჯერ შემცირდა,



ანუ დაეცა 353,1 მილიონ კუბურ მეტრამდე. გასული წლების ცნობილმა მოვლენებმა მძიმე დაღი დაასვა გაზგამანაწილებელ კომპანიებს. 1995-1996 წლის პირველი ნახევარში თბილისს, ისე როგორც მთელ საქართველოს (გარდა რუსთავისა და ყაზბეგის რაიონისა), გაზი არ მიეწოდებოდა.

**— საქართველოში ბუნებრივ გაზს ალტერნატივა არა აქვს. გაზი ქვეყნისთვის ყველაზე იაფი, ეკოლოგიურად შედარებით სუფთა და მოსახერხებელი საწვავია. არსებული მაგისტრალური გაზსადენები და გამანაწილებელი ქსელები ქვეყნის სიმდიდრეა, რომლის მიზანმიმართულად გამოყენება, დიდ სიკეთეს მოუტანს ქვეყანას, ასე არ არის?**

— რა თქმა უნდა. განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობის გამო საქართველო უნიკალურია სატრანზიტო გაზსადენების გასაყვანად. ამჟამად პრაქტიკულად გადაწვეტილია ბუნებრივი გაზის მძლავრი ნაკადების გატარება აზერბაიჯანიდან და, შესაძლებელია, ცენტრალური აზიიდან დასავლეთისაკენ.

საქართველო გაზს იღებს რუსეთიდან, რომლის ძირითადი მარაგი ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის სანაპიროზეა. მოსალოდნელია გაზის მარაგის აღმოჩენა თვით საქართველოშიც.

**— ხომ გვიმტკიცებდნენ — საქართველოში გაზი არისო, თუ შეიძლება გვითხარით, რატომ ვერ ვახერხებთ მის გონივრულად გამოყენებას?**

— კომპანია „საქნავთობის“ მონაცემებით, 2001 წლის 1 იანვრისათვის საქართველოს წიაღიდან ამოღებული იყო 330 მილიონი კუბური მეტრი თავისუფალი და 2,38 მილიარდი მეტრი თანამდევი გაზი. გარდა ამისა, საქართველოს სახმელეთო და საზღვაო ტერიტორიებზე დათვლილია თავისუფალი გაზის პროგნოზული რესურსები 155 მილიარდი კუბური მეტრის ოდენობით.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ გაზის აღნიშნული მარაგი შემდგომ დაზუსტებას საჭიროებს. ამის მიზეზია საბადოების უხარისხოდ შესწავლა, აგრეთვე ის ფაქტი, რომ არსებული დამუშავებისა და შესაბამისი ინფორმაციის მოსაპოვებლად ნაკლებადაა გამოყენებული მოწინავე ტექნოლოგიები. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ფაქტორთა გათვალისწინებით, აღნიშნული მარაგი მნიშვნელოვნად გაიზრდება.

**— ქალბატონო ხათუნა, ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დიდი მნიშვნელობა აქვს გაზის სახელმწიფო რეზერვების შექმნას. რა უნდა გაკეთდეს ამ მიმართულებით?**

— აუცილებელია, რომ ქვეყანას ასეთი რეზერვი წლიური მოთხოვნილების დაახლოებით 20-30 პროცენტის მოცულობით გააჩნდეს. გაზის შენახვის ყველაზე რენტაბელური და პოპულარული საშუალებაა მიწისქვეშა გაზსაცავის შექმნა ნავთობისა და გაზის გამომუშავებულ საბადოებში, წყლიან ფენებსა და ხელოვნურ მარილოვან კავერნებში.

საქართველოში გასული საუკუნის 90-იან წლებში გერმანულ და რუსულ ფირმებთან ერთად განხორციელდა გაზსაცავის მშენებლობის წინასწარი პროექტირება სამგორის სამხრეთი თაღის საბადოებზე. პროექტის განხორციელებას ხელი შეუშალა უფინანსობამ და სხვა ობიექტურმა მიზეზებმა.

არადა, მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობის დაჩქარება ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტუალურია.

**— სწორედ ამიტომაც უნდა ეზრუნა მთავრობას, როგორმე გამოენახა საჭირო თანხები გაზსაცავის ასაშენებლად. იქნებ კრიზისის დროს იგი სათანადოდ გამოგვეყენებინა.**

— პრობლემის გადაჭრის მიზნით შესწავლილია სამგორის სამხრეთი თაღისა და სამგორ-პატარძეულ-ნინოწმინდის ნავთობის საბადოების სამთო-გეოლოგიური და ტექნიკურ-ტექნოლოგიური პირობები. მის საფუძველზე სავარაუდოდ შესაძლებელია გაზის მიწისქვეშა საცავების კომპლექსის მშენებლობა. გაზსაცავის საერთო მოცულობა შეადგენს 13,2 მილიარდ კუბურ მეტრს, ხოლო აქტიური მოცულობა — 5,9 მილიარდ კუბურ მეტრს.

**— მაინც რას ითვალისწინებს პროექტი?**

— სამუშაოების განხორციელება შესაძლებელია ეტაპობრივად. პირველ ეტაპზე მიწისქვეშა გაზსაცავი შეიქმნება ნინოწმინდის თაღზე. მისი საერთო მოცულობა 1,25 მილიარდი კუბური მეტრია, აქტიური მოცულობა კი — 0,75 მილიარდი კუბური მეტრი. ზამთრის პერიოდში გაზსაცავის სადღეღამისო მწარმოებლობა 7,5-10 მილიონი კუბური მეტრია. ეს კი დააკმაყოფილებს თბილსრესის მოთხოვნას გაზის საწვავზე.

ფაქტია, რომ გაზსაცავების მშენებლობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საქართველოში ბუნებრივი გაზის მოხმარებას. ამიტომაც დროულად უნდა დავიწყოთ იგი. ახალი გაზსაცავები დარგში არსებულ ბევრს პრობლემას გადაწყვეტს.

ესაუბრა
**ლალი ქინქლაძე**

ⓞ აკადემია

# ფარულის გასაცხადებლად

**ორსაკითხიანი დღის წესრიგით გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის ბოლო სხდომა.**

კოსმოლოგიაში ფარული მასისა და ფარული ენერგიის პრობლემას მიეძღვნა აკადემიკოს ჯუმბერ ლომინაძის ვრცელი, ილუსტრირებული და ფრიად საგულისყურო მოხსენება.

სამყაროს შესწავლისას ფარული მასის საკითხი დიდი ხანია განიხილება, ფარული ენერგია კი (ვაკუუმის ენერგიადაც წოდებული) მხოლოდ 7-8 წლის წინათ აღმოაჩინეს. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ასეთი ენერგია სამყაროს აჩქარებულ გაფართოებას იწვევს. თეორეტიკოსები აქტიურად შედგნენ ამ ფენომენის ახსნას. რამდენიმე საყურადღებო და პერსპექტიული გამოკვლევა სამყაროს დამატებითი განზომილებების გათვალისწინებას ემყარება, სიმების თეორიას იყენებს და ასე შემდეგ. მოხსენებაში შემოთავაზებული იყო წარმოდგენილი დებულებების ექსპერიმენტული შემოწმება.

ბატონმა ჯუმბერმა „ძველ“ და თანამედროვე გამოჩენილ სწავლულთა რიცხვში არაერთხელ ახსენა ამჟამად აშშ-ში მოღვაწე ორი ახალგაზრდა ქართველი ფიზიკოსი გიორგი (გიაძ დვალი და გიგა გაბაძაძე, რომელთა სახელები, გაუზვიადებლად შევნიშნავთ, პირდაპირ ქუხან საერთაშორისო მეცნიერულ წრეებში და ამის თაობაზე მკითხველს ცალკე მოვუთხროთ.

პრეზიდიუმმა განიხილა ს. ჯანაშიას სახელობის პრემიის მინიჭების საკითხიც. ეს პრესტიჟული საკადემიო ჯილდო ერთხმად მიეკუთვნა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ მანანა ხიდაშელს მონოგრაფიისათვის „რიტუალი და სიმბოლო არქაულ კულტურაში“ (ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობა „მემატიანე“, 2005 წ.

სპეციალისტთა აზრით, ეს არის ახალი, უაღრესად შინაარსიანი გამოკვლევა, დაფუძნებული ძველაღმოსავლური და სამხრეთკავკასიური უძველესი კულტურების შესწავლაზე: შესწავლილია შესაბამისი მენტალური ველი, აქ მოქმედი დაკრძალვის წესები, რიტუალები, ორნამენტული სახეები და ტრადიციები, რომლებშიც გამოვლენილი იყო არქაული ადამიანის მსოფლალქმა. ავტორმა ახლებურად გააშუქა საქართველოს წარსული, სულიერი კულტურის თავისებურებანი, სრულად აგვიხსნა და გასაგები გახადა არქაული ადამიანის სულიერი სამყაროს ხასიათი.

მანანა ხიდაშელის მონოგრაფიული გამოკვლევა არა მარტო ქართული მეცნიერების მნიშვნელოვან შენაძენად უნდა მივიჩნიოთ. აკადემიკოს შალვა ხიდაშელისა და პროფესორ ელენე ვირსალაძის მომხიბვლელი ქალიშვილი ღირსეულად აგრძელებს ოჯახურ მეცნიერულ ტრადიციებს...

**თამაზ ებანოიძე**



● ვაი, იმისთანა ქვეყანას და ვაი, იმისთანა ცხოვრებას, როცა ქალი პურს ჭამს და შვილს ზრდის დამცირების, შეურაცხყოფის, უსირცხვილობის ხარჯზე

◎ საით მივდივართ?

# მწარე ლუკმის საზღაური

## რისთვის გარბიან ჩვენი ქალები უცხოეთში?

**არ გაგიკვირდეთ და, დღესაც გულუბრყვილოდ ვკითხულობ: რატომ გარბიან ჩვენი ქალები უცხოეთში საკუთარი სხეულის გასაყიდად, ნებაყოფლობით მონობის უღლის დასადგმელად, ძალადობისა და უზნეობის ჭაობში ჩასაფლობად?**



ეს აინტერესებდათ მიგრაციის მსოფლიო ორგანიზაციის მუშაკებსაც. მათ მიერ თურქეთში აღმოჩენილმა ტრეფიკინგის მსხვერპლთა 76-მა პროცენტმა დაუფარავად განაცხადა, რომ ეს ნაბიჯი ოჯახური გაჭირვების გამო გადადგა. 76-მა პროცენტმა. რაღაც არა მგონია დანარჩენმა 24-მა პროცენტმა ჩვენს მეზობელ ქვეყანაში პირი „უცხო ხილის" დასაგემოვნებლად ქნა. ალბათ, მასაც რაღაც აწუხებდა, არა, შეიძლება ზოგი მოტყუვდა, ან ზოგი მართლაც გაიტაცა რომანტიკამ, მოგზაურობამ, ახალ-ახალი პარტნიორის ცვლამ, მაგრამ ძირითადი მასა ამ დამამცირებელ „სამუშაოზე" მიდის ცხოვრებისეული უფსკრულიდან, ყოველდღიური შიმშილიდან თავის დაღწევის მიზნით. ეს ნაღდი ამბავია. თავად განსაჯეთ:

2004 წელს თურქეთში აღმოაჩინეს ტრეფიკინგის 235 მსხვერპლი, ხოლო 2005 წელს – 469. მათ შორის მოლდოვადან იყო 126, უკრაინიდან – 92, რუსეთიდან – 90, ყირგიზეთიდან – 39, აზერბაიჯანიდან – 25, რუმინეთიდან – 22, საქართველოდან – 19, ბელორუსიიდან – 8, ბულგარეთიდან – 3, თურქმენეთიდან – 2, სომხეთიდან – 1, უგანდიდან – 1... ხედავთ? არცერთი არაა საფრანგეთიდან, ინგლისიდან, გერმანიიდან, იტალიიდან, ჰოლანდიიდან... მეძავობა იქაცაა, ახალგაზრდობის აღვირახსნილობაც, უცხოეთის ნახვის გატაცებაც, მაგრამ ისინი უშუალოდ გაჭირვების გამო საზღვარგარეთ არც მიდიან და თუ მიდიან, ჩვენი ქალებივით იოლად არ ტყუვდებიან, მზაკვარ სუტენიორთა და ტრეფიკიორთა ხელში არ ხვდებიან.

სექსუალური მონების მიღების ერთ-ერთ უპირველეს და ერთ-ერთ უდიდეს ქვეყნად მართლაც ითვლება თურქეთი. ამ ბინძურ ბიზნესში ყოველწლიურად ტრიალებს 350-360 მილიონი დოლარი. ერთი კლიენტის სალოგინე მომსახურება აქ თურმე ღირს 50-დან 150 დოლარამდე. ეს დამოკიდებულია მსხვერპლის ფიზიკურ მონაცემებსა და შესაძლებლობებზე. ცხადია, 14-17 წლის გოგონა „მეტს გაუძლებს", ვიდრე 27-30 წლისა, თანაც პატარა გაცილებით გემრიელი და მიმზიდველია, სანამ დიდი და უკვე ათასგზის გამოცდილ-გაცვეთილი.

ყველაზე გულსატკენი და შემზარავი იცით რა არის? ტრეფიკინგის მსხვერპლთა 63 პროცენტს ჰყავს 1 შვილი, 20 პროცენტს – 2, 5 პროცენტს – 3, 2 პროცენტს კი – 3-ზე მეტი... გამოდის, რომ სამეძავოდ გასულთა 92 პროცენტს ჰყავს შვილი, რომელსაც არჩენს არა პატიოსანი შრომით, არამედ ბინძური პროფესიით.

რაღაც სიამაყითაც კი ვლაპარაკობთ, რომ ამ ბოლო ორ წელიწადში თურქეთში აღმოაჩინეს მხოლოდ 19 ქართველი. ნახეთ, რამდენიაო უკრაინელი, რუსი, მოლდოველი... მერედა, ესაა საამაყო და სატრაბახო? ეს ის 19-ია, ვინც აღმოაჩინეს, მოძალადეთა კლანჭებიდან დაიხსნეს, რამდენს ვერ მიაგნეს, ვერ უშველეს? მეორეც, ვინ დათვლის იმ ქალებს, რომლებიც ამავე გზას დასდგომიან საბერძნეთში, ესპანეთში, გერმანიაში, ჰოლანდიაში, ავსტრიაში?

ვაი, იმისთანა ქვეყანას და ვაი, იმისთანა ცხოვრებას, როცა ქალი პურს ჭამს და შვილს ზრდის დამცირების, შეურაცხყოფის, უსირცხვილობის ხარჯზე. ამ რეალობას უპირველესად თვალი უნდა გაუსწოროს ხელისუფლებამ და შექმნას ისეთი ყოფა, რომლის დროსაც ქალი აქვე დასაქმდება, ხოლო მომავალი თაობა ნორმალურ, ადამიანურ პირობებში აღიზრდება. ეს თვით სახელმწიფოს იმიჯიცაა და იქ მცხოვრები ხალხისაც.

**ბონდო გულიაშვილი**

◎ ჭრუანტელი

### ძაღლადაც არ აგდებენ

**მშობლებს ყველაზე მეტად პატივს სცემენ (მათთან ერთად სახლში სადილობენ ან ქუჩაში სეირნობენძ იტალიელი მოზარდები (93 პროცენტიძ, მერე მოდიან ფრანგები (87 პროცენტიძ, ბელგიელები (85 პროცენტიძ, შოტლანდიელები (57 პროცენტიძ. დანარჩენ განვითარებულ ქვეყნებში მშობლებს, როგორც იტყვიან, ძაღლადაც არ აგდებენ.**

### ჭამას არ ღალატობენ

**ევროპაში ყველაზე მსუქნებად ითვლებიან მალტელები, ბერძნები და ფინელები; ყველაზე გამხდრებად კი – იტალიელები, ფრანგები და ავსტრიელები.**

### ვისაც საიქიო ენატრება...

**2005 წელს უკურნებელი სენით დაავადებულმა 260-მა ადამიანმა მიაკითხა შვეიცარიას, სადაც მათ ხელს უწყობენ სასიკვდილო პროცესების დაჩქარებაში. მარტო ციურიხში შარშან სიცოცხლეს გამოასალმეს 93 კაცი. ამ ალპურ ქვეყანაში, ბელგიისა და ჰოლანდიისგან განსხვავებით, ასეთი რამ არ ისჯება.**

### ქართველი ქურდი დაინდეს

**მოსკოვში გაასამართლეს „კანონიერი ქურდი" ალექსანდრე პავლიაშვილი, რომელსაც ბრალად ედებოდა ბინების მძარცველი დანაშაულებრივი დაჯგუფების შექმნა. ყველა ელოდა, სულ ცოტა, 5-წლიან პატიმრობას, მაგრამ მას აკმარეს... პირობითი სასჯელი 1,5 წლით.**



◎ სასამართლო

# შეზარხოშებულმა ლიანამ დაქალი დაჭრა



**როგორც ჩანს, დანაშაულის ჩადენაში კაცებს არც ქალები ჩამორჩებიან და ზოგჯერ ადამიანის მოსაკლავად მათთვის უბრალო მიზეზიც კი საკმარისია. სწორედ ასეთთა რიცხვს განეკუთვნება 27 წლის ლიანა ბაკურაძე.**

დანაშაული 2004 წლის 20 აგვისტოს მოხდა. მაშინ ლიანა სტუმრად მეგობართან, აღმაშენებლის გამზირზე მცხოვრებ ელენე ხაჩატუროვასთან იმყოფებოდა. ისინი მთელ დღეს თავს ლუდის სმით ირთობდნენ, კარგად შეზარხოშებულები კი ღამით შეკამათდნენ, რაც ბოლოს ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა. გაავებულმა სტუმარმა მასპინძლის მოკვლა განიზრახა, იქვე მაგიდიდან სამზარეულო დანა აიღო და ელენეს გამეტებით დაარტყა, იგი გულსა და ფილტვში დაჭრა. გასისხლიანებული მასპინძელი დასახმარებლად მეზობლებს უხმობდა. მისი ყვირილი მამუკა მინჯიამ და მათე თოფურიამ გაიგეს. მინჯიას შესვლისთანავე ლიანა ოთახიდან გაიქცა, თუმცა ის პოლიციამ მალე დააკავა. დაჭრილი კი მეზობლებმა საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც იგი სიკვდილს გადაურჩა.

ამის მიუხედავად, ხაჩატუროვა სასამართლოზე განსასჯელის დაცვას შეეცადა და ამ ყველაფერს შემთხვევითობა უწოდა. მაგრამ... 2004 წლის 10 დეკემბერს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ ბაკურაძეს განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის 11-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. თუმცა გასაჩივრების შემდეგ თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2006 წლის აპრილში სასჯელი 7 წლამდე შეუმცირა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ახლა პროკურატურას არ მოეწონა და მეტისმეტად ლმობიერად ეჩვენა, ამიტომ საკასაციო საჩივარი უზენაეს სასამართლოში ახლა ბრალმდებელმა შეიტანა. განხილვის შედეგად სისხლის სამართლის პალატამ საქმე იმავე სასამართლოს ხელახალი განხილვისთვის გადაუგზავნა.

ვნახოთ მომავალში სასამართლო ვის მოთხოვნას გაითვალისწინებს – ნაჩხუბარი და უკვე შერიგებული „მეგობრების" თუ პროკურატურის.

**ლელა მანაველიშვილი**

◎ ამას მეზობელი ჰქვია?

# ჯაშუშის პისტოლეტი

## „კვირის ფოტო" წლის კომენტარით

**როცა თბილისში გრუ-ს ოთხი ოფიცერი გააბეს, მთელმა რუსეთმა ყიჟინა დასცა, რას ბრძანებთ, ჩვენ მანდ ჯაშუშები კი არა, ანგელოზები გვყავანო. მოსკოვში ჩასვლისას კი თვით თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა ამ ანგელოზებს გმირების სტატუსიც მისცა. საკითხავია, – თუ ჩაფლავებული აგენტები გმირები არიან, მაშ, რაღანი იქნებიან ჩაუფლავებელნი, რომელთა რაოდენობა, ბევრის აზრით, აქ, ამ ერთი ციცქნა საქართველოში 4 ათასს აღწევს? რას გვიზვერავს, ჯამში რა ლუკმას გვითვლის ყოფილი უფროსი ძმა?**

მარტო გრუ-ში კი არა, როგორც ამ საქმეში ჩახედული სპეციალისტები ამტკიცებენ, თვით მშვიდობისმყოფელთა რიგებშიც 80-85 პროცენტი ჯაშუშები არიან. მოედვნენ სრულიად საქართველოს, – აფიქსირებენ, სად რა ავტომატი ვიყიდეთ, სად რა ტანკი შევარემონტეთ, სად რა ჯარისკაცი გადავაადგილეთ. 2005 წელს რუსეთი მსოფლიოში პირველ ადგილზე გავიდა იარაღის ექსპორტიორთა შორის, აშშ-საც კი გადაუჯოკრა, ეს ვითომ არაფერია. უკრაინას კი დღეში სულ ცოტა ათჯერ მაინც ლანძღავს, რამეთუ მან ორიოდ ღერი ჯაგლაგა ტექნიკა მოგვყიდა და ჯარი ოდნავ გაგვიძლიერა.

არა უშავს, დრო თავისას მიუზღავს ყველას, ფარდას ჩამოხსნის მაგ რუსეთის ვერაგობასაც და მზაკვრობასაც. ერთ-ერთი საამისო, მამხილებელი „დოკუმენტი" გაზეთმა „კომსომოლსკაია პრავდამ" დადო 2006 წლის 13 ნოემბრის ნომერში, როცა მან „კვირის ფოტო" დაბეჭდა. ამ ფოტოზე აღბეჭდილია ვლადიმერ პუტინი – ხელში „მაკაროვის" პისტოლეტით. მან მოინახულა გრუ-ს ახალი (დიახ, ახალიძ შტაბ-ბინა, შემდეგ კი ტირში ისროლა. მაშ, როგორ – ძველ გზას ვინა ჰკარგავს. რუსეთის ამჟამინდელი პრეზიდენტი გრუ-ს რიგებშიც არის აღზრდილ-გაზრდილი და კაგებეშიც. მათი დავიწყება კი ძალზე ძნელია.

ან ვინ დაავიწყებს? ამ სპეცსამსახურების თუ არა, ნაციონალ-ბოლშევიკების მრისხანება ყოველდღიურად ატყდება თავს ნაცმენებსაც და იმიგრანტებსაც. სწორედ ისინი არიან, გრუ-სა და კაგებე-ს შვილობილები. და სიმბოლურია ისიც, რომ ვლადიმერ პუტინის ფოტოს პარალელურად, იმავე ნომერში, იგივე „კომსომოლსკაია პრავდა" ბეჭდავს ნაციონალ-ბოლშევიკური პარტიის ლიდერის ედუარდ ლიმონოვის მხიარულ ფოტოს, რომელსაც ზუსტად 7 ნოემბერს (დამიზნება არ გინდა?ძ მეორე ცოლისგან შეეძინა მეორე შვილი. აბა, როგორ, – ცოტა ხშირ-ხშირად უნდა გამოვიტანოთ საჯაროდ იმათი ფოტოები, ვინც დაულალავად წვრთნის ნაცბოლებსა და სკინჰედებს.

ახლა რუსეთს ესა სჭირდება. სამწუხაროდ...

ამ დღეებში რუსული ჯარის კიდევ ერთმა კოლონამ გადასერა თბილისის ქუჩები და მიადგა ვაზიანის რკინიგზის სადგურს, საიდანაც სამშობლოს მიაშურა. მიდიან და რაც მალე წავლენ, – თავიანთი გაბითურებული ჯაშუშებით, – მით უკეთესი იქნება!

**ბადრი ღვინიაშვილი**



**უიმედობის სივრცეში გაგზავნილი, აბრეშუმის ნაჭრის პატარა ნახევზე, ქიმიური ფანქრით დაწერილი სიტყვები რაისა მიქაძის შვილებისთვის შეუძლებელზე ოცნების სტიმული იყო, აბრეშუმივით გამჭვირვალე იმედი, რომ დედა აუცილებლად დაბრუნდებოდა...**





ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №78

## ვინ არის ეს ქალი...

№ 231. შაბათი, 25 ნოემბერი, 2006 წელი.

# „Раисе Микадзе, со вздохом“...



რაისა მიქაძე

**შემოდგომაზე „ეტაპით“, სატვირთო ვაგონებით, გაურკვეველი მიმართულებით გაამგზავრეს... მატარებელი თბილისელი ქალბატონებით იყო სავსე, 37-ში დაპატიმრებული „სამშობლოს მოღალატეთა“ და „ხალხის მტრების“ ცოლებით.**

ის გზა მაშინ სხვა განზომილებაში გადადიოდა ისე, როგორც მგზავრების ბიოგრაფიული სახე და მათ ყოფასა და აზროვნებაში შესახლებული უპიროვნო ცნება „პატიმარი“, რომელსაც არც მომავალი დრო გააჩნია და არც მშობლიური სივრცე უკან დასაბრუნებლად...

მაგრამ ისინი რომ მაინც მშვენიერი ქალბატონები იყვნენ, ამას ვაგონების ღრიჭოებში მოულოდნელად შემოჭრილი, მათ სახეებსა და სხეულებზე არეკლილი, მზის სხივებიც ადასტურებდა.

ქალებს ჯერ კიდევ საკუთარი ტანსაცმელი ეცვათ, თავიანთ სახლებში, დიდი სარკეების წინ მორგებული... მაშინდელი თბილისელი ქალბატონების თბილისური გარდერობი – ზომიერი ფერადოვნებით, დახვეწილი ფორმებით და შეძლებისდაგვარი აკადემიზმით...

ვაგონების სივიწროვეში უხერხულად ჩამომჯდართ ძველებურად ფეხი ფეხზე გადაედოთ და აბრეშუმის პერანგების მაქმანები კაბების ქვემოდან ოდნავ მოუჩანდათ...

ისინი მაინც ძველებურ ხიბლს ატარებდნენ, სასოწარკვეთილი, დაღლილი, უსასრულო წუხილის ამარა დარჩენილი ქალბატონები – თბილისური ინტელიგენციიდან...

უპირველესი, ალბათ, ახლობლებზე წუხილი იყო, რომლებმაც დაპატიმრებულთა შესახებ არაფერი იცოდნენ... და უცებ გამოუვალობაში ნაპოვნი გამოსავალი: ვიღაცამ ქიმიური ფანქარი იპოვა, მაგრამ ქაღალდი?.. და მოულოდნელად, შეთქმულებივით, ქალბატონები ტანზევე იხევენ თავიანთ აბრეშუმის თეთრეულს (სიშიშვლეს ხომ კაბებიც დაფარავს!) და ნაჭრის პატარა ნაკუწებზე წერენ ბარათებს, რომ ცოცხლები არიან და იქვე მისამართებსაც აწერენ. ასანთის ყუთებში აწყობენ და ვაგონებიდან ზედიზედ ყრიან. არავინ იცის, რა ტერიტორიაზე იმყოფებიან იმჟამად, მაგრამ იქნებ ვინმემ ნახოს, იპოვოს და...

ერთ-ერთი წერილი, რომელიც ასეთ ასანთის ყუთში იდო, უცნობმა კეთილმა ადამიანმა ქალბატონ რაისა მიქაძის ოჯახშიც მიიტანა, უდედმამოდ დარჩენილ ორ პატარა გოგონასთან – ჯინასა და გუგასთან...

### სიტყვები, სიტყვები...

ოდესღაც ნადეჟდა მანდელშტამმა, რომელმაც არ იცოდა, სად იმყოფებოდა მისი პატიმარი მეუღლე, წერილი უმისამართოდ გააგზავნა. მისთვის იმ წუთებში ყველაზე მთავარი **აუცილებელი სიტყვების ფორმად ქცევა** იყო... ამავე სიტყვებში უნდა მოქცეულიყო წარსულიც და აწმყოც, მონატრებაც და შეხვედრის იმედიც... რადგანაც ეს უსხეულო სიტყვები უდიდეს ნუგეშს იძლევიან...

სიტყვები აკეთილშობილებენ გარემოს...

ფორმადქცეულ განცდას, გასაგნებულ უთქმელ ფიქრებს, როგორც ყველაზე დიდ განძს, უგზავნიდა თავის მეუღლეს, პოეტს და პატიმარს, რადგან სჯეროდა, რომ ისინი „იქ“ საყრდენებივით იყო საჭირო.

უიმედობის სივრცეში გაგზავნილი, აბრეშუმის ნაჭრის პატარა ნახევზე, ქიმიური ფანქრით დაწერილი სიტყვები რაისა მიქაძის შვილებისთვის შეუძლებელზე ოცნების სტიმული იყო, აბრეშუმივით გამჭვირვალე იმედი, რომ დედა აუცილებლად დაბრუნდებოდა...

ხოლო მამის, პოლიტპატიმარ **არჩილ მიქაძის** განაჩენი – ათი წლით გადასახლება მიმოწერის უფლების გარეშე, სინამდვილეში დახვრეტას ნიშნავდა. იგი, პეტერბურგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, აღმოსავლეთმცოდნე, ერთ დროს „გრუზია ფილმის“ სამხატვრო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის კულტურისა და შრომის სახალხო კომისარი, „ცისფერყანწელ“ პოეტთა უახლოესი მეგობარი, დაპატიმრებიდან რამდენიმე დღეში დახვრიტეს.

პოლიტპატიმარი მისი მეუღლე კი თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული, იაკობ ნიკოლაძის მოსწავლე რაისა მიქაძე შვიდი წლის მერე, 1944 წელს დაბრუნდა თბილისში.

*– ცხოვრებაში იშვიათად შემხვედრია ასეთი სიცოცხლის წყურვილით და სულიერი ენერგიით სავსე ადამიანი, – იგონებს რაისა მიქაძის შვილიშვილი მხატვარი, **ნინო ოქროპირიძე** – თითქოს განვლილი უმძიმესი წლები კიდევ უფრო დიდ ძალას ანიჭებდა. აინტერესებდა ყველაფერი: ურთიერთობები, ესთეტიკური ფასეულობები... დადიოდა თეატრში, საღამოებზე, წვეულებებზე... კითხულობდა ძალიან ბევრს... წარსულიდან იხმობდა მისთვის ძვირფას ადამიანებს. თითქოს ორ დროში ცხოვრობდა...*

*70 წლის იყო, როცა გაკვირვებულმა მკითხა, ცოტათი თვალს რატომ დამაკლდაო... თითქმის არასოდეს უავადმყოფია... თავის სულიერ ტკივილებს არავის ახვევდა თავს. საკუთარ თავში ჩაბრუნებული უმკლავდებოდა ყველა იმ განსაცდელს, რაც განგებამ მოუტანა. ბოლომდე არაჩვეულებრივი მეხსიერება ჰქონდა და მუდამ პოეზიით, ხელოვნებით, ნამდვილი ფასეულობებით ცხოვრობდა...*

*ახალგაზრდობაში ძალიან მომხიბვლელი ყოფილა... ამ წუთში ყველა სურათი ვერ ვიპოვე, თუმცა, მინდა გითხრათ, რომ სურათებში ყოველთვის არ ჩანს ადამიანის ხიბლი... ეს ძველი, შავ-თეთრი სურათები განსაკუთრებულად მიყვარს. შავ-თეთრი ფოტო, კარგი განათებით და მაშინდელი ფოტოგრაფების „რეჟისურით“ თავისებური ხელოვნებაა...*

*ძნელად თუ წარმოვიდგენ, ჩემი ელეგანტური ბებია როგორ გადააქციეს პატიმრად – ტანზე დაბამბული, უფორმო „ტელეგრეიკით“ და ფეხებზე რეზინის სქელძირიანი „ვალინკებით“... სადღაც, ტემნიკოვოში, „სამშობლოს მოღალატეთა“ ცოლების ბანაკში იჯდა და იქაც ხატავდა დახატავდა...*

*გადასახლებაში ძალიან დასუსტებულა, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე იდგა. შინ დაბრუნებულს მატერიალური აღარაფერი დახვდა. აღარც ბინა, აღარც ნივთები, წიგნები, ტანსაცმელი, აღარც გუდიაშვილის, კაკაბაძის, ზდანევიჩის თუ ფიროსმანის ნახატები სახლის კედლებზე... ყველაფერი სხვებს მიეთვისებინათ. ფაქტობრივად, ღია ცის ქვეშ დარჩენილმა, ახლობლების დახმარებით, ყველაფერი ნულიდან დაიწყო...*

*წლების მერე, ერთ ადგილას ბებიისა და ბაბუის ნაქონი, მაშინ მავანთა მიერ მიტაცებული საოჯახო ნივთებიდან, სრულიად შემთხვევით, ერთ-ერთი ვნახეთ... დედამ და დეიდამ იცნეს... ბებიამ გააჩუმა. აღარ მოინდომა ძველი, ჯერ კიდევ მოურჩენელი ჭრილობების თავიდან გახსნა და უპირველესად კი იმის გამხელა, რომ ამ უბედურებაში კონკრეტული ნაცნობების ხელი ერია...*

### რუსულ-ქართული ურთიერთობების პიკანტური დეტალები

უახლოესი მეგობრის ტიციან ტაბიძის დაპატიმრების შემდეგ ბორის პასტერნაკი პირველად 1945 წელს ჩამოვიდა თბილისში. ნიკოლოზ ბარათაშვილის საიუბილეო ღონისძიებაში იღებდა მონაწილეობას. რუსთაველის თეატრში არაჩვეულებრივი სიტყვითაც გამოვიდა და ბარათაშვილის პოეზიის კონგენიალური თარგმანებიც წაიკითხა.

ბანკეტი საგურამოში ჩატარდა, პოეტის მოსკოვში გამგზავრების წინა დღეს. სუფრას გიორგი ლეონიძე თამადობდა. ამაღლებული, მღელვარე განწყობილება სუფევდა.

„ცისფერყანწელთა“ მეგობარი რაისა მიქაძე ქართველ პოეტთა მეუღლეებს შორის იჯდა და მონუსხულივით უსმენდა, განუმეორებელი ინტონაციით როგორ კითხულობდა ლექსებს ბორის პასტერნაკი, ამ რუს პოეტს ხომ კითხვის სრულიად განსაკუთრებული მანერა ჰქონდა.

აპლოდისმენტების შემდგომ პასტერნაკმა სამადლობელი სიტყვა დაიწყო... უმშვენიერესი ფრაზებით საქართველოს სიყვარული გამოხატა და როგორც შემდგომ ქალბატონი რაისა მიქაძე წერს: ***„როცა პასტერნაკმა საქართველოსთან დაკავშირებული თავისი ძალიან პირადული მოიგონა, ხმა აუკანკალდა... ყველანი უნებურად მისკენ მივტრიალდით. ბორის ლეონიდეს ძე ძლივს იკავებდა ცრემლებს და ბოლოს რაღაც ბოდიშისმაგვარი წარმოსთქვა... იყო რაღაც ძალიან ბავშვური განწყობილების ასე ღიად გამოხატვაში...***

იხ. 9 გვ.



ბორის პასტერნაკი, 1948 წელი

**უნებურად პოეტის — ნაღვლიანი სტრიქონები გვახსენებდა: „მაგრამ ქართველნო, სად არის გმირი, რომელსაც ვეძებთ, რომლისთვისაც ვტირით...“**



# „Раисе Микадзе, со вздохом“...

ვინ არის ეს ქალი...

(მერვე გვერდიდან)

*ყველანი თბილად და კეთილად ულიმოდნენ. მწერალთა ცოლებს ცრემლი ედგათ თვალებში...*

*სურვილმა შემიპყრო ახლოს მივსულიყავი და ბორის ლეონიდის ძისადმი ჩემი თაყვანისცემა გამომეხატა. მეთქვა, თუ როგორ გვესმის მისი, რომ დიდი სიხარული მოგვანიჭა მასთან ურთიერთობის ამ საღამომ...*

*უკვე გვიანი ღამე იყო... თითქმის არავის სურდა საგურამოს დატოვება... მანქანებმა თბილისში წაგვიყვანეს...“*

* * *

ბორის პასტერნაკი — ნინო ტაბიძეს:

*...ასე მოხდა... საგურამოდან თბილისში ღამის სამ საათზე ჩავედით. ორი საათით ადრე, აეროდრომზე წასვლამდე... საგურამოში მე თითქმის მიცვალებული ჩავედი, მაგრამ კმაყოფილი ვარ იქ ყოფნით... უკანა*



ბორის პასტერნაკი პერედელკინოში

*გზაზე ეფემია ალექსანდროვნა (გ. ლეონიძის მეუღლეძ ბევრს მღეროდა და ერთი საოცარი, ლაბირინთისებური, მეგრული სიმღერა შემასწავლა, რასაც მე მთელი ამ დროის მანძილზე ჩემთვის ვღიღინებ, როცა ვფიქრობ მასზე, თქვენზე და იმ ზღაპრულ ორ კვირაზე, რომელიც თბილისში გავატარე...*

*იმ ღამეს სულ ცოტა დამაკლდა, უკანასკნელ საათებში რაისა მიქაძესთან კინაღამ რომანი დამეწყო...*

*გთხოვთ, თაყვანისცემით მოიკითხეთ იგი“.*

გადის რამდენიმე დღე და ბორის პასტერნაკი ქალს, რომელსაც მუდამ სხვაგვარი ლირიკით იგონებს, საკუთარ წიგნს უგზავნის, მოკლე და ლაკონური წარწერით: „Раисе Микадзе, со вздохом“...

რამდენიმე თვის მერე კი ბარათაშვილის საკუთარ თარგმანებს უგზავნის ასეთი წარწერით: „Милой, милой Раисе Микадзе, чтоб ей жилось хорошо, чорошо. Б. Пастернак 26.VI.1946 г“.

რაისა მიქაძის ძალიან მოკლე და ზოგად წერილზე, რომელშიც ოდენ თავაზიანი მადლობაა გამოხატული, რუსი პოეტი ვრცელი წერილით პასუხობს:

*„ძვირფასო რაისა კონსტანტინეს ასულო, რა სასიამოვნოდ კეკლუცობთ, როცა თქვენს მცირე ბარათს იწყებთ წინადადებით, რომ იქნებ არც კი მახსოვხართ!.. მინდოდა მაშინვე, ზაფხულშივე მომეწერა ისე, რომ თქვენთვის საინტერესო და სასიამოვნო საკითხავი ყოფილიყო... ფიქრებით იმ ღამეს დავუბრუნდი, როცა გრძნობებით აღვსილი, მზად ვიყავი მეტირა ან სულაც ვტიროდი კიდეც და თქვენი შემწყნარებლობის შედეგად თავს უფლება მივეცი რამდენადმე დამერღვია წესიერების ზღვარი...*

*როცა თქვენ მანქანიდან პირველი გადახედვით, პროსპექტის დასაწყისში ან იქნებ მანამდეც, სწორედ იმ დროიდან დაიწყო ჩემი გამოთხოვება იმ საოცართან და სასწაულებრივთან, რასაც მე საქართველოში ჩამოსვლისას ვხდებოდი... და რაც, ოდენ სამხრეთის ბუნებით, მთებით, ქართული ხასიათის სივრცით, ქალთა სილამაზით თუ ამაღლებული და ცეცხლოვანი ხალხმრავალი ნადიმებით არ აიხსნება... ამ ყველაფერს უფრო დიდი საიდუმლო და სიღრმე აერთიანებს...*

*ამგვარად, ბუნებასა თუ ადამიანებთან ურთიერთობაში გვაღელვებს ის რაღაც, ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც სახელს ვერ მოვუძებნით და ვერც ჩვეულებრივი სიტყვებით განვმარტავთ... სწორედ ამ მოლოდინით გვაღელვებს იგი, როგორც მოცემული და ჯერ კიდევ ამოუხსნელი ამოცანა, ან როგორც ჰაერში გამოკიდებული საგანი, რაღაცის აღსრულებას რომ გვპირდება...*

(წერილის შემდეგ ნაწილში პასტერნაკი პოეზიასა და რუს პოეტებზე საუბრობს. ეხება ლიტერატურის ფაქიზ და მოუხელთებელ ნიუანსებს, რისი დეტალური განხილვაც მხოლოდ ლიტერატურის ნამდვილ მცოდნესთანაა შესაძლებელი. როგორც ჩანს, ადრესატის გემოვნებას მთლიანად ენდობაძ.

*...„ახლა რამდენიმე სიტყვას ჩემზეც მოგწერთ... რატომ მანებივრებთ, ასეთი ოდენ მაღალი წრისთვის დამახასიათებელი ფრაზებით, რომ მე საქართველოში ვახსოვართ და ვუყვარვართ და რომ ბევრი გსმენიათ ჩემი ახალი ნამუშევრების შესახებ და ა. შ. და ა. შ....*

*მე არ ვამბობ, რომ ეს ყველაფერი თქვენს ბაგეთაგან ნათქვამი, სრული სიცრუეა, მაგრამ დამეთანხმებით, რამდენად სხვაგვარი შეიძლება იყოს სურათი, როცა იგივე სიტყვები მართლაც რაიმეს ნიშნავს და აზრის მთლიანობითაა მოცემული. მაშ, რა საჭიროა მოჩვენებითი სიტყვები? ნუთუ, ჩვენ ასეთი ღარიბები ვართ?.. არა, ჩემო ძვირფასო, თუ დღეს დუნიაზე სამი-ოთხი კაცი მიცნობს, ორ-სამ წელიწადში ისინიც აღარ იქნებიან“...*

(წერილი გრძელდება სრულიად მოულოდნელი აღსარებებით და რთული ფსიქოლოგიური წიაღსვლებითძ...

ეს ეპისტოლე შემოკლებული და კუპიურების სახით, 1966 წელს „ვოპროსი ლიტერატურა“-ში დაიბეჭდა.

1968 წელს ქალბატონი რაისა მიქაძე პასტერნაკის ვაჟისგან იღებს ბარათს. **ევგენი პასტერნაკი** მას თავაზიანი თხოვნით მიმართავს:

„ძვირფასო რაისა კონსტანტინეს ასულო, წერილი, რომელიც მამამ გამოგიგზავნათ, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესოა და მნიშვნელოვანი მის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში. სამწუხაროდ, იგი ჟურნალში ფრაგმენტულად და შეცდომებით დაიბეჭდა. ძალიან მსურდა მქონოდა ამ წერილის დედანი ან ზუსტი ასლი, რომ პოეტის უახლოეს გამოცემაში დამებეჭდა. ასევე, რაღა თქმა უნდა, ბორის პასტერნაკის თხზულებათა სრულ კრებულში, რასაც უკვე გამოსაცემად ვამზადებთ“...



ბორის პასტერნაკის ბიუსტი, მოქანდაკე ირაკლი ოქროპირიძე

ქალბატონმა რაისა მიქაძემ, როგორც ჩანს, სწორად ჩათვალა რომ პასტერნაკის საქართველოში გამოგზავნილი ავტოგრაფები აქვე უნდა დარჩენილიყო, როგორც ჩვენი ერის კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი. ამიტომ წიგნებიც და წერილების დედნებიც ქართული ლიტერატურის მუზეუმს ჩააბარა, ხოლო ასლი დიდი რუსი პოეტის ვაჟს გადაუგზავნა...

* * *

რამდენიმე წლის შემდეგ პერედელკინოში, ბორის პასტერნაკის სახლ-მუზეუმში, გახლდით და სხვა სასიამოვნო მომენტებთან ერთად ისიც განვიცადე, რომ გიდმა ექსკურსია, როგორც თავად განმარტა, „ქართული აქცენტით“ ჩაატარა... ის პასტერნაკის ცხოვრების სხვადასხვა ეტაპს და შემოქმედებას ქართულ თემებს უკავშირებდა, როგორც დიდი პოეტისთვის განუყოფელ და განსაკუთრებულ სამყაროს.

სახლ-მუზეუმის ექსპოზიციასა თუ ფონდსაცავში საქართველოსთან დაკავშირებული მართლაც, უამრავი ექსპონატია...

*ნინო ოქროპირიძე: 1990 წელს დედამ რუსეთის საელჩოს წარმომადგენელს პერედელკინოს სახლ-მუზეუმისთვის საჩუქარი გადასცა. ეს იყო მამაჩემის — მოქანდაკე ირაკლი ოქროპირიძის მიერ შესრულებული პასტერნაკის ბიუსტი... მაშინ აღარც ბებია იყო ცოცხალი, აღარც მამა...*

*ბებიამ ხომ გადამდები სიყვარული და ინტერესები იცოდა... და მისი დანატოვარი სამყარო, როგორც ჩანს, ისევ აგრძელებს არსებობას...*

# „საშვილიშვილო სამარე“

„ვარდების რევოლუციის“ წინა იუბილეზე, მას მერე, რაც გაჟღერდა, რომ „მთაწმინდა გულში იხუტებს საშვილიშვილო სამარეს“, ანუ მას მერე, რაც ლევილიდან მთაწმინდაზე უძვირფასესი ნეშტი **ქაქუცა ჩოლოყაშვილისა** დიდებით აიყვანეს და დაკრძალეს, ბევრი რამ მოხდა საქართველოში...

ჩვენმა გაზეთმა არაერთი პუბლიკაცია მიუძღვნა დიდი ეროვნული გმირის სამარეს. დიდხანს ველოდით როდის დაიდგმებოდა საფლავის ძეგლი. დრო გადიოდა და ჩვენი მერიის სამსახურს სხვა პრიორიტეტები უჩნდებოდა. ლეგენდარული გმირის საფლავს აწვიმდა და ათოვდა, როცა თბილისის ეზოებში შენდებოდა საკალათბურთო მოედნები, ათასგვარი ჭრელი ფერით ილებებოდა ჩვენი ქალაქის სახლები, ცაში ხშირ-ხშირად ბრწყინავდა მაშხალები, ფეირვერკები, ფეირვერკები, იხსნებოდა შადრევნები, შადრევნები და ისევ შადრევნები, გაუგებარი დანიშნულების სკულპტურები... **სულ მცირე დროში იავარქმნილი, მაგრამ მაინც ეგზოტიკური და კოლორიტული ქალაქი თბილისი ეკლექტიკურ ქალაქად გადაიქცა...** და ამისთვის დაიხარჯა მილიონები.. იყო სხვა პარადოქსებიც: შენდებოდა ფეშენებელური, უზარმაზარი მარმარილოს საფლავები... **და არა მარტო მიცვალებულებისთვის...** მაგალითად,მერიის სრულიად ჯანმრთელი თანამშრომლისა და მისი ასევე ცოცხალი და ჯანმრთელი ოჯახის წევრებისთვის. მათ კარგად ყოფნას ვუსურვებდით მაშინაც და ახლაც და დაე, ასი წლის მერე მიიცვალონ, მაგრამ როგორც ჩანს, ფიქრობენ: თუკი საშუალება არსებობს, რატომაც არ უნდა დაიბევონ საფლავი — იგივე კაპიტალი...

გმირის შიშველ სამარეს კი აწვიმდა და ათოვდა...

და ბოლოს, აღსრულდა... გაკეთდა ქაქუცას საფლავი, მარმარილოს ბარელიეფით და სამხედრო და რელიგიური სიმბოლიკით (სკულპტორი **იოსებ ანდრიაძე**ძ.



საფლავის ძეგლის გახსნაზე, რომელიც, რა თქმა უნდა, „ვარდების რევოლუციას“ მიუძღვნეს, სამთავრობო დელეგაციის გარეშე მთაწმინდაზე ასულმა ქალაქის მერმა, ბატონმა უგულავამ განაცხადა: **„ქაქუცასნაირი გმირები ჩვენს ქვეყანაში დღესაც ბევრნი არიან!“-ო.**

ჩვენ მართალია, ვერ ვხვდებით ვინ არიან ან სად არიან დღევანდელ საქართველოში ამ რანგის გმირები, მაგრამ უნებურად პოეტის — ნაღვლიანი სტრიქონები გვახსენებდა: **„მაგრამ ქართველნო, სად არის გმირი, რომელსაც ვეძებთ, რომლისთვისაც ვტირით...“**

**ჩანართზე მუშაობდნენ ნინო ხოფერია და კახა ქორიძე**



№ 231. შაბათი, 25 ნოემბერი, 2006 წელი.

# დღის ამბები

● ირანში მივდივარ, გული კი აქ მრჩება. რომ ვნახე, სამშობლო დედასავითაა... ჩვენს მშობლებს არ უნდათ, აქ რომ დავრჩეთ მუდმივ საცხოვრებლად. მათაც ძალიან უყვართ დედასამშობლო, მაგრამ არც ჩვენთან დაშორება უნდათ



## ტაძარი — ძირძველ მიწაზე

**აჭარაში, დაბა ჩაქვთან, სოფელ საჩინოში ახალი ტაძარი ამოქმედდა.**

**წმინდა დიმიტრი თესალონიკელის სახელობის ტაძარი ბათუმისა და სხალთის მთავარეპისკოპოსმა დიმიტრიმ აკურთხა.**

როგორც ეპარქიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურიდან აცხადებენ, ტაძარი შემოწირულობის ხარჯზე რამდენიმე წლის განმავლობაში შენდებოდა. ეკლესია ერთნავიან ბაზილიკას წარმოადგენს და ტუფის ქვითაა ნაგები.

ტაძრის კურთხევას ბათუმისა და სხალთის ეპარქიის სამღვდელოება და მრევლი დაესწრო. პირველი საღლესასწაულო წირვაც სწორედ ტაძრის დღესასწაულსა და ბათუმისა და სხალთის მთავარეპისკოპოს დიმიტრის ანგელოზის ხსენების დღეს აღესრულა.

## „ბოგდანი" — იაპონური ვარიანტით



**თბილისის მუნიციპალურ ავტოპარკს 34 ახალი, „ბოგდანის" ტიპის ავტობუსი დაემატა.**

ახალი ავტობუსების პრეზენტაცია რიყეზე შედგა. ღონისძიებას თბილისის მერი გიგი უგულავა, ვიცე-მერი დავით ალავიძე და ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი ზესო ქლენტი დაესწრნენ.

როგორც ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, „ბოგდანის" ახალი ტიპის ავტობუსები, წინა თაობის მანქანებთან შედარებით, გაუმჯობესებულია. მათ აქვთ უკეთესი გათბობის სისტემა, ძრავა და სამუხრუჭეები.

ავტობუსების შეძენა თბილისის მთავრობამ იაპონური გრანტის საშუალებით შეძლო. მათი ღირებულება 2 მილიონ 88 ათასი ლარია.

## ომბუდსმენმა უშველა

**სახალხო დამცველის ჩარევით ავადმყოფი პატიმარი ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.**

სახალხო დამცველს რუსთავის №6 საპყრობილეში მოთავსებული მსჯავრდებულის მამამ მიმართა. იგი აღნიშნავდა, რომ მისი ვაჟი სასწრაფოდ საჭიროებდა მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანას.

სახალხო დამცველმა მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესამოწმებლად იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექიმ-სპეციალისტთა ერთობლივ კომისიას მიმართა.

მსჯავრდებული პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში გადაიყვანეს.

## „მოლდაველები" უკრაინულ ბორანზე

სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის ფოთის ბაზის მესაზღვრეებმა, გვიან ღამით უკრაინის დროშის ქვეშ მცურავ ბორანზე მოლდავეთის ცხრა მოქალაქე დააკავეს.

სასაზღვრო პოლიციის პრესსამსახურის ინფორმაციით, ბორან „გეროი შიპკი"-ზე დაკავებულთაგან რვას ლიტვის, ერთს კი ლატვიის მოქალაქის ყალბი პასპორტი აღმოაჩნდა.

სასაზღვრო უწყების განცხადებით, დაკავებული ოთხი მამაკაცი და ხუთი ქალი საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთას ყალბი პასპორტებით აპირებდნენ.

ამჟამად, დაკავებულები ფოთის სანაპირო დაცვის საქართველოს ბაზაზე იმყოფებიან.

ყალბი პასპორტით სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა სამიდან ხუთ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

## მოქალაქეთა თავისუფლება იზღუდება

**„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესატან ცვლილებებს აპროტესტებს და მიიჩნევს, რომ მათი მიღების შემთხვევაში, მოქალაქებს გამოხატვის თავისუფლება შეეზღუდებათ.**

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ასოციაციის ხელმძღვანელმა გიორგი ჩხეიძემ აღნიშნა, შესატანი ცვლილებების თანახმად, შესაძლოა პირს ადმინისტრაციული სასჯელი დაეკისროს, თუ სასამართლოს მიმართ დარბაზში ან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავს.

იგი მიიჩნევს, რომ ცვლილებების მიღებამდე, აღნიშნული თემა საზოგადოების დისკუსიის საგანი უნდა გახდეს, რადგან ცვლილებების დაუფიქრებლად შეტანამ, შესაძლოა, ადამიანებს გამოხატვის თავისუფლება შეუზღუდოს.

## ისევ ქართველებს გვაბრალებენ

**ცხინვალში განხორციელებული ტერაქტის ორგანიზატორი უკვე დაკავებულია.**

ამის შესახებ რუს ჟურნალისტებს სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების შინაგან საქმეთა მინისტრმა მიხეილ მინძაევმა განუცხადა. დაკავებულის ვინაობა ჯერჯერობით არ ხმაურდება.



მინძაევის მტკიცებით, ეჭვმიტანილის სახლში ოსმა სამართალდამცავებმა შვიდი ათასი ლარი აღმოაჩინეს.

მისივე განცხადებით, არსებობს დაზუსტებული ინფორმაცია, რომ ტერაქტის ერთ-ერთი ორგანიზატორია, აგრეთვე, ტერაქტის დროს დაშავებული გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის მკვიდრი დენიზა შარტავაც.

— მიმდინარეობს გამოძიება, ჩვენ ყველა ვერსიას განვიხილავთ, აშკარაა, რომ ტერაქტს ქართულ კვალამდე მივყავართ—, — აცხადებს მინძაევი.

გავრცელებული ინფორმაციით, ცხინვალში 23 ნოემბერს, დილის 11 საათსა და 10 წუთზე ადგილობრივმა მაცხოვრებელმა, 52 წლის დენიზა შარტავამ ქუჩაში სათამაშო მობილური ტელეფონი იპოვნა. ქალბატონმა მისი ჩართვა მოინდომა, რის შემდეგაც აფეთქება მოხდა.

დენიზა შარტავამ სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო, ორივე ხელის მტევნები დაკარგა და მთლიანად დაბრმავდა. იგი ამჟამად საავადმყოფოში იმყოფება.

## „შაორჰესის" წამოგვეშველება

**ხვალ „შაორჰესის" სადერივაციო გვირაბის რეაბილიტაცია სრულდება. როგორც ენერგეტიკის სამინისტროში განმარტავენ, სარეაბილიტაციო სამუშაოები თითქმის 2 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა.**

რეაბილიტაციის შემდეგ ჰესი ყოველდღიურად 36 კვტ/სთ ენერგიას გამოიმუშავებს.

აღდგენამდე მისი სიმძლავრე დღეში 16-18 კვტ/სთ აღწევდა.

## ქუთაისიდან — აფხაზეთში?

**აფხაზეთის მთავრობის აპარატის უფროსის გიორგი ჩალაძის ინფორმაციით, ქუთაისიდან ზემო აფხაზეთის მიმართულებით მგზავრობა ფასიანია და 30 ლარს შეადგენს.**



— ბოლო სამი დღის განმავლობაში ზემო აფხაზეთის მიმართულებით იმაზე გაცილებით მეტი ავიარეისი განხორციელდა, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული, ამის მიზეზი წინა დღეების უამინდობა იყო. როგორც წესი, კოდორის მიმართულებით კვირაში ორი რეისი განხორციელდება, — აღნიშნა გიორგი ჩალაძემ.

როგორც აფხაზეთის მთავრობაში განმარტავენ, კოდორის მიმართულებით ერთი მგზავრის გადაყვანა დაახლოებით 120 ლარი ჯდება, აქედან საწვავისთვის საჭირო თანხას აფხაზეთის მთავრობა, ხოლო ეკიპაჟის მომსახურების ხარჯებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ფარავს. ავიარეისები ხორციელდება 3 თვითმფრინავით, რომლებიც საქართველოს შსს სამინისტრომ გამოყო.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

◉ ფოტოგამოფენა

# „დედაენის დამვიწყებელს დამტირალი არა ჰყავდეს!"

**უცხოეთში მცხოვრები ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან აქტიური თანამშრომლობა საქართველოს ხელისუფლების პრიორიტეტული მიმართულებაა.**

სამი საუკუნეა არ შეხმიანებია დედასამშობლო ფერეიდანში მცხოვრებ ქართველებს... საბჭოთა კავშირის დროს ურთიერთობა ძალზე ჭირდა. არადა, იქაურთა სული და გული სამშობლოსკენ იყო მომართული.

იმ დღეს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში მისული სტუმრები დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ ფერეიდნელი ქართველების მიერ მომზადებულ ფოტოგამოფენას, სადაც, მათი ყოფის ამსახველ ფოტოებთან ერთად, თანამედროვე ირანის კულტურა და არქიტექტურაც იყო წარმოჩენილი.

მნახველი დიდხანს ჩერდება ექსპოზიციებთან: „იმამ ყული ხან უნდილაძის ძეგლი სპარსეთის ყურეში", „ისპაჰანში ალავერდი ხან უნდილაძის მიერ აგებული 33-თაღიანი ხიდი..." სოფლების: მარტყოფის, ვაშლოვნის, ჩუღურეთის ხედებთან..."

ფერეიდნელი ქართველები გიორგი ხუციშვილი, შოთა და ლუკა სეფიაშვილები მეუბნებიან: „დედაენა სახლში ვისწავლეთ. მოგვწონს ვიყნოთ ქართველნი, ხალხში..."

ეს ახალგაზრდები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობენ და უკვე პატრიოტულ ბანაკებშიც არიან ნამყოფნი.

ლუკა სეფიაშვილის მშვენიერი მეუღლე, სალომეც ფერეიდნელია. იქ დაქორწინდნენ. — „ჩვენებურების" ფესტივალზე ჩამოვედით. სალომე ისპაჰანის უნივერსიტეტში სწავლობს. მე სამი თვე პატრიოტულ ბანაკშიც ვიყავი. ამ კვირაში ირანში მივდივარ, გული კი აქ მრჩება. რომ ვნახე, სამშობლო დედასავითაა... ჩვენს მშობლებს არ უნდათ, აქ რომ დავრჩეთ მუდმივ საცხოვრებლად. მათაც ძალიან უყვართ დედასამშობლო, მაგრამ არც ჩვენთან დაშორება უნდათ, — მეუბნება ლუკა.

შეხვედრას უძღვებოდა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილე თამარ მახარაშვილი. სიტყვებით გამოვიდნენ მინისტრი გიორგი ხევიაშვილი, ირანის ისლამური რესპუბლიკის ელჩი საქართველოში მოჯთაბა დამირჩილე, პარლამენტარი მამუკა გაჩეჩილაძე, სპარსოლოგი ჯიმშედ გიუნაშვილი, პოეტები გიორგი ლობჟანიძე, ნომადი ბართაია... ქართველმა სტუდენტებმა და ფერეიდნელმა დაუდ აბასმა ირანულ და ქართულ ენებზე წაიკითხეს სპარსული პოეზიის ნიმუშები. სპარსული ენის ტკბილხმოვანებით გათბა დარბაზი...



ამაღელვებელი იყო პოეტ ნოდარ ჯალაღონიას გამოსვლა: — ეს ლექსი იმ ღამით დავწერე, როდესაც პრეზიდენტი სააკაშვილი ფერეიდნელ ქართველებს ესტუმრა. თვალცრემლიანი ვწერდი:

**თქვენც არ სცილდებით,**
**ვითარცა ჯიქანს**
**ჩვენზე ფიქრს (თუმცა,**
**ჩვენ ვალში კი ვართქ,**
**მე ვენაცვალე თქვენს**
**გულს და ჯიგარს,**
**საქართველოსთვის**
**ასე რომ გტკივათ..."**

აღინიშნა, რომ ირანელი და ქართველი ხალხები ასე ახლოს აქამდე არასდროს ყოფილან. ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ირანის საელჩოს საქართველოში. მალე ირანშიც გაიმართება ქართული კულტურის დღეები. დაიგეგმა სხვა გაცვლითი კულტურული ღონისძიებებიც.

...და ისევ ფოტოებიდან დანახული ფერეიდანი. აქ ქართველის საფლავს აწერია — „ღმერთის სახელით"... პატარაობიდანვე იციან იქაურმა ქართველებმა, რომ „ენა სულია ხალხისა, ენის წართმევა შეუძლებელია", „დედაენის დამვიწყებელს დამტირალი არა ჰყავდეს!", ხოლო ფერეიდნელი ვაჟი ასეთ ბარათებსაც სწერს თავის შეყვარებულს: „მოდი, სამუდამოდ შემიფარე და ყვავილს შტოზე შევხდეთ ერთმანეთს..." მაგრამ ეს ბოლო აბზაცი იქნებ სულაც ფერეიდნელის ოცნებაში წარმოდგენილი სამშობლოს მონატრებაა და მასთან შეხვედრის სურვილი...

**ლია ჭილლაძე**

**სურათზე: ალავერდი ხან უნდილაძის მიერ აგებული 33-თაღიანი ხიდი ისპაჰანში.**

№ 231. შაბათი, 25 ნოემბერი, 2006 წელი.



**საქართველო არ შეუშლის ხელს რუსეთის გაწევრიანებას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, თუ მოსკოვი დაიცავს ამ ორგანიზაციის პრინციპებს**

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

## „ვარდების რევოლუციის“ წლისთავზე სააკაშვილმა შეიტყო, რომ გენიოსი ყოფილა

**ხუთშაბათს საქართველოში აღნიშნეს „ვარდების რევოლუციის“ სამი წლისთავი. პომპეზურობით ზეიმი შარშანდელს ვერ შეედრებოდა, თუმცა, მაინც იყვნენ საპატიო სტუმრები, გაიმართა ახალი შადრევნების პრეზენტაცია და კონცერტი ღია ცის ქვეშ.**



საზეიმო ღონისძიებები დილიდანვე დაიწყო. წმინდა სამების საკათედრო ტაძარში უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ და ცნობილმა ბალერინამ ნინო ანანიაშვილმა მონათლეს საქართველოს ლიდერის უმცროსი ვაჟი — ნიკოლოზი, რომელსაც 19 დეკემბერს ერთი წელი შეუსრულდება. „დაე, წმინდა გიორგი იყოს მისი მფარველი!, — ლოცავდა პრეზიდენტის ვაჟს ეკლესიის მრევლი. ტაძარში პოლიტიკურმა ვნებათაღელვამ აშკარად მეორე პლანზე გადაიწია.

მაგრამ ქუჩებში აღარ შეინიშნებოდა, რომ ხალხი კვლავ **„მჭიდროდ იყო დარაზმული პრეზიდენტის ირგვლივ“.** ხელისუფლების სადიდებელი თეატრალიზებული დადგმა ყველა თბილისელს არ მოსწონებია. **„განა ახლა ზეიმის დროა, რა ეზეიმებათ? ხალხი სიღარიბეში ცხოვრობს, პენსიები მათხოვრულია. ხელისუფლება კი ამდენ ფულს ხარჯავს ამ წარმოდგენებზე“,** — უკმაყოფილო იყო პენსიონერი ირაკლი.

ოპოზიციურმა პარტიამ „იმედმა“ სცადა ხელისუფლებისთვის ჩამოერთმია ინიციატივა. მან პირველმა დაიწყო რევოლუციის წლისთავის აღნიშვნა, ოთხშაბათს ღამით მოაწყო „საპროტესტო მსვლელობა“ თბილისიდან ქალაქ რუსთავის მე-6 საპყრობილესთან. იქ განაჩენს ელის 12 პატიმარი, იგორ გიორგაძის მომხრეები, რომლებიც შემოდგომის დამდეგს დააკავეს და „კრემლის აგენტებად“ შერაცხეს.

მმართველი პარტიის წარმომადგენლები კი შეიკრიბნენ პარლამენტში, რათა მოესმინათ უკრაინის პრეზიდენტის **ვიქტორ იუშჩენკოს,** მისი ესტონელი კოლეგის **თომას ილვესის** და პოლონეთის სეიმის მარშლის **მარეკ იურეკის** გამოსვლები. ოპოზიციონერთა უმრავლესობამ პარლამენტის სხდომას ბოიკოტი გამოუცხადა.

ხალხი კი თავის საქმეებით იყო დაკავებული — უქმე დღეს ზოგმა მიაშურა ეკლესიას: **23 ნოემბერს მართლმადიდებლები პატივს მიაგებენ წმინდა გიორგის — საქართველოს მფარველს.** ზოგმაც კი სახელდახელო სუფრები გაშალა თბილისურ ეზოებში. საბედნიეროდ, ჩინებული ამინდი იყო. რა თქმა უნდა, ეს ადამიანები სვამდნენ არა „ვარდების რევოლუციის“, არამედ წმინდა გიორგის სადღეგრძელოს და მსჯელობდნენ ბოლო ხანებში განვითარებულ მოვლენებზე.

„ნახეთ, ესტონეთის პრეზიდენტი ქართული თვითმფრინავით ჩამოფრინდა! გამოდის, რომ ჩვენი ბიუჯეტიდან ვიხდით ფულს მისი მოგზაურობისთვის? ნუთუ ასე გავმდიდრდით?“— ამ რიტორიკული კითხვის შემდეგ დათომ ჭაჭა გადაკრა.

„მართლაც. ტელევიზიით გამოაცხადეს, რომ რევოლუციის აღსანიშნავად ასი ათასი დოლარი გამოუყვიათ, — ჩაება საუბარში გიორგი, რომელიც პლასტმასის ჭიქებშიასხამდა ცეცხლოვან სასმელს. — უკეთესი იქნებოდა, ეს ფული გაჭირვებულებისთვის მიეცათ. გუშინ ჩავიარე ღარიბებისთვის გახსნილი სასადილოს გვერდით და ცრემლი ძლივს შევიკავე. უზარმაზარი რიგი იყო, იქ ახალგაზრდებიც იდგნენ... მონუმენტის სანახავად ხომ არ უნდა წავსულიყავით?“

„კიდევ მოვასწრებთ მის ნახვას“, — ერთხმად წამოიძახეს მეზობლებმა...

როგორც ჩანს, ამ აზრს ბევრი იზიარებდა. თავისუფლების მოედანზე, სადაც სააკაშვილმა გახსნა ზურაბ წერეთლის ქანდაკება, 1500-მდე კაცი თუ იქნებოდა — ძირითადად ახალგაზრდული მოძრაობის „პატრიოტის“ აქტივისტები. თვით მონუმენტის ავტორი თბილისში ვერ ჩამოვიდა, რადგან თავს შეუძლოდ გრძნობდა. ქანდაკება 27 ტონას იწონის, მისი სიმაღლე 9 მეტრია, მონუმენტის ოქროთი დაფარვას კი 11 კილოგრამი ძვირფასი ლითონი დასჭირდა. კვარცხლბეკის სიმაღლე 35 მეტრს აღწევს. ერთი სიტყვით, წერეთელი თავის ტრადიციებს არ ღალატობს.

— ვერავინ მოგვერევა, ეჭვიც არ მეპარება, — ვერ მალავდა აღფრთოვანებას ნანა — მმართველი პარტიის ახალგაზრდა აქტივისტი.

**— რუსეთი ვერასდროს დაგვაჩოქებს. ჩვენი პრეზიდენტი ძალიან მაგარია. ტყუილად ხომ არ უწოდეს დღეს მას „გენიალური“.**

ნანა არ ხუმრობდა. „ვარდების რევოლუციის“ წლისთავზე სააკაშვილი ნამდვილად მიაკუთვნეს გენიოსთა რიცხვს. ეს თქვა ერთ-ერთმა პარლამენტარმა ტელერეპორტაჟის დროს. **„იგი გენიოსია! პუტინისგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ იმით თუ გამოირჩევა, რომ უზარმაზარ ქვეყანას ხელმძღვანელობს“.**

საღამოს კი ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლები სააკაშვილის მეთაურობით მღეროდნენ საქართველოს ჰიმნს მართლაც გენიალურ პაატა ბურჭულაძესთან ერთად.

**ალექსანდრე იაშვილი,**

ИЗВЕСТИЯ

**24 ნოემბერი.**

## პირი შეკრეს რუსეთის წინააღმდეგ



**პოლონეთი, ლიტვა და საქართველო ცდილობენ მოსკოვი ასეთი არჩევანის წინაშე დააყენონ: ან იგი კვლავ დარჩება რეგიონალური მასშტაბის ჩხუბისთავად და ხულიგნად, ან გახდება ევროკავშირის და მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციის კეთილსინდისიერი პარტნიორი. თუ პოლონეთი და ლიტვა რუსეთს უგზავნიან სიგნალს ევროკავშირთან დაკავშირებით, საქართველოც იგივეს აკეთებს, ოღონდ, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დონეზე.**

ალბათ, კრემლში ბევრი მოისურვებს, რომ ეს კვირა ერთხელ და სამუდამოდ დაივიწყონ.

ჯერ ერთი, პოლონეთმა დაბლოკა ახალი შეთანხმება რუსეთსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობის შესახებ, ლიტვა კი კრემლს უგზავნის მძლავრ სიგნალს იმის თაობაზე, რომ მხარს უჭერს ვარშავის ძალისხმევას. და მეორეც, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა დაადასტურა, რომ თბილისი დაადებს ვეტოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების საკითხს. ყოველივე ამას ისიც დაემატა, რომ მოლდავეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ ვორონინმა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა დადეს პირობა, რომ ერთმანეთს დაეხმარებიან პრომოსკოვურ ანკლავებში — დნესტრისპირეთში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში „გაყინულ კონფლიქტებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაში.

საქართველო, რომელიც ვეტოს გამოყენებით იმუქრება, დაჟინებით მოითხოვს, რომ რუსეთმა გააუქმოს აკრძალვა თავის ტერიტორიაზე ქართული ღვინის, მირენარული წყლებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის შეტანაზე, რასაც, როგორც თბილისში ვარაუდობენ, მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური სარჩული აქვს. საქართველოს ასევე სურს მიიღოს იმის გარანტიები, რომ რუსეთი შეწყვეტს ვაჭრობას აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან.

ამ ცოტა ხნის წინათ „რადიო თავისუფალი ევროპისთვის“ მიცემულ ინტერვიუში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ზურაბ ნოღაიდელმა** აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის პრობლემას უწოდა **„ძალზე პრინციპული საკითხი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ნებისმიერი წევრისთვის“,** და დასძინა, რომ **„არავინ არ დაუშვებს ვაჭრობას უკანონო გამშვები პუნქტების მეშვეობით“.** თბილისის პოზიცია ასეთია: ან მოსკოვი კვლავ განაგრძობს რეგიონში თვითაღიარებული რეჟიმების მხარდაჭერას, ან გაწევრიანდება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში.

16 ნოემბერს, სანკტ-პეტერბურგში ვიზიტის დროს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ **ნინო ბურჯანაძემ** სცადა რამდენადმე შეერბილებინა თბილისის რიტორიკა, თუმცა საერთო აზრი არ შეცვლილა. **„საქართველო არ შეუშლის ხელს რუსეთის გაწევრიანებას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, თუ მოსკოვი დაიცავს ამ ორგანიზაციის პრინციპებს“,** — თქვა **ბურჯანაძემ.**

ასეთი განცხადების მოსმენა მოსკოვისთვის განსაკუთრებით საწყენია, რადგან რუსეთმა პრაქტიკულად უკვე მიაღწია ვაშინგტონის თანხმობას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის რიგებში მისი შესვლის თაობაზე.

რუსეთის ყოფილი სატელიტები ირონიული კმაყოფილების გრძნობით შეჰყურებენ მოსკოვს. დღეს მათ შეუძლიათ კრემლს არ დართონ იმის უფლება, რომ რისი გაკეთებაც რუსეთს ყველაზე მეტად სურს — მიუჯდეს მსოფლიო ელიტის მაგიდას. ყოველ შემთხვევაში, ასე მოხდება, თუ რუსეთი უარს იტყვის თამაშის ახალი წესების მიღებაზე.

**(იბეჭდება შემოკლებით),**

BusinessWeek

**(აშშ).**




## განცხადება

### ს/ს „მარნეულის სასურსათო კომბინატის“ რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის თაობაზე

**2006 წლის 13 დეკემბერს დღის 3 საათზე ქ. მარნეულში დავით ალმაშენებლის ქუჩა №1 გაიმართება ს/ს „მარნეულის სასურსათო კომბინატის“ რიგგარეშე საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:**

1. დამატებითი ინვესტიციის მოზიდვის მიზნით ს/ს „მარნეულის სასურსათო კომბინატის“ ქონების (აქციებისძ, გასხვისების საკითხის განხილვა;

2. საწარმოში მიმდინარე რეკონსტრუქციის პროცესთან დაკავშირებით დირექტორის ანგარიშის მოსმენა;

3. საზოგადოების წესდების ახალი რედაქციის განხილვა და დამტკიცება.

საერთო კრების სააღრიცხვო დღედ განსაზღვრულია 2006 წლის 30 ნოემბერი. კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ ს/ს „მარნეულის სასურსათო კომბინატის“ იმ აქციონერებს, რომელთაც ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი შპს „ეროვნული რეესტრის“ მონაცემებით სააღრიცხვო დღის, საღამოს 18 საათისთვის დადასტურებული აქვთ საკუთრების უფლება აქციებზე. საზოგადოების აქციონერებმა 2006 წლის 3 დეკემბრის დილის 10 საათიდან, 12 დეკემბრის საღამოს 18 საათამდე დადგენილი წესით უნდა მიმართონ აქციების რეგისტრატორს შპს „ეროვნულ რეესტრს“ (ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №74, მე11 სართულიძ, რათა შეამოწმონ კრებაში მონაწილეობის უფლება (აიღონ შესაბამისი ამონაწერიძ.

განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით, სამეთვალყურეო საბჭოს და დირექციის რეკომენდაციებია: ს/ს „მარნეულის სასურსათო კომბინატში“ დამატებითი ინვესტიციის მოზიდვის მიზნით, საზოგადოების ქონების (აქციებისძ გასხვისების მიზანშეწონილებობის საკითხების განხილვა და ასევე კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით საზოგადოების ახალი წესდების განხილვა თუ მიღება. აქციონერებს, რომელთაც კრებამდე სურთ ამ საკითხის ირგვლივ დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება, უნდა მიმართონ საზოგადოების დირექციას ქ. **მარნეულში დავით ალმაშენებლის ქ. №1.**

**ს/ს „მარნეულის სასურსათო კომბინატის“**
**დირექტორი**
**სოლომონ ბარათაშვილი.**


## ინფორმაცია

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2006 წლის 16 ნოემბრის №225 (5566ძ-ში გამოქვეყნებული ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან „სახელმწიფო ავტოტრანსპორტის შესახებ“ (აუქციონი ტარდება 13.12.06. წძ მოიხსნას: მერსედეს-ბენცი 220 ე სახ. № VIP-102 (ლოტი №14ძ და მერსედეს-ბენცი 220 ე სახ. № TIA-005 (ლოტი №17ძ, ხოლო გაზ-31029 სახ. № AAA-758 (ლოტი №19ძ საწყისი ფასია 700 აშშ დოლარი, ბიჯი 50 აშშ დოლარი, ბე-250 დოლარი, გაზ—31029 № სახ. № WNW-075 (ლოტი №20ძ საწყისი ფასია 700 აშშ დოლარი, ბიჯი 50 აშშ დოლარი, ბე-250 აშშ დოლარი, ოპელ-ფრონტერა საინდეფიკაციო კოდი № SED53MWL4NV528052 — (ლოტი №21ძ, საწყისი ფასია 3800 აშშ დოლარი, ბიჯი 100 აშშ დოლარია, ბე — 1000 აშშ დოლარი. დანარჩენი იგივე.**

სამმართველოს უფროსი
კ. იოსელიანი

რეკლამა
98-96-32;
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 899 328576



№ 231. შაბათი, 25 ნოემბერი, 2006 წელი.

## მოკლედ

ევროპაში მკვეთრად გაიაფდა ნარკოტიკები. ეს ხაზგასმულია ლისაბონის სააგენტოს მოხსენებაში, რომლის ავტორებიც აანალიზებენ ნარკოტიკების ფასებს ამ ხუთი ბოლო წლის მანძილზე. ფასების მკვეთრი დაცემის მიზეზია ავღანეთში „თალიბანის“ რეჟიმის დამხობა, რასაც მოჰყვა ამ ქვეყანაში ნარკოტიკების წარმოების მოცულობის არნახული გადიდება. ახლა ევროპის ქალაქების ქუჩებში ნარკოტიკი უფრო იაფად იყიდება, ვიდრე 80-იან წლებში.

* * *

დიდი ბრიტანეთის ხელისუფლება მიიღებს ლიტვინენკოს დოკუმენტებს რუსეთის ხელისუფლების მიერ ჩადენილ დანაშაულობათა შესახებ. „Group Menatfp“-ის თანამფლობელმა ლეონიდ ნევზლინმა განაცხადა, რომ ლიტვინენკომ მას გადასცა დოკუმენტები რუსეთის ხელისუფლების მიერ ჩადენილ დანაშაულობათა შესახებ, რომლებიც „ნათელს ფენენ იუკოსის საქმის მნიშვნელოვან ასპექტებს. ნევზლინი ბრიტანეთის საგამოძიებო ორგანოებისთვის აპირებს დოკუმენტების გადაცემას.

* * *

თურქმენეთის პურის ქარხნებში ამოიწურა ფქვილის მარაგი, მარცვალსაცავები თითქმის დაცარიელებულია. ქვეყნის პრეზიდენტის საფარმურატ ნიიაზოვის დაპირებების მიუხედავად, რომელიც აცხადებდა, რომ გამონახავდა პურის და მარცვლეულის დეფიციტის აღმოფხვრის შესაძლებლობებს, თურქმენეთში ამ მხრივ სიტუაცია კიდევ უფრო გაუარესდა. ქვეყანაში პურპროდუქტები ერთისამად გაძვირდა, ამოიწურა ფქვილის მარაგი. თანაც, თურქმენეთის ბიუჯეტს არ გააჩნია სახსრები მარცვლეულის საზღვარგარეთ შესასყიდად.

* * *

ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის დაღუპვის საქმის გამოძიება შეიძლება თავიდან დაიწყოს. ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება სენსაციური ინფორმაცია, რომლის თანახმადაც სლოვაკეთში იპოვეს მოკლული რეპორტიორის ნეშტი. სლოვაკებმა მოითხოვეს საჭირო ნიმუშების გადაცემა, რათა განახორციელონ ექსპერტიზა და ნეშტის იდენტიფიცირება.

◉ გუშინდელი ფოსტიდან

# ქორწილი უთამადოდ?!

### დიახ, პირველად საქართველოში

ამას წინათ ჩემს სიცოცხლეში პირველად გავიპარე ქორწილიდან. თანაც შუაში ან ბოლოში კი არა, თავშივე, როგორც კი მედასავლეთე პოლიტიკოსმა ქართველმა მასპინძელმა, იგივე სიძემ, მიკროფონით გამოაცხადა, როგორც ბევრი რამ საქართველოში, თამადობის ინსტიტუტიც საშინლად მოძველებულია, და მხოლოდ და მხოლოდ ქართველების ჩამორჩენილობაზე მეტყველებსო. რამდენიც გინდათ, ჭამეთ და სვით, თქვენი ნებაა, რამდენ ხანს დარჩებით. არავითარი სადღეგრძელოები საჭირო არ არისო. ისე, თუ არ გავაჭიანურებთ, მით უკეთესი იქნებაო...

მართალი გითხრათ, ჯერ ხუმრობა მეგონა, როგორ შეიძლება, ქორწილში თუნდაც ნეფე-პატარძლის სადღეგრძელო არ შეისვას?! ქორწილი ხომ, როგორც ერთ-ერთი უბედნიერესი დღე ადამიანების ცხოვრებაში, თავისებური სპექტაკლია, სადაც თამადა ერთგვარ რეჟისორის როლსაც ასრულებს.

ყველა, ცხადია, ვერ იქნება გულბაათ ჭავჭავაძე („და ჭავჭავაძე გულბაათი დასვეს თამადად, და აზარფეშამ ფრინველივით გაინავარდა“) ან შედან ჭილაძე, ან სიმონ სხირტლაძე, მაგრამ ამისთანა რა ავსა და გოროტს ხედავენ ეს ჩვენი მედასავლეთენი თამადობაში, ნამდვილად გაუგებარი ანტიქართული საქციელია.

**ჭირი დანახული ჯობს**

„წყნარად გავწიოთ ქეიფი,
ნუ ვიტყვით აჩქარებასა,
ამოვირჩიოთ თამადა,
მივყვეთ თამადის ნებასა“...

ეს ლექსი, სპეციალისტთა აზრით, ჯერ კიდევ „ვეფხისტყაოსნის“ დროინდელია, და თამადობაზე, ალბათ, ამაზე ძველი სტრიქონებიც არის შემორჩენილი.

ამ ბოლო დროს მოდაში შემოვიდა გამოთქმა: პირველად საქართველოში. ძალიანაც მივესალმებით, თუკი, მართლაც, რამე სასიკეთო და კარგი მოხდება ჩვენში, თანაც პირველად, მაგრამ ნამდვილად ვერ ავიღებთ ხელს ჩვენს ბევრ იმ საუკეთესო ტრადიციაზე, რითაც აგრერიგად განვირჩევით სხვათაგან და, თუ ქართველობა გვინდა, აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ ისინი. ადრეც, ჯერ კიდევ ამ ოცდაათი წლის წინათ სცადა ჩვენმა ზოგიერთმა ვაიხელმძღვანელმა ზოგი რამის მავნე ტრადიციად გამოცხადება, მაგრამ ცხოვრებამ მალე ნათელი გახადა, რა ან ვინ იყო მავნე.

გარდა ზემოხსენებული უთამადო ქორწილისა, პირველად საქართველოში იმასაც მოვესწარით, რომ აგერ სულ ახლახან თბილისის შუაგულში, ყოფილ პეროვსკაიას ქუჩაზე (რომელსაც ახლა დიდი გიორგი ახვლედიანის სახელი ჰქვია) ორმა ქართველმა გოგონამ ინტერკაფეში იქორწინა თურმე და, რასაკვირველია, თამადა არც აქ ჰყოლიათ (იქ კი ნამდვილად არ უნდა ჰყოლოდათ!).

თქვენ როგორ მოგწონთ ეს ყველაფერი პირველად საქართველოში, ძვირფასო ჩვენი ძველი მამაპაპური ტრადიციების მიმდევარო, დროს „ჩამორჩენილო“ ქართველებო?!.

**ჯუანშერ სამყურაშვილი,**
ერთი ჩვეულებრივი თბილისელი ქართველი.

◉ ინფორმაცია თემაში

# ქართულია, კარგია!

### „თამადამ“ თბილისი დაამშვენა

**გუშინ თბილისში, ბამბის რიგისა და შარდენის ქუჩის გადაკვეთაზე გაიხსნა ვანში აღმოჩენილი ძვ. წ. აღ. VII საუკუნის ბრინჯაოს ქანდაკება (ასლი) – „თამადა“.**

ღონისძიების ორგანიზატორები არიან საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა და საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

ჯერ კიდევ 2006 წლის 12 მაისს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის ინიციატივით ჩატარდა კონკურსი – „საქართველოს ღვინის აკვანი“. კონკურსში გამარჯვებული კომპანიები დაჯილდოვდნენ „თამადის“ ქანდაკებით.

ქანდაკების გახსნას დაესწრნენ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, დიპლომატიური კორპუსის, ქართული წამყვანი კომპანიების წარმომადგენლები და კონკურსში „საქართველო ღვინის სამშობლო“ გამარჯვებული ღვინის მწარმოებელი კომპანიები. ქანდაკების გახსნის შემდეგ მოეწყო ღვინის კომპანიების: „ვაზი I“, „თბილღვინო“, „ვაინმენი“, „ვაზი 1“, „თელავის ღვინის მარანი“, „ჯივიესი“ და „მილდიანი“ ღვინოების დეგუსტაცია.



ჯემალ კასრაძის ფოტო.

◉ რაგბი

# დღეს გადამწყვეტი მატჩია

**საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები, რომელიც საფრანგეთში „კლერმონის“ ბაზაზე ემზადებოდა, ლისაბონს ეწვია და დღეს მასპინძლებთან გადამწყვეტ განმეორებით მატჩს გამართავს. ბორჯღალოსნებს 13-ქულიანი მარცხიც აძლევთ ხელს, რომ 2007 წლის მსოფლიო თასის გათამაშების ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვონ. შეგახსენებთ, რომ ორი კვირის წინათ ჩვენმა მორაგბეებმა შინ 17:3 სძლიეს პორტუგალიელებს.**



მეტოქეთა წინა 9 შეხვედრიდან ქართველებმა 5 მატჩი მოიგეს და ოთხჯერ მარცხი იწვნიეს (უმეტეს შემთხვევაში – არაობიექტური მსაჯობის გამო), თუმცა ჩვენებს არც ერთი ორთაბრძოლა ხუთ ქულაზე მეტი სხვაობით არ დაუთმიათ. ცხადია, ამ „ტრაგედიას“ თუ არ ვუღალატებთ (იმედია, ბორჯღალოსნები არც გამარჯვებისთვის დაიშურებენ ძალ-ღონეს), საფრანგეთის საგზური გარანტირებული გვაქვს.

საქართველოს ნაკრები დღეს ლისაბონში ასეთი შემადგენლობით ითამაშებს: **თემურ სოხაძე, ბესიკ ხამაშურიძე, რეზო გიგაური, ირაკლი გიორგაძე, ირაკლი მაჩხანელი, პალიკო ჯიმშელაძე, ირაკლი აბუსერიძე, დავით ხინჩაგიშვილი, გოდერძი შველიძე, დავით ზირაქაშვილი, ილია ზედგინიძე, მამუკა გორგოძე, რატი ურუშაძე, გაი ლაბაძე, ბესო უდესიანი, სათადარიგოები – გიორგი კუთარაშვილი, მამუკა მაგრაქველიძე, ლევან დათუნაშვილი, ილია მაისურაძე, ბიძინა სამხარაძე, გიორგი შაინიანი, გიორგი ელიზბარაშვილი.**

პორტუგალიის დედაქალაქიდან გადამწყვეტი მატჩის პირდაპირ ტელერეპორტაჟს ტელეკომპანია „მზე“ 19 საათიდან შემოგთავაზებთ.

◉ კალათბურთი

# თქვენთვის, გულშემატკივრებო

**ორკვირიანი შესვენების შემდეგ განახლდა კალათბურთელ ვაჟთა XVI ეროვნული ჩემპიონატი. გთავაზობთ სუპერლიგის I რაუნდის დარჩენილ შეხვედრათა კალენდარს.**

II წრე

*25 ნოემბერი*
14.00. სტუ-„მაქაბი“. 16.00. „ავიამშენი“-„დინამო“.

*2 დეკემბერი*
12.00. „მაქაბი“-„ავიამშენი“. 14.00. „დინამო“-„აზოტი“. 16.00. სტუ-თსუ.

*8 დეკემბერი*
17.00. „აზოტი“-„მაქაბი“.

*9 დეკემბერი*
14.00. „ავიამშენი“-სტუ. 16.00. თსუ-„დინამო“.

*15 დეკემბერი*
17.00. „აზოტი“-„ავიამშენი“.

*16 დეკემბერი*
14.00. „დინამო“-სტუ. 16.00. „მაქაბი“-თსუ.

*23 დეკემბერი*
12.00. სტუ-„აზოტი“. 14.00. „მაქაბი“-„დინამო“. 16.00. თსუ – „ავიამშენი“.



III წრე

*3 თებერვალი*
12.00 „მაქაბი“-სტუ. 14.00. „დინამო“-„ავიამშენი“. 16.00. თსუ-„აზოტი“.

*9 თებერვალი*
17.00. „აზოტი“-„დინამო“.

*10 თებერვალი*
14.00. „ავიამშენი“-„მაქაბი“. 16.00. თსუ-სტუ.

*17 თებერვალი*
12.00. სტუ-„ავიამშენი“. 14.00. „მაქაბი“-„აზოტი“. 16.00. „დინამო“-თსუ.

*24 თებერვალი*
12.00. სტუ-„დინამო“. 14.00. თსუ-„მაქაბი“. 16.00. „ავიამშენი“-„აზოტი“.

*2 მარტი*
17.00. „აზოტი“-სტუ.

*3 მარტი*
14.00. „დინამო“-„მაქაბი“. 16.00. „ავიამშენი“-თსუ.

IV წრე

*9 მარტი*
17.00. „აზოტი“-თსუ.

*10 მარტი*
14.00. სტუ-„მაქაბი“. 16.00. „ავიამშენი“-„დინამო.

*17 მარტი*
12.00. „მაქაბი“-„ავიამშენი“. 14.00. „დინამო“-„აზოტი“. 16.00. სტუ-თსუ.

*23 მარტი*
17.00. „აზოტი“-„მაქაბი“.

*24 მარტი*
14.00. „ავიამშენი“-სტუ. 16.00. თსუ-„დინამო“.

*30 მარტი*
17.00. „აზოტი“-„ავიამშენი“.

*31 მარტი*
14.00. „დინამო“-სტუ. 16.00. „მაქაბი“-თსუ.

*14 აპრილი*
12.00. სტუ-„აზოტი“. 14.00. „მაქაბი“-„დინამო“. 16.00. თსუ-„ავიამშენი“.

V წრე

*17 აპრილი*
12.00. „მაქაბი“-სტუ. 14.00. „დინამო“-„ავიამშენი“. 16.00. თსუ-„აზოტი“.

*18 აპრილი*
12.00. „ავიამშენი“-„მაქაბი“. 14.00. თსუ-სტუ.
16.00. „აზოტი“-„დინამო“.

*19 აპრილი*
12.00. სტუ-„ავიამშენი“. 14.00. „მაქაბი“-„აზოტი“. 16.00. „დინამო“-თსუ.

*21 აპრილი*
12.00. სტუ-„დინამო“. 14.00. თსუ-„მაქაბი“. 16.00. „ავიამშენი“-„აზოტი“.

*22 აპრილი*
12.00. „დინამო“-„მაქაბი“. 14.00. „ავიამშენი“-თსუ. 16.00. „აზოტი“-სტუ.

# სპორტი

- დიდი კალათბურთელის საიუბილეო თარიღი
- ქალთა ჭადრაკის წინსვლისთვის





**გურამ მინაშვილი — 70**

## ღირსებებით შემკული კაცი



**ქართული კალათბურთის გალერეას არაერთი დიდი ოსტატის სახელი ამშვენებს.** მათ შორის გახლავთ გასული საუკუნის 60-70-იანი წლების თბილისის „დინამოს“ და საკავშირო ნაკრების სახელოვანი მოთამაშე, სპორტის დამსახურებული ოსტატი, ევროპის სამგზის ჩემპიონი (1957, 1959, 1963 წ.წ.ძ **გურამ მინაშვილი**, რომელიც სხვადასხვა დროს იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების პრიზიორი, ახალგაზრდობის საერთაშორისო მეგობრული სპორტული თამაშების ვერცხლის მედალოსანი, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი (1962ძ, 1963 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს და 1960 წლის რომის XVII ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი. იგი მშობლიურ ტექნიკურ უნივერსიტეტში წლების მანძილზე პედაგოგიური მოღვაწეობითაც გამოირჩეოდა.

ბატონ გურამ მინაშვილს დღეს 70 წელი უსრულდება. გულისხმიერ პიროვნებასა და სამაგალითო სპორტსმენს სულითა და გულით ვულოცავთ იუბილეს!

**ეროვნული თასი**

## დარჩა ერთი ტური



**დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის „ყაზბეგის“ გათამაშება.**

**V ტური. I ჯგუფი.** „კახეთი“-„სპარტაკი“ 3:0, „ზესტაფონი“-„ამერი“ 4:1.

„ზესტაფონი“, „ამერი“ — 10-10, „კახეთი“ — 7, „სპარტაკი“ — 1 ქულა.

**2 დეკემბერს ითამაშებენ:** „სპარტაკი“-„ზესტაფონი“, „ამერი“-„კახეთი“.

**II ჯგუფი.** „ბორჯომი“-„მესხეთი“ 3:1, „ტორპედო“-„ვიტ ჯორჯია“ 1:0.

„ტორპედო“ — 11, „ბორჯომი“ — 8, „ვიტ ჯორჯია“, „მესხეთი“ — 3-3 ქულა.

**2 დეკემბერს ითამაშებენ:** „მესხეთი“-„ტორპედო“, „ვიტ ჯორჯია“-„ბორჯომი“.

**III ჯგუფი.** „ოლიმპი“-„დინამო“ 3:2, „ჩიხურა,“-„ნორჩი დინამოელი“ 1:1.

„ჩიხურა“ — 11, „დინამო“ — 9, „ოლიმპი“ — 7, „ნორჩი დინამოელი“ — 1 ქულა.

**2 დეკემბერს ითამაშებენ:** „ნორჩი დინამოელი“-„ოლიმპი“, „დინამო“-„ჩიხურა“.

**IV ჯგუფი.** „ბათუმი“-„მეშაქრე“ 3:0, „მერანი“-„სიონი“ 0:1.

„სიონი“ — 13, „ბათუმი“ — 11, „მერანი“ — 4, „მეშაქრე — 0 ქულა.

**2 დეკემბერს ითამაშებენ:** „მეშაქრე“-„მერანი“, „სიონი“-„ბათუმი“.

**ჩემპიონთა ლიგა**

## საოქმო ენით

**V ტური. „ა“ ჯგუფი.** „ლევსკი“-„ბარსელონა“ 0:2, „ვერდერი“-„ჩელსი“ 1:0.

„ჩელსი“, „ვერდერი“ — 10-10, „ბარსელონა“ — 8, „ლევსკი“ — 0 ქულა.

**5 დეკემბერს ითამაშებენ:** „ბარსელონა“-„ვერდერი“, „ჩელსი“-„ლევსკი“.

**„ბ“ ჯგუფი.** „ინტერი“-„სპორტინგი“ 1:0, „სპარტაკი“-„ბაიერნი“ 2:2.



„ბაიერნი“ — 11, „ინტერი“ — 9, „სპორტინგი“ — 5, „სპარტაკი“ — 2 ქულა.

**5 დეკემბერს ითამაშებენ:** „სპორტინგი“-„სპარტაკი“, „ბაიერნი“-„ინტერი“.

**„გ“ ჯგუფი.** „ბორდო“-„გალათასარაი“ 3:1, „ლივერპული“-„ეინდჰოვენი“ 2:0.

„ლივერპული“ — 13, „ეინდჰოვენი“ — 10, „ბორდო“ — 4, „გალათასარაი“ — 1 ქულა.

**5 დეკემბერს ითამაშებენ:** „ეინდჰოვენი“-„ბორდო“, „გალათასარაი“-„ლივერპული“.

**„დ“ ჯგუფი.** „ვალენსია“-„ოლიმპიაკოსი“ 2:0, „შახტარი“-„რომა“ 1:0.

„ვალენსია“ — 13, „რომა“ — 7, „შახტარი“ — 5, „ოლიმპიაკოსი“ — 2 ქულა.

**5 დეკემბერს ითამაშებენ:** „რომა“-„ვალენსია“, „ოლიმპიაკოსი“-„შახტარი“.

**უეფას თასი**

## ჯგუფური ეტაპის III ტური

**„ა“ ჯგუფი.** „ოსერი“-„რეინჯერსი“ 2:2, „მაქაბი“-„პარტიზანი“ 1:0. ისვენებდა „ლივორნო“.

„რეინჯერსი“ — 7, „მაქაბი“ — 6, „ლივორნო“, „პარტიზანი“, „ოსერი“ — 1-1 ქულა.

**29 ნოემბერს ითამაშებენ:** „პარტიზანი“-„ოსერი“, „ლივორნო“-„მაქაბი“.

**„ბ“ ჯგუფი.** „ბრიუგე“-„დინამო“ 1:1, „ლევერკუზენი“-„ტოტენჰემი“ 0:1. ისვენებდა „ბეშიქთაში“.

„ტოტენჰემი“ — 9, „დინამო“ — 4, „ბრიუგე“ — 2, „ლევერკუზენი“ — 1, „ბეშიქთაში“ — 0 ქულა.

**29 ნოემბერს ითამაშებენ:** „დინამო“-„ლევერკუზენი“, „ბეშიქთაში“-„ბრიუგე“.

**„გ“ ჯგუფი.** „ლიბერეცი“-„გრასხოპერსი“ 4:1, „სევილია“-„ბრაგა“ 2:0. ისვენებდა „ალკმაარი“.

„ალკმაარი“ — 6, „სევილია“, „ლიბერეცი“ — 4-4, „ბრაგა“ — 3, „გრასხოპერსი“ — 0 ქულა.

**29 ნოემბერს ითამაშებენ:** „ალკმაარი“-„ლიბერეცი“, „გრასხოპერსი“-„სევილია“.

**„დ“ ჯგუფი.** „პარმა“-„ჰერენვენი“ 2:1, „ოდენსე“-„ლანსი“ 1:1. ისვენებდა „ოსასუნა“.

„პარმა“ — 6, „ლანსი“, „ოდენსე“ — 4-4, „ოსასუნა“, „ჰერენვენი“ — 1-1 ქულა.

**29 ნოემბერს ითამაშებენ:** „ოსასუნა“-„ოდენსე“, „ლანსი“-„პარმა“.

**„ე“ ჯგუფი.** „ბაზელი“-„ნანსი“ 2:2, „ფეიენოორდი“-„ბლექბერნი“ 0:0. ისვენებდა „ვისლა“.

„ბლექბერნი“ — 7, „ნანსი“ — 4, „ფეიენოორდი“, „ბაზელი“ — 2-2, „ვისლა“ — 0 ქულა.

**30 ნოემბერს ითამაშებენ:** „ვისლა“-„ბაზელი“, „ნანსი“-„ფეიენოორდი“.

**„ვ“ ჯგუფი.** „სპარტა“-„აიაქსი“ 0:0, „ესპანიოლი“-„ვარეგემი“ 6:2. ისვენებდა „აუსტრია“.

„ესპანიოლი“, „ვარეგემი“ — 6-6, „აიაქსი“ — 4, „სპარტა“ — 1, „აუსტრია“ — 0 ქულა.

**30 ნოემბერს ითამაშებენ:** „აუსტრია“-„სპარტა“, „აიაქსი“-„ესპანიოლი“.

**„ზ“ ჯგუფი.** „რაპიდი“-„ბოლესლავი“ 1:1, „პსჟ“-„ჰაპოელი“ 2:4: ისვენებდა „პანათინაიკოსი“.

„პანათინაიკოსი“ — 6, „ჰაპოელი“ — 4, „რაპიდი“ — 3, „ბოლესლავი“, „პსჟ“ — 1-1 ქულა.

**30 ნოემბერს ითამაშებენ:** „პანათინაიკოსი“-„რაპიდი“, „ბოლესლავი“-„პსჟ“.

**„თ“ ჯგუფი.** „ნიუკასლი“-„სელტა“ 2:1, „ფენერბახჩე“-„პალერმო“ 3:0. ისვენებდა „აინტრახტი“.

„ნიუკასლი“ — 9, „ფენერბახჩე“ „პალერმო“ — 3-3, „სელტა“, „აინტრახტი“ — 1-1 ქულა.

**30 ნოემბერს ითამაშებენ:** „აინტრახტი“-„ნიუკასლი“, „სელტა“-„ფენერბახჩე“.

**ევროლიგა**

## მხოლოდ შედეგები

**V ტური. „ა“ ჯგუფი.** მოსკოვის „დინამო“-„ლე მანი“ 74:57, „ეფესი“-„ოლიმპიაკოსი“ 95:77, „ტაუ“-„ბოლონია“ 90:80, „რეიინი“-„პროკომი“ 84:80.

„ოლიმპიაკოსი“, „ ტაუ“ — 4-4, „ეფესი“, მოსკოვის „დინამო“ 3-3, „ლე მანი“, „პროკომი“, „რეიინი“ — 2-2, „ბოლონია“ — 0 მოგება.

**29 ნოემბერს ითამაშებენ:** „რეიინი“-„ლე მანი“, „ეფესი“-„ბოლონია“.

**30 ნოემბერს ითამაშებენ:** „პროკომი“-„ტაუ“, „ოლიმპიაკოსი“-მოსკოვის „დინამო“.

**„ბ“ ჯგუფი.** „რომა“-„ხუვენტუდი“ 71:69, „ოლიმპია“-„პარტიზანი“ 70:71, „ციბონა“-„მაქაბი“ 87:82, „პანათინაიკოსი“-„უნიკახა“ 87:72.

„პანათინაიკოსი“ — 5, „—მაქაბი“, „პარტიზანი“, „ციბონა“ — 3-3, „ხუვენტუდი“, „რომა“ — 2-2, „ოლიმპია“, „უნიკახა“ — 1-1 მოგება.

**29 ნოემბერს ითამაშებენ:** „პარტიზანი“-„პანათინაიკოსი“, „რომა“-„უნიკახა“.

**30 ნოემბერს ითამაშებენ:** „მაქაბი“-„ოლიმპია“, „ხუვენტუდი“-„ციბონა“.

**„გ“ ჯგუფი.** „ბარსელონა“-„ფენერბახჩე“ 84:70, „ჟალგირისი“-ცსკა 59:78, „ბენეტონი“-„არისი“ 64:42, „ნაპოლი“-„პო ორტეზი“ 84:96 (დამატებით დროშიძ.

ბარსელონა“ — 5, ცსკა — 4, „ბენეტონი“, „პო ორტეზი“ — 3-3, „არისი“ — 2, „ჟალგირისი“, „ფენერბახჩე“, — „ნაპოლი“ — 1-1 მოგება.

**29 ნოემბერს ითამაშებენ:** ცსკა-„ბარსელონა“.

**30 ნოემბერს ითამაშებენ:** „პო ორტეზი“-„ბენეტონი“, „ნაპოლი“-„ფენერბახჩე“, „არისი“-„ჟალგირისი“.




**ორბიტაზე**

### მექალთანის მორიგი „მსხვერპლი“

**ასეთად მიიჩნევენ მამაკაცებისთვის განკუთვნილი ჟურნალის „ესკვაირის“ მიერ წლის ყველაზე სექსუალურ ქალად აღიარებულ მსახიობს — ჯესიკა ბიელის, რომელსაც თვალი დაადგა ამერიკაში მექალთანედ აღიარებულმა ბეისბოლისტმა, „ნიუ-იორკ იანკიზის“ მოთამაშემ დერეკ ჯეტერმა.** აშშ-ში ამ ძალზე პოპულარული თამაშის ვარსკვლავს ადრე ხომ სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა მომღერალ მერაი ქერისთან, მსახიობ სკარლეტ იოჰანსონთან და ტელეარხის MTV წამყვან ვენსეი მინილოსთან.

ამ დღეებში ჟურნალისტებმა დერეკი და ჯესიკა ერთად მოიხელთეს ლოს-ანჯელესის ერთ-ერთ კლუბში მხიარული დროსტარებისას, რაზეც „ქვეყანა შეყარეს“.



**ჭადრაკი**

## გოგონები ბიჭებს ეჯიბრებიან

**თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის საჭადრაკო კლუბ „ნტნ“-ში (ნონა — ტიგრანი — ნანაძ 22 ნოემბერს დაიწყო და 3 დეკემბერს დამთავრდება ტიგრან პეტროსიანის მემორიალი — 2006, რომელშიც ექვსი გოგო ამდენივე ვაჟის წინააღმდეგ თამაშობს ორ წრედ.**

საგულისხმოა, რომ საქართველოს დედაქალაქში დაბადებული და გაზრდილი ტიგრან პეტროსიანის პირველი მემორიალი სახელოვანი ქართველი დიდოსტატის ნანა ალექსანდრიას ინიციატივით მსოფლიოს მეცხრე ჩემპიონის გარდაცვალებიდან (1984 წლის აგვისტოძ რამდენიმე თვის შემდეგ გაიმართა. მაშინ მთავარი პრიზი ჭადრაკის ჯადოქარმა მიხეილ ტალმა დაიმსახურა.

ობიექტური მიზეზებით მივიწყებული მემორიალი ქალბატონმა ნანამ შარშანწინ განაახლა 2002 წელს გახსნილ კლუბ „ნტნ“-ში. შეჯიბრების გამარჯვებულები გახდნენ ივერი ჭიღლაძე და ბაადურ ჯობავა. ამჟამად მეოთხე ტურნირში მონაწილეობენ სხვადასხვა წლების ასაკობრივი მსოფლიო და ევროპის პირველობების ჩემპიონები და პრიზიორები: დიდოსტატები — ლევან ფანცულაია (რეიტინგი — 2596ძ, ლელა ჯავახიშვილი (2416ძ და მაკა ფურცელაძე (2329ძ, ასევე, საერთაშორისო და ფიდეს ოსტატები — გიორგი მაგველაშვილი (2456ძ, თორნიკე სანიკიძე (2418ძ, დავით ჯოჯუა (2394ძ, ბელა ხოტენაშვილი (2329ძ, სოფიკო გურამიშვილი (2181ძ, სალომე ხაჟომია (2121ძ, მარიამ დანელია (2022ძ, ლევან ბრეგაძე (2269ძ და ლუკა პაიჭაძე (2378ძ.

შეჯიბრების ორგანიზატორები



არიან თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახური (უფროსი ზაზა დოლიძეძ, გოგი თოფაძის საქველმოქმედო ფონდი და საჭადრაკო კლუბი „ნტნ“-ი (პრეზიდენტი ნანა ალექსანდრიაძ. საპრიზოდ გამოყოფილია 2000 ლარი. პირველ ადგილზე გასული 1000 ლარს დაიმსახურებს, ხოლო მეორე — მეოთხე ადგილების მფლობელნი, შესაბამისად, 500, 300 და 200 ლარს მიიღებენ. როგორც ქალბატონმა ნანა ალექსანდრიამ გვითხრა, გოგი თოფაძის ფონდს დამატებით 500 და 250-ლარიანი პრიზები დაუწესებია.

— წლეულს გოგი თოფაძის ფონდმა სოლიდური თანხით დაგვაფინანსა, — თქვა ქალბატონმა ნანამ. — ამ სახსრებით ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე უნდა გაგვემგზავრებინა გუნდი. მოგეხსენებათ, ამ პრესტიჟულ ტურნირში „ნტნ“-ის ქალთა ნაკრებმა ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ორი ოქროს, თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. წლეულს ჩვენი ნაკრების მთლიანი შემადგენლობა „ენერჯი ინვესტმა“ გადაიბირა. ხელი არ შეგვიშლია მოჭადრაკეებისთვის, რადგან იმ კლუბში უკეთეს დაფინანსებას შეჰპირდნენ. ჩვენ კი ახალგაზრდული შემადგენლობით შეჯიბრებაზე გამგზავრებას და ბოლო ადგილზე გასვლას „ნტნ“-ის მოწესრიგება ვარჩიეთ — გოგი თოფაძის ფონდისგან მიღებული სპონსორული თანხა ჩვენი კლუბის კეთილმოწყობას მოვახმარეთ. კაპიტალურად გავარემონტეთ ერთი მოზრდილი ოთახი, რომელიც უწინ საწყობად იყო გამოყენებული. შევიძინეთ ახალი ინვენტარიც. ერთი სიტყვით, მუნიციპალური დაქვემდებარების კარგი ბაზა გაკეთდა.

ტიგრან პეტროსიანის მემორიალზე პერსონალურად მოვიწვიეთ ექვს-ექვსი პერსპექტიული ახალგაზრდა მოჭადრაკე. კიდევ ერთხელ ვნახავთ მათს შესაძლებლობებს, დავაკვირდებით, მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში როგორ ითამაშებენ მნიშვნელოვან შეჯიბრებებზე და, თუ თავს გამოიჩენენ, გუნდში მოვიწვევთ საკლუბო ჩემპიონატში საასპარეზოდ...

შეგახსენებთ, რომ ტურნირის თითოეულ მონაწილეს პარტიაზე ეძლევა 90 წუთი ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით. გაუწყებთ პირველი ორი ტურის შედეგებს:

**I ტური. ჯავახიშვილი — მარგველაშვილი 1:0, ფურცელაძე — ბრეგაძე 0,5:0,5, ხოტენაშვილი — სანიკიძე 0:1, გურამიშვილი — პაიჭაძე 0:1, ხაჟომია — ფანცულაია 0:1, დანელია — ჯოჯუა 0:1.**

**II ტური. ბრეგაძე — ჯავახიშვილი 0,5:0,5, სანიკიძე — ფურცელაძე 1:0, პაიჭაძე — ხოტენაშვილი 0,5:0,5, ფანცულაია — გურამიშვილი 1:0, ჯოჯუა — ხაჟომია 1:0, მარგველაშვილი — დანელია 1:0.**

**ირმა ჯოხაძე,**
**ნინო ლორთქიფანიძე.**

● დღესაც რომ ახსოვს ხალხს ჯოკია მეშველიანი, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს ერს გადაშენება და გადაგვარება არ უწერია!



№ 231. შაბათი, 25 ნოემბერი, 2006 წელი.

◎ ღვაწლი

# კვლავაც ბევრის გაკეთება შეეძლო

## მეცნიერი და პედაგოგიური განათლების თვალსაჩინო მოღვაწე



**გასული საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთი გამოჩენილი ფილოსოფოსისა და პედაგოგიური განათლების თვალსაჩინო მოღვაწის ოთარ ბაკურაძის დაბადებიდან ოთხმოცი და გარდაცვალებიდან ოცი წელი შესრულდა.**

დაიბადა 1926 წელს თელავში. იქვე მიიღო საშუალო განათლება, ხოლო 19944-1949 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-ფილოსოფიის ფაკულტეტზე ფილოსოფიის სპეციალობით. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ოცი წლის მანძილზე მუშაობდა ფილოსოფიის ინსტიტუტში ჯერ უმცროსი, შემდეგ – უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე, ხოლო 1956-1970 წლებში – ამავე ინსტიტუტის ისტორიის ფილოსოფიის განყოფილების გამგედ. 1953 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1964 წელს სადოქტორო დისერტაცია. იყო ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

ოთარ ბაკურაძემ მეცნიერული მოღვაწეობის ყველაზე წარმატებული წლები ფილოსოფიის ინსტიტუტში გაატარა. ამ პერიოდში გამოაქვეყნა პირველხარისხოვანი ნაშრომები, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფუნდამენტურ მონოგრაფიას **„თავისუფლება და აუცილებლობა“**. ეს წიგნი 1964 წელს დაიბეჭდა, მაგრამ დღემდე არ დაუკარგავს დიდი მეცნიერული ღირებულება. მასში გამოკვლეულია ფილოსოფიის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემა, რომელსაც მისი ავტორი სამართლიანად „დაწყევლილს“ უწოდებდა. ამ გამოკვლევას დღემდე ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს იმ ნაშრომთა შორის, რომლებიც თავისუფლებისა და აუცილებლობის შესახებ გამოქვეყნდა არა მხოლოდ ქართულ, არამედ უცხოურ ლიტერატურაშიც.

მისი ფილოსოფიური კვლევა-ძიებისათვის დამახასიათებელი იყო სპეციალურ მეცნიერებათა მიღწევების ღრმა ცოდნა და მათი ფილოსოფიური ანალიზი. ზემოხსენებულ წიგნში მან ფართოდ გააანალიზა ფსიქოლოგიის, ფიზიოლოგიისა და სხვა სპეციალურ მეცნიერებათა უახლესი მიღწევები, რომლის შედეგად საკუთარი პოზიცია შეიმუშავა.

დიდი წვლილი მიუძღვის ეთიკის პრობლემების დამუშავების საქმეშიც. ამ მიმართულებით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მისი უკანასკნელი ნაშრომი მორალური მსჯელობის შესახებ. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე მრავალი გამოკვლევა შემეცნების თეორიისა და ისტორიის ფილოსოფიის დარგში. იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი და მონაწილე იმ ფართომასშტაბიანი სიმპოზიუმისა ღირებულების პრობლემის შესახებ, რომელიც 1965 წელს თბილისში გაიმართა და რომელმაც დასაბამი მისცა ამ პრობლემის კვლევას მთელი მაშინდელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით.

იყო ღვთიური ნიჭით დაჯილდოებული მკვლევარი, ერუდირებული, სალად და ნათლად მოაზროვნე, დინჯი, დარბაისელი და ტაქტიანი პიროვნება, ერთგული მეგობარი, ახალგაზრდობის საყვარელი აღმზრდელი, მეცნიერების ორგანიზატორი და პედაგოგიური განათლების გამორჩეული მოღვაწე. წლების მანძილზე ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გახლდათ სამეცნიერო საბჭოების წევრი, მრავალი ღონისძიების ინიციატორი და ორგანიზატორი.

1970 წელს დაინიშნა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად, სადაც რვა წელი დაჰყო, მომდევნო რვა წელი კი ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორის თანამდებობაზე გაატარა, გამოავლინა პედაგოგიური განათლების ორგანიზატორის დიდი ნიჭი, რაც ამ ინსტიტუტების სასწავლო და სამეცნიერო მუშაობაში აისახა.

**1986 წელს, სამოცი წლის ასაკში, ნაადრევად შეწყდა ამ გამოჩენილი მეცნიერისა და მოღვაწის გულისცემა, როცა ჯერ კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეეძლო როგორც სამეცნიერო, ისე პედაგოგიურ სარბიელზე. მისი სახით ქართულმა ფილოსოფიურმა საზოგადოებამ დაკარგა თვალსაჩინო მეცნიერი, გამოჩენილი ფილოსოფოსი და ახალგაზრდობის საყვარელი აღმზრდელი.**

**სერგი ავალიანი,**
**პროფესორი.**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-96-32;
899 328576

◎ არდავიწყება

# ღერმეთუვ ჯაშდ მიშგუ ლადელ სი!

## „ღმერთი გწყალობდეთ, თქვენი ჭირიმე“

**სცენაზე საზეიმო საღამოს წამყვანი გამობრძანდა და გვაუწყა: დღევანდელი საღამო ეძღვნება გამოჩენილი ლოტბარის, სვანური სიმღერის უბადლო შემსრულებლისა და მცოდნის, საქართველოს სახალხო არტისტის ჯოკია მეშველიანის ხსოვნასო.**

ახლახან, ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრმა გამოსცა შესანიშნავი კრებული – „ჯოკია მეშველიანი“.

დღეს ამ წიგნის პრეზენტაციაა!

... ეს იყო 18 ნოემბერს!

მე უკვე ხელთ მქონდა წიგნი და სიამაყეს ვგრძნობდი, რომელიც ამ დიდებულ ქართველთან სიახლოვით იყო გამოწვეული. სიამაყით, რომელიც ლაფურის საძოვრებზე, ხალდურას ხეობაში, მუაშში, სხალდობაზე, ლენტეხში და კიდევ ვინ იცის სად არა, მასთან და მის ანსამბლთან ერთად ნამღერი ჰანგებით იყო გაცისკროვნებული. კიდევ ერთხელ ვუსმენდი ჯოკია მეშველიანის ანსამბლ „ლილეს“ უხუცეს წევრებს და მიხაროდა, რომ კვლავ ძველებურად ჰქუხდა მათ არსებაში სიმღერის ხალისი! მიხაროდა, რომ ათეული წლების მერე თითქმის ყველა მათგანმა მიცნო და მომესიყვარულა. არასოდეს გამომიდვია თავი ქართული სიმღერის დიდ შემსრულებლად, მით უფრო – მცოდნედ, მაგრამ საამაყოდ მყოფნის ის, რომ ჯოკია მეშველიანთან და ჯოკია გუგავასთან ერთად წამიმღერია... ამიტომ სულგაკმენდილი ვუსმენდი ეკრანიდან გადმომქუხარ სვანურ მელოდიებს, მთები რომ ჩამოჰქონდა დაბლა და ქვეყნიერებას ეფინებოდა ვაჟკაცობის, სიყვარულისა და ერის სულიერი სიმდიდრის სიმბოლოდ.

სცენაზე კი ცეკვას სიმღერა ცვლიდა და ტანში ჟრუანტელი უვლიდა მსმენელს. ამ ჟრუანტელში იყო ჩაგვირისტებული მოგონებათა გვირგვინი.

**ანზორ ერქომაიშვილი, ქართული ხალხური სიმღერების საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელი, საქართველოს სახალხო არტისტი:**

– ახლა თქვენთან ერთად ყურადღებით ვუსმენდი ამ შესანიშნავ სიმღერას, რომელიც მართლაც ფრესკასავით ლამაზი იყო. ასე სიმღერა მხოლოდ ჯოკიას გუნდს შეეძლო. ჯოკია გახლდათ სვანური სიმღერების ნამდვილი მახვში! მე ბედნიერად ვთვლი თავს, რომ მქონდა მასთან შემოქმედებითი და მეგობრული ურთიერთობა და ბევრი




სასიკეთო საქმე გვიკეთებია ერთად. ახლა, როცა ქართული სიმღერების ანთოლოგიაზე ვმუშაობ, ვხედავ და მაოცებს, – რამდენი უნიკალური სიმღერა აქვს ამ კაცს მოპოვებული და აღდგენილი. მიკვირს, როდის მოახერხა ამდენი ეროვნული საქმის გაკეთება?!

**გურამ გუნავა, ლენტეხის რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი, კონტროლის პალატის განყოფილების გამგე:**

– ჯოკია მეშველიანი 1978 წელს გავიცანი. თითქმის რვა წლის მანძილზე მიხდებოდა ცხოვრება, მუშაობა და მოღვაწეობა მის გვერდით. ბატონი ჯოკია არამარტო ქართული ხალხური შემოქმედების, კერძოდ, სვანური ფოლკლორის დიდი ოსტატი და მოამაგე, არამედ, სამეურნეო საქმიანობის დიდი ორგანიზატორიც იყო. მის სახელთანაა დაკავშირებული ლენტეხის რაიონში კულტსახლების, ბიბლიოთეკების, მუზეუმების და სხვა დაწესებულებების მშენებლობა, რომელსაც ფართო გასაქანი მიეცა იმ ხანაში, როცა ის კულტურის განყოფილებას განაგებდა. მოწმე ვარ მისი საოცარი შრომისმოყვარეობისა, დიდი ეროვნული სულისკვეთებისა და ნაღდი მეგობრობისა.

განსაკუთრებული იყო ბატონების ჯოკია მეშველიანისა და ჯოკია გუგავას მეგობრობა. ერთი, ხელოვანი და საზოგადო მოღვაწე, მეორე – ხელოვანი და ცნობილი სპორტსმენი, დიდი ალპინისტი! – ისინი ავსებდნენ ერთმანეთს. ისინი თესავდნენ რაიონში სიმშვიდეს, კაცურკაცობას, რაც სამეურნეო მიღწევებზე არანაკლებ საჭირო იყო!

**ერეკლე საღლიანი, პოეტი:**

– ადამიანის შერყვნა, ადამიანის გადაგვარება, პირველ რიგში, სმენის შერყვნით ხდება! დღეს რყვნიან ჩვენს სმენას, ამახინჯებენ ჩვენს სულს „ჯეობარული“ უხამსობებით, იმ გადაცემებით, რითაც სატელევიზიო ეთერი „გვაჯილდოვებს“, და ამ მდგომარეობაში, ამგვარ საქართველოში, დღესაც რომ ახსოვს ხალხს ჯოკია მეშველიანი, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს ერს გადაშენება და გადაგვარება არ უწერია!

ჯოკიას სიმღერები გაუტოლდნენ ისეთ შედევრებს, როგორებიც არის **„ლაგუშედა“, „კვირია“, „ლილეო“!** ფუტკარივით მშრომელი ადამიანი ბრძანდებოდა ბატონი ჯოკია! როგორც ფუტკარი აგროვებს თაფლს, ისე აგროვებდა ყოველ სიტყვას და ყოველ ბგერას და სიმღერად გარდაქმნიდა.

***–... ღერმეთუვ ჯაშდ მიშგუ ლადელ სი!“ – „ღმერთი გწყალობდეთ, თქვენი ჭირიმე“.***

**ასე ილოცებიან სვანები!**

**ღმერთი გწყალობდეთ და მადლი მამა-პაპათა, რომელთაც ხმალთაკვეთებით, მამულისთვის დაღვრილი სისხლითა და ოფლით მოიტანეს ქართული სული ამ გადარეულ დღევანდელობამდე...**

**სიცოცხლეს სიმღერა უადვილებდათ.**

**ზაურ ფიფია**

◎ ელამი სარკე

# შელებილი საფერავი

**სოფლის ცენტრში მილეთის ხალხს მოეყარა თავი. სად იყო და სად არა, კოჭლი გოგიაც გამოჩნდა.**

– რა მოხდა, ხალხოო? – იკითხა მისვლისთანავე.

– გაიგებ რო? – მხრები აიჩეჩა გიგოლამ, – ფინანსური პოლიციის ამბავი ხო იცი, თუ შემოგიცვივდნენ, აღვირს ველარ დაუჭერ.

– აბა, კაცო, აბა, ღვინის ქარხანაში შევარდნილან და 60 ტონა საფერავი დაუღვრიათ, – ცეცხლი მოიკიდა ნიკუშამ.



– ჰო, დაღვრა იოლია, შენ მოყვანა თქვი თორემა.

– ეტყობა, შემთხვევით ბოჭკას ფეხი წამოჰკრეს, თორემ რატო უნდა დაეღვარათ? – გაიკვირა ვანუამ.

– წამოჰკრეს კი არა, ტელევიზორში ვერა ნახე, რამხელა შლანგითა ღვრიდნენ?

– არა, მაგათ ვინ ეკითხებოდა ან მოყვანას ან დაღვრასა, ჰა? – გული მოუვიდა კოჭლ გოგიას, – პრეზიდენტმა ხო ღვინო ოქრუაშვილს ჩააბარა?

– შენც იტყვი რაღა, ოქრუაშვილი მერე ხო ეკონომიკის მინისტრად დანიშნეს!

– ჰოდა, მიეხედა ღვინისთვინა!

– ეი, მაგას საახალწლოდ ოსეთში შესვლაც უნდოდა, მაგრამ...

– არა, რატო ვღვრითო, არ უთქვამთ?

– მეღვინეებს გასაღება უჭირთ და ჭურჭლის დაცლაში ვეხმარებითო, – ჩაიქირქილა ვილაცამ.

– მარტო „ბადაგონსაო“?

– რატო, კაცო, ჩამოუვლიან და სხვებსაც მოეხმარებიან.

– მოეშვით მაიმუნობასა, – საქმეში ჩაერია პახტუა, – მართლა არ უთქვამთ, რატო დაღვარეს?

– როგორ არა, ერთ ცისტერნაში ღვინო შელებილი იყო, ხოლო მეორეში – წყალწყალაო.

– ჩვენებურ საფერავს რაღა შელებვა უნდოდა, ჯო? – დაეჭვდა ცაბუტაანთ გიგა.

– შენ ეგა თქვი, აი.

– მთლად ეგრეც არ არი, როგორც თქვენ ლაპარაკობთ, – თავის აზრი გამოთქვა ვანუამ, – რა იცით, იქნებ იტალიაში შელებილი ღვინო მოსწონთ?

– სწორი ხარ, – გამოექომაგა ჭოგრიტა, – კაცია და გუნება, ზოგს შელებილი ქალი მოსწონს, ზოგს კიდევ – შეულებავი.

– ჰო, ინვესტორები ხომ იტალიელები არიან, ეგენი ღვინოს საკუთარი გემოვნებით აყენებენ.

– არც ეგრეა საქმე, როგორც თქვენ გგონიათ, – თქვა აქამდე უბრად მდგომმა მათემ, – არ იცით და ლაპარაკობთ.

– მაინც რა არ ვიცით, აბა ამოკარკლე?

– ეს ყველაფერი წილობანას ბრალია, რაც ხელისუფლებაში მყრალა ბალახივით არის მოდებული. ვერა ხვდებით, ვილაცა მთავრობის კაცი „ბადაგონის“ წილში არ იჯდა და ჯავრი იყარა.

– ესე იგი, თავის წილ ღვინოს არ აძლევდნენ?

– ღვინოს კი არა, ბრიყვებო, მაყუთს არ აძლევდნენ.

– ნეტა ვინ იქნებოდა? – წამოიძახეს აქეთ-იქიდან.

– ალბათ, ყოფილი სოფლის მეურნეობის მინისტრი.

– არა მგონია, – დაეჭვდა კოჭლი გოგია, – თუ არაფერს აძლევდნენ, ერთთავად აბა რა ამღერებდა?

– ყოფილი გუბერნატორი?

– არც ის იყო მოწყენილი და ტყუილად რატო უნდა დავაბრალოთ?

– ნეტა პრეზიდენტი რა აზრისაა?

– პრეზიდენტი? არ იჯავროთ, მთავარია ჯანზე იყოს, თორემ მომავალ შემოდგომამდე ჩვენს სოფელში ერთი ასეთი ქარხნის გახსნას კიდევ მოასწრებს.

**ოტია ჩართოლანი**

№ 231. შაბათი, 25 ნოემბერი, 2006 წელი.

## გახსენება

# კვალი ნათელი კაცისა

ამ წერილს ვუძღვნი ბრწყინვალე მამულიშვილს, ნათელ კაცს, ჩემს მეგობარს, ძმაკაცს, თანამებრძოლსა და თანამოაზრეს – **გურამ ქარქაშაძეს.**

– გურამ ქარქაშაძე –
გამომძიებელი – მინისტრის მოადგილე,
ლეიტენანტი – გენერალ-ლეიტენანტი,
იურისტი – ხელოვნებათმცოდნე.

გამომძიებლობიდან – მინისტრის მოადგილეობამდე 30-წლიანი რთული გზა განვლო, უშეცდომოდ. ლეიტენანტობიდან – გენერალ-ლეიტენანტობამდე ყველა სამხედრო საფეხური გაიარა დამსახურებულად. სანამ ხელოვნებაზე იტყოდა, ბევრი იფიქრა, მოემზადა, მოიძია და აკი იპოვა კიდეც უნიკალური მასალა და თქვა ისე, როგორც ბუმბერაზ აკაკი ხორავას ეკადრებოდა. კიდევ ბევრს ფიქრობდა ახლის სათქმელად, მაგრამ არ დასცალდა. 2004 წლის 25 ნოემბერს, გამთენიისას, გავარდნილმა მეხმა გურამ ქარქაშაძე ყველას წაგვართვა.



ჩემო გურამ, გადაწყვეტილი მაქვს, დავწერო გამომძიებლის პროფესიაზე და განვლილი წლების შესახებ, აწმყოზე და მომავალზე. ფიქრებში ხშირად წასულმა (ეს ჩემი ცხოვრების წესიაძ ერთ დიდ ჭეშმარიტებას მივაგენი – ჩემი ცხოვრებისეული და სამსახურებრივი ყველა წარმატება პირდაპირ დაკავშირებულია შენთან. ჩვენ ხომ ერთად თითქმის 30 წელი ვიარეთ, ერთმანეთის კვალდაკვალ და იმის გამო, რომ შეცდომისგან დაზღვეული ვყოფილიყავით, ერთი ადგილი არ გვიტკეპნია.

ამას წინათ ზუგდიდში მივემგზავრებოდით შენი მეგობრები. მათ სახელებს არ ჩამოვთვლი, მეშინია, ვინმე არ გამომრჩეს და გული არ ვატკინო. გურამ, რამდენჯერ გითქვამს ჩვენთვის თავმომწონედ „იმერეთო, მაინც შენ მირჩევნიხარ!“, ჰოდა, ჩვენც იმერეთში, თერჯოლის გადასახვევთან გავჩერდით. ერთ ახალგაზრდა კაცს გამოველაპარაკე, ვკითხე, გურამ ქარქაშაძეს თუ იცნობდით-მეთქი. სინანულით მითხრა, ბატონ გურამს ვინ არ იცნობდაო და იქვე სიამაყით ბრძანა, ბებია ქარქაშაძე მყავდაო. გამეღიმა, გულიც დამწყდა, იმწამსვე შენი გამახსენდა, კარგ კაცს რომ გაგვაცნობდი, მას ბებია ან ბაბუა მაინც ქარქაშაძე უნდა ჰყოლოდა.

იმ დღეს ზუგდიდში ჩვენმა უახლოესმა მეგობარმა ზურა გოგოხიამ შვილიშვილს შესანიშნავი ქორწილი გადაუხადა. ქორწილში მარიკა, ნინო, დათო, შენი მძახალი იური, მე, ციცო, ფრთამოტეხილნი და მოწყენილნი ვიყავით. სულ მალე მდგომარეობა შეიცვალა. იმ სუფრაზე კაცი არ დარჩენილა, შენი სადღეგრძელო რომ არ შეესვა და არ მოგფერებოდა. ბოლოს, ერთი მოვიდა ჩემთან: შენ მის საქმეს იძიებდი, იგი იმ დროის გაუგებრობის მსხვერპლი შეიქმნა. შენ ყველაფერი გააკეთე და ეს კაცი თავის ოჯახს ღირსეულად დაუბრუნდა. რამდენი გეფერა, პატივისცემა და სითბო გამოხატა. დიდ მადლობას ვუხდი მას, ასეთი საქციელი ყველას არ ძალუძსო.

გამომძიებლობას რომ ვიწყებდით, ჩვენმა მასწავლებელმა გიორგი ნანეიშვილმა ორივეს გვითხრა: „მე თქვენ მხოლოდ კარგს გასწავლით, ცუდი თუ გინდათ, ეგ ჩემს გარეშე ისწავლეთ“. ბატონმა გიორგიმ გაიღიმა და ჩაილაპარაკა: „მე ვიცი, თქვენ ამას არ გააკეთებთ“. შენ ამ პრინციპებისთვის მართლაც არ გიღალატია და პირნათელი წახვედი ამ ქვეყნიდან. შენთვის ხომ ყველაზე დიდი სიკეთე ისევ სიკეთის კეთება იყო. ამის დასტურად ზემოთ აღწერილი ერთი დღის ამბავიც კმარა.

შენი ოჯახი, დიდი და პატარა, მარიკას ძალისხმევით, ყველაფერს ისე აკეთებს, როგორც შენ გააკეთებდი მათთან ერთად.

გურამ, 21 ნოემბერს – მთავარანგელოზობის დღეს – გოგიტა 35 წლის გახდა.

როცა გამოგეთხოვე, ჩუმად გითხარი, გოგიტას მიმიხედე-მეთქი, ახლაც ამას გთხოვ მე, ციცო და გიორგი.

ჩემო გურამ, ძალიან, ძალიან მენატრები, მენატრება ლადოს და შენი „თავადის ქალო“. თუმცა ერთ მშვენიერ დღეს (მოსვლას და წასვლას ჩვენ ხომ არ გვეკითხებიანძ ერთად მოგვიწევს ყოფნა სულთა მარადისობაში. ჩვენი საფლავებიც ხომ ერთმანეთის გვერდით იქნება ვერაზე და იქ ივლიან ჩვენი შვილები, შვილიშვილები: მარიშა, ირიშა, ლუკა და... შვილთაშვილები და მათი შვილები.

**ჯემალ გახოკიძე**
**2006 წელი, ნოემბერი.**

**P. S. წერილი თითქმის ერთი ამოსუნთქვით დავწერე, მოცულობით შეიძლება დიდი, მაგრამ მწირი, გურამ ქარქაშაძის პიროვნების შესახებ.**



## გურამ ქარქაშაძე

საქართველოს შვილებს შორის იყო **გურამ ქარქაშაძე** – უებრო ვაჟკაცი, დიდი მამულიშვილი და შეუდარებელი მეგობარი, რომელიც ცხოვრების შუაგზაზე გამოეთხოვა ყველს, ვინც უყვარდა.

ჩვენო გურამ, ვაგლახ, რომ ასე უთქვენოდ განვაგრძობთ სიცოცხლეს, რომელსაც ელფერი დაეკარგა, როგორ გვავსებდი და გვილაღებდი წუთისოფელს.

ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენელი და ხელოვნების მსახური, ძლიერი და ფაქიზი ამავე დროს, – ასეთი დარჩა ჩვენს მეხსიერებაში კაცი, რომელსაც პოლიციის გენერლობა ებოძა და რომელმაც დისერტაცია კინოხელოვნების დარგში დაიცვა, განაცვიფრა ყველა და ასიამოვნა ამავე დროს...

მოსკოვიდან მოძიებული ქართული კინონიმუშები დარჩა გურამ ქარქაშაძის ხელთუქმნელ ძეგლად და სიამაყედ.

ჩვენო გურამ, ნურაფერი შეგიშფოთებთ მარადიულ სიმშვიდეს, ძველებურად გვიყვარხართ და გვახსოვხართ!

**უახლოესი მეგობრები:**
**ჯემალ გახოკიძე, ზურაბ გოგოხია, გია ლოლაძე, კახა ძიძიგური, ივა ბერაძე.**

## გახსენება

# ლილი ნიკურაძე



უკვე ორმოცი დღე გავიდა იმ ტკივილიანი დღიდან, რომელიც ქ-ნ **ლილი ნიკურაძემ** დაგვიტოვა. ყველას დაგვაკლდა, დიდს თუ პატარას, შინაურს თუ შორეულს – ვინც იცნობდა ამ დიდებულ, ღირსებით სავსე, ულალატო პიროვნებას;

ჭირსა და ლხინში მის გვერდით ყოფნა არა მარტო გვეიმედებოდა, სიამაყესაც გვმატებდა თავისი ესთეტიზმით და პიროვნულობით; მის მონატრებანარევ ღიმილიან გამოხედვაში იყო რაღაც საკუთარი, უტყუარი ხიბლი, რომელიც სილაღეს გვიძენიდა.

ქ-ნი ლილი გამორჩეული იყო თავისი ლამაზი ბიოგრაფიითაც, რომელიც თვითონ გამოძერწა ბუნებით მომადლებული ნიჭის წყალობით, საქმის ერთგულებით და ხალხის სიყვარულით; სადაც კი მუშაობდა გარემოს ალამაზებდა; იყო საოცრად პრინციპული, მაგრამ ნებისმიერ საქმეში ყველა ნიუანსი გათვლილი ჰქონდა; ავადმყოფი ხომ მისთვის კერპად იქცეოდა მკურნალობისას. მას გააჩნდა უტყუარი ინტუიცია ადამიანთა შეცნობისა, რის წყალობითაც მის გარშემო ძირითადად საქმის პროფესიონალები იკრიბებოდნენ. იგი ყოველთვის ჩქარობდა, დროის გასწრებას ცდილობდა, ამიტომაც ყველაფერი მოასწრო. თავისი პირადი ცხოვრებით მაგალითი იყო იმისა, თუ როგორი უნდა იყოს დედა, მეუღლე, ბებია, მეგობარი, ნათესავი თუ მეზობელი – ყველას თავის წილ სითბოს უნაწილებდა.

ჩემო ლილი! დღენიადაგ ახლის ძიებით იყავი გატაცებული, შენი ცხოვრების ორი დღე ერთმანეთს არ ჰგავდა, გიყვარდა გაუკვალავი ბილიკებით სიარული...

მშვიდობით, უდროოდ ტკივილად დარჩენილო მეგობარო...

**მეგობრების სახელით შენი**
**უმცროსი მეგობარი ქუქუნა კახნიაშვილი.**

# მიხეილ გეგენავა

მამა, დღეს შენი დაბადების დღეა, გარდაცვალებიდან მეორმოცე დღე.

შენს მიერ პატიოსნად განვლილი ცხოვრების დიდი გზა მუდამ გზამკვლევი იქნება მონაგარისთვის.

ბევრი შენი ბრძნული გამონათქვამი ჩვენთვის ცხოვრების კრედოდ იქცა.

უშურველად, უანგაროდ და ერთგულად ემსახურე ოჯახს, მეგობრებს, საყვარელ საქმეს, მშობლიურ კუთხეს. ყველას მუდამ ემახსოვრება შენი ღიმილიანი სახე და ტკბილი ბაასი.

ურთიერთსიყვარულში ერთად განვლილმა ორმოცდაჩვიდმეტმა წელმა ერთ წამში გაირბინა დედის ცხოვრებაში. უმძიმს უშენობა...

ჩვენ, ულრმესი მწუხარებით აღვსილთ, ისღა დაგვრჩენია, მდაბლად დავხაროთ თავი საფლავთან და მადლი მივაგოთ ცად აზიდულ შენს ლამაზ და სპეტაკ სულს.

შენს ხსოვნას არასოდეს მიეკარება დავიწყების ჩრდილი.

მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწის ღვთიური მადლი, ჩვენო კეთილო მამიკო.

**შვილები.**

## ხსოვნა

# ელეონორა კობახიძე

მოულოდნელი იყო ჩვენი ძვირფასი მეგობრის – ქალბატონ **ელეონორა კობახიძის** სიკვდილი, რამაც დიდად დაამწუხრა მთელი კოლექტივი. ახალგაზრდულად შემართულს ახალი საინტერესო გეგმები ჰქონდა. ექიმ-ფსიქიატრი მრავალი წლის განმავლობაში ემსახურებოდა ამ მძიმე დარგს. იყო ფართო ერუდიციის მქონე სპეციალისტი, ჭეშმარიტი მეგობარი, კეთილსინდისიერი, მოსიყვარულე ადამიანი, ძნელია იმასთან შეგუება, რომ მისი ხმამაღალი და დამრიგებლური საუბარი აღარ იქნება დისპანსერის ყოველდღიურ ცხოვრებაში. სულიერად და ფიზიკურად ლამაზი ადამიანი აღარ შეაღებს ასეთივე ლამაზი ოჯახის კარს. იგი თავისი შვილის, შვილიშვილების, ახლობლების და მეგობრების სიყვარულით სავსე წავიდა ამ ქვეყნიდან.

ქალბატონო ელა! გემშვიდობებით მწუხარებითა და სინანულით, რადგან ჯერ კიდევ შეგვეძლოთ ბევრი სიკეთის მოტანა თქვენი ოჯახისთვის, მეგობრებისთვის, საერთო საქმისთვის.

**ა. გოცირიძის სახელობის ფსიქონევროლოგიური დისპანსერის კოლექტივი**

---

სს „აკ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ინსტიტუტის ღვაწლმოსილ მუშაკს მაყვალა სიგუას გარდაეცვალა მეუღლე

იგორ თედორეს ძე სიგუა

და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

---

ნუნუკა, სოსო, რატი და ლაშა შარტავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნუგზარ ალექსანდრეს ძე ალასანია

დაკრძალვა 28 XI, ქ. ზუგდიდი, მაიაკოვსკის ქ. №60.

---

ლია კრავეიშვილი, ზაირა ქორჩილავა, ლამარა კობალაძე, ნანა კობახიძე, ცისმარი ონიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ნუნუკა ალასანიას ძმის

ნუგზარის

გარდაცვალების გამო.

---

შპს ა. გოცირიძის სახ. ფსიქონევროლოგიური დისპანსერის მთელი კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ექიმი-ფსიქიატრი

ელეონორა კობახიძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

გამომცემლობა „ბაკმი“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მწერალსა და გამომცემელს ბატონ ბონდო მაცაბერიძეს გარდაეცვალა მამა

თენგიზ მაცაბერიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

რუსუდან მოსიძე, გურამ გოგიაშვილი და ემზარ კვიტაიშვილი გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ მწერალ ბონდო მაცაბერიძეს მამის

თენგიზ მაცაბერიძის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოში საერთაშორისო ენერგეტიკული კომპანია „იტერას“ წარმომადგენლობის კოლექტივი თანაუგრძნობს ს/ს „საქენერგოს“ გენერალური დირექტორის მოადგილეს ბატონ გურამ ჩიჩუას მამის

ვალერიან ჩიჩუას

გარდაცვალების გამო.

- — მოსაკლავია, ტაბიძე! — წამოცდა ინსტრუქტორს
- — ეს ჩემი მომავალი კოლეგაა, — თქვა გალიის წინ მდგარმა იოსებ ნონეშვილმა





ხუმარსიტყვა

# დიდი მწერლების პატარა კურიოზები

**რუსთავი საქართველოსათვის მეოცე საუკუნის უდიდესი მონაპოვარია. იგი სტალინის ხელდასხმით განხორციელდა. სხვაგვარად ამხელა გიგანტის მშენებლობა და უდაბნოში 160-ათასიანი ქალაქის აღორძინება მაშინ წარმოუდგენელი იქნებოდა. ერიც ამაყობდა თავისი ინდუსტრიული მიღწევებით. მეტალურგთა და ქიმიკოსთა ქალაქის ხშირი სტუმრები იყვნენ გამოჩენილი მამულიშვილები, თვალსაჩინო მწერლები, ხელოვნების მუშაკები, მეცნიერები.**

## მოსაკლავია ტაბიძე!

**დიდი გალაკტიონი რუსთაველთა ხშირი სტუმარი იყო. ამგვარ საქმეთა მოთავემ, რუსთავის მწერალთა ორგანიზაციის თავკაცმა კარპე მუმლაძემ კარგად უწყოდა, რა პატივი იყო ნებისმიერი ქა-**



**ლაქისთვის სიცოცხლეშივე ლეგენდადქცეული ერის კორიფეების სტუმრობა და ძალისხმევასაც არ იშურებდა. ამჯერად მთელი ქალაქი ფეხზე იდგა. ხელმძღვანელობამ სპეციალურად ქალაქკომის ინსტრუქტორიც კი მიამაგრა სამეთვალყურეოდ და გამრიგებლად.**

ტრადიციისამებრ, პოეტი ჯერ მეტალურგიულ კომბინატში მემარტენეებს შეახვედრეს. გავარვარებულ ღუმელში ლურჯი სათვალით შეახედეს, მეფოლადეებსაც გაესაუბრა. საღამოსთვის მეტალურგთა სასახლეში ზღვა ხალხი მოგროვდა პოეტის სანახავად. გალაკტიონმა თავისი მთრთოლვარე ხმით ლექსები წაიკითხა. შემდეგ საგანგებო ლოჟაში მიუჩინეს ადგილი და იყო მისალმებები, ხალხი აღფრთოვანებას ვერ მალავდა....

გალაკტიონის სავარძლის უკან ნერვიულად ტრიალებდა ქალაქკომის ინსტრუქტორი. მას თავისი სადარდებელი ჰქონდა, ქალაქის ხელმძღვანელობა აჩქარებდა: რესტორანში სუფრა კარგა ხანია, გაეშალათ, არადა, გადამდგარი პოლკოვნიკი, ჩინებული მომღერალი ტატიშვილი არიას არიაზე არაკრაკებდა.

— მოსაკლავია ტაბიძე! — უცებ ნერვიულად წამოცდა ინსტრუქტორს.

გალაკტიონი შეიშმუშნა.

საქმე ის იყო, რომ მეტალურგთა კულტურის სასახლის დირექტორი გახლდათ ჩინებული პიროვნება გიორგი ტაბიძე და საკონცერტო ნაწილზე ის იყო პასუხისმგებელი. მივხვდით, ცუდად გამოუვიდა „ქალაქკომელს“. ისევ აწრიალდა, — თითქოს სცადა მდგომარეობის გამოსწორება — ჩვენი ტაბიძეა მოსაკლავიო, გაიმეორა, მაგრამ გალაკტიონი უსიტყვოდ ადგა და იქაურობა დატოვა.

მე მაშინვე გავვარდი, დირექტორი მოვძებნე და პოეტს „სახლიკაცი“ გავაცანი:

— ბატონო გალაკტიონ, ესაა ჩვენი „მოსაკლავი“ ტაბიძე.

პოეტმა გულიანად გაიცინა და „განაჩენგამოტანილ“ მეგვარეს ხელი ჩვეული გულმხურვალებით ჩამოართვა და, რა თქმა უნდა, ერთი გვარის სტუმარ-მასპინძელი სუფრაზე ერთად მოხვდა.

## პოეტი ბაჭია

**იოსებ ნონეშვილს რუსთავი ძალიან უყვარდა. იქაურებიც საკადრის პატივს სცემდნენ ხოლმე. როცა მას ვმასპინძლობდით, მეტალურგთა კულტურის სასახლე ხალხს ვერ იტევდა.**

ამჯერად რუსთავის მეათე სკოლამ მიიწვია. ტრადიციისამებრ, ჯერ ქალაქი დაათვალიერებინეს, მეტალურგიის გამოტოვებას თვითონ არ იზამდა, შემდეგ სკოლის ვესტიბიულში რომ შევიდა, პატარა გალია შენიშნა. შიგ გამომწყვდეული ბაჭია რატომღაც მოწყენილი და გარინდული იჯდა.

— ეს ნამდვილად ჩემი მომავალი კოლეგაა, — ბატონი იოსები გალიის წინ შედგა და ბაჭიას დააჩერდა.

იქ მყოფნი დაიბნენ, ვერ გაიგეს, რისი თქმა უნდოდა მგოსანს!

— ვერ ხედავთ? ჩაფიქრებულია, ლექსის დასაწერად ემზადება! — ისევ თვითონვე განმუხტა სიტუაცია და ყველა გულიანად გააცინა.

**გივი ჯახუა**

ინფორმაცია



## „ნახალოვკელებსაც“ მიადგნენ

**ქალაქის ზედამხედველობის სამსახურმა მეტროსადგურ „ნაძალადევის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, უკანონოდ განთავსებული ჯიხურების და ავტოფარეხების დემონტაჟი დაიწყო.**

ლაშა მაქაცარიამ განაცხადა, რომ მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე უკანონოდ განთავსებული შენობების დემონტაჟს სამსახური უკვე დიდი ხანია, ახორციელებს. ამ მიზნით, მათ შესაბამისი გაფრთხილებები უკვე დაურიგეს შენობების მფლობელებს და მათი მხრიდან წინააღმდეგობა ჯერჯერობით არ ყოფილა.

მეტრო „ნაძალადევის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ჯიხურების დემონტაჟი სამ დღეში დასრულდება.

მაქაცარიას თქმით, უახლოეს ერთ კვირაში სრულად გაიწმინდება ყველა მეტროსადგურის მიმდებარე ტერიტორია.

**ინტერპრესნიუსი**

ანეკდოტები

**ივან ივანიჩი თეატრალურზე აბარებს:**

**— თვალებით ფარული სიხარული გამოხატეთ, — ეუბნება გამომცდელი.**

**...!**

**— არა, არა, არ ვარგა! იცით რა, წარმოიდგინეთ, თითქოს მეზობელს ძროხა მოუკვდა!**

**...!!!**

**— ეს უკვე მეტისმეტია! ეს ერთის კი არა, სამი ძროხის, უფრო მეტი — სიდედრის სიკვდილის გამოხატვასაც ეყოფა!**

* * *

**უდაბნო, ოკეანის სანაპირო. უდაბნოდან ოკეანისკენ ძლივს მოლასლასებს სიცხისა და წყურვილისგან ილაჯგაწყვეტილი კაცი:**

**— წყალი, წყა-ა-ლი-ი...**

**მის საპირისპიროდ ოკეანიდან გამოდის გემის ჩაძირვით**



**გატანჯული და მასზე უფრო გაუბედურებული კაცი:**

**— მიწა, მი-წა-ა-ა...**

* * *

**ერთი ახალი ჩუქჩა მეორეს ეუბნება:**

**— მე კი ჩემ შვილს ჩანთაში კოკაინი ვუპოვე. წარმოგიდგენია, ის მამაძაღლი ათი წლისაც არ არის, და უკვე სახლიდან გააქვს სიმდიდრე.**

* * *

**ქალები თებერვალში ყველაზე ცოტას ლაპარაკობენ, რადგან თებერვალი ყველაზე მოკლე თვეა.**

**კაცები ქალებს მარტის დასაწყისში სხვადასხვა რამეებს ჩუქნიან — თებერვლის თვისთვის მადლიერების ნიშნად.**

* * *

**— რუსული თეატრი კვდება! სად არის სტანისლავსკი? სად არის მეირჰოლდი? სად არის რანევსკაია? აი, თქვენ, რა გვარი ხართ?**

**— ივანოვი.**

**— ხომ ხედავთ! რუსული თეატრი კვდება!**

გვეკითხებიან, ვუპასუხებთ

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, კანონის თანახმად რა სახის მუშაობა ჩაითვლება შრომის სტაჟში?**

**ლანა ანდღულაძე**

**პასუხი:** მოქმედი კანონის თანახმად, შრომის სტაჟში ჩაითვლება ყოველგვარი მუშაობა (მუშაობის ხანგრძლივობისა და ხასიათის მიუხედავად, რომელიც სრულდება დაქირავების წესით და რომელზედაც ვრცელდებოდა სახელმწიფო სოციალური დაზღვევა.



* * *

**კითხვა: ვარ მოხუცებულობით პენსიონერი, ვცხოვრობ თბილისში, მაქვს 21 წლის მუშაობის სტაჟი.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, რამდენი ლარი უნდა დამმატებოდა პენსიაზე დედაქალაქის ბიუჯეტიდან?**

**მეგი კვაჭაძე**

**პასუხი:** შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით, 2006 წლის 1 სექტემბრიდან, თბილისის მერიის ბიუჯეტიდან პენსიაზე უნდა დაგმატებოდათ 7 ლარი.

* * *

**კითხვა: გთხოვთ, მიპასუხოთ, 2002 წელში რეპრესირებულთა შვილებისათვის ძალაში იყო თუ არა შეღავათი ბუნებრივ აირზე?**

**ლენა ლომაძე**

**პასუხი:** თუ რეპრესირებულის შვილი, 2002 წელს, ასაკით ან ჯანმრთელობის მდგომარეობით იყო შრომისუუნარო და შესაბამის ორგანოში წარდგენილი ჰქონდა საბუთი, რომ ნამდვილად იყო რეპრესირებულის შვილი, მას უფლება ჰქონდა უფასოდ მოეხმარა 20 კუბური მეტრი ბუნებრივი აირი.

* * *

**კითხვა: შემისრულდა 60 წელი. რა არის საჭირო იმისათვის, რომ დავინიშნო პენსია?**

**თინა მჟავანაძე**

**პასუხი:** თუ თქვენ საჯარო სამსახურში არ მუშაობთ, გირჩევთ განცხადებით და პირადობის მოწმობით დაუყოვნებლივ მიმართოთ სოციალური დაზღვევისათვის ფონდის რაიონულ განყოფილებას ასაკის პენსიის დანიშვნის საკითხზე.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-96-33.**

კადრი



რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში“. მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი — შპს „თანადგომა-1“
ქიზიყის 14
ტ: 899 797679; 98-96-32

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი მამუკა ვაშაკიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე აწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.